ვაჟი ტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ივლისი **სამშაბათი** 2011
№ 161 (13458) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

10

ზრაგიკომედია! ალიარებენ იტალიელები

3

ევროდღეები დაგვიწყო

მარსილს კარდიფში 21 მეკარეს

9

კანავარო: წავედი!

ახალმა ადმასკომმა კვლები დაამტკიცა

2

ცოცა მსუბუქად, ჰერა ბაბელ!

ჩვენი კოზი ჩვენ უფრო გვჭირდება

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სფფ-ის აღმასკომის სხდომა

იგივენი და...

აღმასკომმა გურია გააცოცხლა

ფედერაცია: მოედნები გარანტიით!

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეული აღმასრულებელი კომიტეტის წევრები პირველად შეიკრიბნენ. სხდომას მხოლოდ ოთხი წევრი ვერ დაესწრო გადაუდებელი საქმეების გამო - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი**, მისი მოადგილე **დავით ნამგალაური**, აფხაზეთის ფედერაციის პრეზიდენტი **მურად ანჯაფარიძე** და პარლამენტარი **გიორგი ასანიძე**.

პირველად აღმასკომმა ვიცე–პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის საკითხები განიხილა. ცვლილებები მოსალოდნელი არ იყო და გენერალურ მდივნად კვლავ **რევაზ არველაძე** იმუშავებს, ხოლო ვიცე–პრეზიდენტებად - **გია ფირცხალავა და ალექსანდრე ჩივაძე**.

აღმასკომს ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წერილი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ლანჩხუთის „გურია 2000"-ის ნაცვლად "გურიას" დაშვებას ითხოვდნენ. გურულები ამ საკითხს დიდი ხანია აყენებენ, რადგან სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო ჯგუფები გუნდის დაფინანსებას აპირებენ, "გურია 2000"-ის ანგარიშზე კი თანხას ვერ რიცხავენ. საქმე ისაა, რომ ერთი წელია, გუნდს 90-ათასლარიანი დავალიანება პლუს ჯარიმები დაუგროვდა და ანგარიში დაუყადაღეს. ვალი დიდი არ არის, მაგრამ მუნიციპალიტეტი და დაინტერესებული ჯგუფები ვალების გასტუმრებას არ აპირებენ.

მოკლედ, არც ისე დიდი ვალი გუნდის არსებობას საფრთხეს უქმნიდა. საკითხი გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ებრალიძემ** აღმასკომზე გასულ წელსაც დააყენა, მაგრამ მაშინ განხილვა გადაიდო. ახლა კი აღმასკომის წევრებმა გადაწყვიტეს, ლანჩხუთის გუნდს ახალი ძველი სახელით („გურია") მისცენ პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება.

"შეიძლება ითქვას, რომ აღმასკომის ამ გადაწყვეტილებამ "გურია" გააცოცხლა, რადგან ახლა ანგარიშის გახსნისა და თანხის მიღების უფლება გვექნება, დამფინანსებლები კი აუცილებლად გამოჩნდებიან - წლეულს "გურიას" უმაღლესში დაბრუნება სურს და, როგორც გვითხრეს, კარგი ბიუჯეტი გვექნება" – გვითხრა ებრალიძემ.

ზვიად სიჭინავამ ილაპარაკა ფედერაციის მიერ ფოთის, გორისა და ქობულეთის სტადიონების მოედნების მოსაწყობად გამოცხადებული ტენდერის ჩაშლის მიზეზებზე. მისი თქმით, პირობები გამკაცრდა – სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებს მოედნების 5-8-წლიანი გარანტიით ჩაბარებასა და საუკეთესო სადრენაჟო სისტემის მოწყობას სთხოვენ.

გადაწყდა, რომ სტადიონებზე მიმდინარე სამუშაოებს აღმასკომის წევრებისგან შექმნილი კომისია გააკონტროლებს. მას ზვიად სიჭინავა უხელმძღვანელებს, წევრები კი იქნებიან ვარძელაშვილი, ნამგალაური, ასანიძე, ჩივაძე, ფირცხალავა და არველაძე.

სერგო კვარაცხელიამ სხდომაზე დააყენა საკითხი კომპლექსური სასპორტო სკოლებიდან საფეხბურთო სკოლების გამოყოფის, მათი იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისა და ცალკე დაფინანსების შესახებ. ამის თაობაზე ფედერაციის ბოლო ყრილობასა და წინა აღმასკომზეც ილაპარაკეს. კვარაცხელიას აზრი ყველამ გაიზიარა და დღეიდან პროექტის დამუშავებას დაიწყებენ.

მერაბ მამულაშვილი

ფოტო: gff.ge

● ვიტ ჯორჯია

ვიტ ჯორჯიამ სიხარულიძე გაიფორმა



ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ვიტ ჯორჯიამ" მეხუთე ახალწვეულს გაუფორმა კონტრაქტი – თბილისის "დინამოს" ყოფილმა თავდამსხმელმა, 20 წლის **ირაკლი სიხარულიძემ** ვეტერინარებთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, სიხარულიძე "ვიტ ჯორჯიაში" რამდენიმე დღის განმავლობაში ისინჯებოდა და საკონტროლო მატჩებში თავიც გამოიჩინა.

დღეს **ზურაბ ბერიძის** გუნდი მორიგ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს, 16 ივლისს კი, სავარაუდოდ, თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ) 34 წლის გახდა

ჰერ ბაბელ, ნუ დაგვიღლით კობის, ის ჩვენც გვჭირდება!

კობიაშვილი ასეთ შეცდომას ასი წელი არ დაუშვებდა...

ბუნდესლიგაში დაბრუნებული ბერლინის „ჰერტას" მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** შეგირდებს ერთობ ტვირთავს, რის გამოც დედაქალაქური კლუბის მოთამაშეებს დაღლა დაეტყოთ. გერმანელი ჟურნალისტების აზრით, სწორედ გადაღლილობის ბრალი იყო ის, რომ შვეიცარიულ შეკრებაზე მყოფმა „ჰერტამ" ბოლო ორი ტესტმატჩიდან ორივე წააგო. **ლევან კობიაშვილი** და კომპანია „იანგ ბოიზთან" 2:4 დამარცხდნენ, ციურიხის „გრასჰოპერთან" კი - 0:2.

„ვარჯიშები უნდა შევამსუბუქო, თორემ ფეხბურთელები ძალიან გადაღლილები ჩანან, ბუნდესლიგის სტარტს კი ასე არ უნდა შევხვდეთ," - აცხადებს ბაბელი.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, დაღლა ყველაზე მეტად კობიაშვილს ეტყობოდაო, რაც სულაც არ არის გასაკვირი – ლევანი კვირას 34 წლის გახდა. კობიმ „გრასჰოპერთან" მატჩში საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ბაბელი: *„ლევანის შეცდომა მთლიანად გადაღლილობის ბრალია. ეს იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდება ფეხბურთელი მაშინ, როცა ძალიან დაღლილია. სხვა დროს კობი ასე არ შეცდებოდა. მეტიც: ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი კობიაშვილი ასეთ შეცდომას 100 წელი არ დაუშვებდა და აღარც დაუშვებს!"*

შეგახსენებთ, რომ „ჰერტამ" მეორე ბუნდესლიგაში პირველი ადგილი დაიკავა, ახალი სეზონისთვის კი გადაიბირა 29 წლის ცენტრალური მცველი **მაიკ ფრანცი**, 26 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ანდრეას ოტლი**, 22 წლის მეკარე **თომას კრაფტი** და 21 წლის გარემარბი **თუნაი თორუნი**. აშკარაა, რომ კობის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის საფრთხე არ ემუქრება: ბაბელი ლევანს სრულად ენდობა, რაშიც მისი კომენტარიც დაგარწმუნებდათ. მწვრთნელი თავის შეცდომას მიხვდა და ფეხბურთელებს აღარ გადაღლის, რადგან ასეთ დროს, გარდა შეცდომებისა, ტრავმიანობის ალბათობაც იზრდება – მით უმეტეს, 34 წლის ფეხბურთელის შემთხვევაში. კობიაშვილი კი „ჰერტაზე" მეტად საქართველოს ნაკრებს სჭირდება.

გოტფრიდ ლენცი

● კონტაქტი: რედაქცია-რეგიონები

სამი შეკითხვა ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციებს

1. როგორია რეგიონული ფედერაციის ნვლილი რეგიონში ფეხბურთის განვითარების საქმეში. მიღნევებიდან რა მიგაჩნიათ თავმოსაწონად და სამაგალითოდ?
2. რა პრობლემების წინაშე დგას თქვენი რეგიონული ფედერაცია?
3. რა უნდა გაკეთდეს ეროვნული და რეგიონული ფედერაციების ერთი მიზნით შესაკავშირებლად და საქმიანი ურთიერთობის გასაღრმავებლად ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ?

გთხოვთ, პასუხები მოგვანოდოთ 20 ივლისამდე ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com

„ლელოს" რედაქცია

„ლ"

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეძდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო

გარსიას უელსში 21 მიჰყავს

თბილისის "დინამო" უელსში დღეს, 14 საათზე თბილისი-კარდიფის ჩარტერული ავიარეისით გაფრინდება, კარდიფიდან ლანელიში კი ავტობუსით ჩავა.

დედაქალაქელთა თავკაცმა **ალექს გარსიამ** უელსში 21 ფეხბურთელი იახლა.

მკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე;**

მცველები: **დავით ოდიკაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, ირჟი ჰომოლა, ლევან ხმალაძე, გიორგი რეხვიაშვილი;**

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, ირაკლი ლექვთაძე, გიორგი კახელიშვილი, ჯაბა ჯიღაური, გიორგი თექთურმანიძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, ნიკოლოზ კვეკვესკირი, ხისკო მუნიოსი, კარლეს კოტო;**

თავდამსხმელები: **ვახტანგ ფანცხავა, ლადო ახალაია, ალბერტ იაგუე ხიმენესი, რობერტინიო.**

რობერტინიოს უელსში თამაში გამორიცხულია, რადგან ბრაზილიელი მარცხენაფლანგელი დისკვალიფიცირებულია. "დინამოს" განაცხადშია **ლევან ხმალაძე,** რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "მილსამისთან" ორივე მატჩი გამოტოვა. **სოსო გრიშიკაშვილი** და **გოგა ბერაია** "დინამოს" დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მიჰყვებიან.

შეგახსენებთ, "ლანელი"-"დინამოს" პირველი შეხვედრა ზეგ გაიმართება. ქართველთა სამატჩო მზადების შესახებ "ლელოს" მომდევნო ნომრებშიც გიამბობთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დონალდ დინამოელი პოგონის პო-არას ელის

თბილისის "დინამოსა" და კამერუნის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი **დონალდ ჯუსი** პოლონეთის პირველი დივიზიონის შჩეცინის "პოგონში" ისინჯება. ეს გუნდი გასულ სეზონში მეექვსე ადგილზე გავიდა და ექსტრაკლასაში გადასვლა ვერ მოახერხა.

21 წლის დინამოელმა ახალ გუნდში საკონტროლო შეხვედრა კოლობჟეგის "კოტვიცასთან" ჩაატარა და გაიტანა კიდეც.

"პოგონის" ვებგვერდის ცნობით, ჯუსმა ძირითადში ითამაშა და მეორე ტაიმში შეცვალეს, თუმცა მანამდე, 75-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

კამერუნელისთვის თბილისის "დინამოს" პრობლემები არ შეუქმნია, მაგრამ იგი თბილისელებს ჯერ არ დამშვიდობებია, რადგან უცნობია, პოლონეთში დარჩება თუ არა - კლუბს უნდა მოეწონოს, შემდეგ კი შჩეცინელები "დინამოს" სატრანსფერო თანხაზე უნდა შეუთანხმდნენ.

მერაბ მამულაშვილი

დონალდ ჯუსი პოლონურ სინჯებზე

● ინტერვიუ გიორგი რეხვიაშვილთან

ახალი დინამოელის ამბიციური მიზანი: ავტორიტეტი ევროპაში, პირველობა საქართველოში

"დინამოს" მხოლოდ ესპანელები კი არ დაუმატებია, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელითაც გაძლიერდა. რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი მცველი, 23 წლის გიორგი რეხვიაშვილი ერთ-ერთი მათგანია. ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მან ორივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რეხვიაშვილს "დინამოში" გადასვლით მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გუნდის საევროთასო პერსპექტივებზე ვესაუბრეთ.

გიორგი რეხვიაშვილი

- მოსალოდნელი იყო თუ არა შენთვის "დინამოს" წინადადება?

- ამ კლუბის დაინტერესების შესახებ ვიცოდი და, როგორც კი კონკრეტული წინადადებით მომმართეს, ბევრი არ მიფიქრია. მქონდა სხვა ვარიანტებიც, მაგრამ "დინამოს" სახელმა ყველაფერი გადაწონა და აქ მოსვლამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. "დინამო" ხომ ბევრი ფეხბურთელისთვის საოცნებო კლუბია და ბედნიერი ვარ, აქ თამაშის საშუალება რომ მომეცა.

- ახალ გარემოსთან ადაპტაცია უკვე გაიარე?

- უცხო სიტუაციაში ნამდვილად არ მოვხვედრილვარ, რადგან "დინამოს" ბევრ ფეხბურთელს მანამდეც ვიცნობდი და ახალ გუნდს ალღო ძალიან მალე ავუღე. "დინამოსთან" უკვე გაშინაურებული ვარ როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა.

- "მილსამისთან" ორივე შეხვედრა მარცხენა მცველის პოზიციაზე ჩაატარე, არადა, "ოლიმპში" უმეტესად ცენტრში თამაშობდი.

- ასეა, მაგრამ ჩემთვის უცხო არც მარცხენა მცველობაა. ბანალური ფრაზაა, მაგრამ მზად ვარ, იქ ვითამაშო, სადაც გუნდს დავჭირდები.

- "დინამოს" მწვრთნელებმა თუ გითხრეს, კონკრეტულად რომელ პოზიციაზე უფრო სჭირდები?

- არა, ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა. როგორც იცით, "მილსამისთან" ორივე თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა ლევან ხმალაძემ, მისი დაბრუნების შემდეგ კი ჯერ არც ვიცი, სად ვითამაშებ. გუნდში დიდი კონკურენციაა, მაგრამ ეს არ მაშინებს.

- ალექს გარსიას სამწვრთნელო მეთოდებს იოლად შეეგუე?

- მისი ხელმძღვანელობით ვარჯიში ყველა ფეხბურთელისთვის დიდი სიამოვნებაა. უცებ შეატყობ, რომ გარსია ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია, რომელსაც გუნდის ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად მომზადება ჩინებულად ეხერხება.

- "დინამოს" ესპანელ ახალწვეულებზე რას იტყვი?

- ვარჯიშებზე ძალიან მონდომებულები არიან, კლასი სამივეს ეტყობა, ხასიათითაც კარგი ბიჭები ჩანან და იმედია, "დინამოს" დიდ სამსახურს გაუწევენ.

- "მილსამისთან" საშინაო მატჩი თითქმის ყველა ქართველმა ქომაგმა ნახა. როგორც ჩანს, მოლდოველებს სტუმრადაც დამაჯერებლად აჯობეთ.

- მხოლოდ პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, რადგან გრუნტი მძიმე იყო, ტემპერატურა კი – ძალიან მაღალი. შესვენების შემდეგ კი უფრო აქტიურად შევუტიეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

- "ლანელი"ზე თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?

- ბევრს არაფერს. "დინამო" წყვილის ფავორიტია, მაგრამ ევროთასებზე ხელნამოსაკრავი მეტოქე არ არსებობს, ყველასთან ბოლომდე უნდა დაიხარჯო. პირადად მე ერთნაირად მოტივირებული ვარ, ვისაც უნდა ვეთამაშებოდე – "ლანელის", "სამტრედიას" თუ მადრიდის "რეალს". გუნდში საბრძოლო განწყობაა და გვინდა, უელსშივე გავარკვიოთ შემდეგ ეტაპზე გამსვლელი.

- "დინამოს" ამოცანა მხოლოდ "ლანელის" ბარიერის გადალახვით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

- ნამდვილად ასეა. გვინდა, ევროპის ლიგაზე რაც შეიძლება მეტი ეტაპი გავიაროთ და ქართველი გულშემატკივრები გავახაროთ. "დინამო" ვარჯიშიდან ვარჯიშამდე და თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს და შესწევს იმის ძალა, ავტორიტეტი ევროპაშიც დაიბრუნოს და საქართველოს საუკეთესო კლუბიც გახდეს.

- როგორც ჩანს, "დინამოში" დიდი ხნით აპირებ დარჩენას.

- კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მინდა, "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე და გუნდისთვის დიდი ხნის განმავლობაში სასარგებლო ფეხბურთელი ვიყო.

ლევან ჯანეზაშვილი

● მეტოქე

ზესტაფონთან დაჩიას კორღალიძე არ ეყოლება

"დაჩიას" ქართველი ლიდერი **ლევან კორღალიძე** დაშავდა და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონთან" ვერ ითამაშებს. თავდაპირველი ცნობის მიხედვით, მოლდოვის გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მხოლოდ ზესტაფონში გასამართ ხვალინდელ მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ "დაჩიას" განაცხადში კორღალიძის გვარი საერთოდ არ ფიგურირებს.

აქვე კიშინიოვური კლუბის განაცხადსაც წარმოგიდგენთ, სადაც "დაჩიას" რეკლამირებული ახალნვეული, სერბული "ვოივოდინადან" მილიონ ევროდ შეძენილი ჩერნოგორიელი ნახევარმცველი **იანკო ტუმბაშევიჩიცაა** შეყვანილი.

ლევან ჯანეზაშვილი

№	ფეხბურთელი	ასაკი	მოქ.
	მეკარეები		
1.	ბენადი მოფფიბა	26	
30.	არტიომ გაილუჩევიჩი	24	
	მცველები		
4.	დენის ილიესკუ	24	
6.	ლუჩიან დოგარე	32	რუმინეთი
18.	იური გროზევი	35	
19.	ბრან. ატანასკოვიჩი	27	სერბეთი
24.	აბდულ.ჯაფარ მამა	25	ტოგო
25.	დავით გამეზარდაშვილი	29	საქრ.
27.	გორან დიმოვსკი	28	მაკედონია
	ნახევარმცველები		
7.	ალექსანდრუ ონიცა	26	
15.	ძემალ ალიმეროვიჩი	30	მაკედ.
20.	იულიან გურსუკი	34	
23.	იანკო ტუმბაშევიჩი	26	ჩერნოგ.
47.	ანდრეი სოიოკარი	24	
61.	მილოშ კრკოტიჩი	23	ჩერნოგ.
	თავდამსხმელები		
5.	დუმიტრუ პოპოვიჩი	27	
9.	ბენადი ორგუ	29	
11.	მაქსიმ მიხაილოვი	24	
17.	ალექსანდრ ნეჩაევი	21	რუსეთი
21.	სლავენ სტეპანოვიჩი	23	ჩერნოგ.
22.	ალექსანდრუ დედოვი	21	
65.	ვასილი პავლოვი	20	რუსეთი
	მთ. მწვრთნელი		
	იგორ დოგაროვოლსკი	43	რუსეთი

ლევან კორღალიძე (№10)

ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ

გია გრიგალავა

გია გრიგალავა
მე ქართველობას თამაშით დავამტკიცებ!

გია გრიგალავას 2011 წლის 3 ივნისი არასოდეს დაავიწყდება — 20 წლის მცველმა ამ დღეს პირველად მოირგო საქართველოს ნაკრების ფორმა. ქუთაისში დაბადებულმა და მარტვილში გაზრდილმა ბიჭმა 17 წლისამ "როსტოვის" შემადგენლობაში რუსულ პრემიერლიგაში პირველად ითამაშა, შემდეგ იყო "მოსკვა", წლეულს კი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ჩაირიცხა.

2009 წელს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვეს და, ფაქტობრივად, იქაურ ფეხბურთშია გაზრდილი, მაგრამ ამბობს, რომ ყოველთვის საქართველოს ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა.

ერთკვირიანი შვებულება გიამ საქართველოში გაატარა და ინტერვიუ ჩამოვართვით:

- 3 ივნისს პირველად ვითამაშე საქართველოს ნაკრებში. სამწუხაროდ, ხორვატებთან წავაგეთ. გრძნობების გამოხატვა არ მიყვარს, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებული ემოციები დამეუფლა.

ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, მაგრამ ხორვატებმა გვაჯობეს და ვერ ვუტევდით. თუმცა ნამდვილად არ გვქონდა მითითება, რომ დაცვაში ჩავმდგარიყავით.

- გამოძახებამდე ნაკრების მატჩებს უყურებდი?

- საქართველოში დავიბადე, ფეხბურთელი ვარ და, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრების მატჩები მაინტერესებდა. ადრე ბევრი ვერაფერი გუნდი იყო, ყველა იოლად უგებდა, ქეცბაიას ხელში კი კერკეტი კაკალი გახდა და ნებისმიერი გუნდისთვის უსიამოვნო მოწინააღმდეგეა. სხვათა შორის, გუნდში სიტუაცია მომეწონა, ძალიან თბილად მიმიღეს, ბევრს ვიცნობდი, მაგრამ არა ყველას.

- ჩვენი ნაკრების ევრო 2012-ზე გასვლაზე ლაპარაკს სერიოზულად აღიქვამ?

- ჯერ დარჩენილი სამი შეხვედრა მოვიგოთ და მერე ვნახოთ.

- სხვათა შორის, ჩვენს გულშემატკივარს აინტერესებდა, რატომ ითამაშე ომის შემდეგ რუსეთის ფორმით? ფორუმზე ვარაუდი გამოთქვეს, მიხვდა, რუსეთის ეროვნულ გუნდში არ ინვევდნენ და საქართველო ამიტომ ამჯობინაო.

- ვიცი, რომ ჩემი გადაწყვეტილება არაერთგვაროვნად შეაფასეს და გული დამწყდა. არაფერია, სკეპტიკოსებს ჩემი თამაშით დავარწმუნებ, რომ არავისზე ნაკლები ქართველი არ ვარ.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებში ჩემი თამაშის პერსპექტივას: 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება რუსებმა უკვე დაიწყეს, ჩემს პოზიციაზე კი რუსული პასპორტის მქონე ბევრი მოთამაშე არ ჰყავთ. იქ თამაში რომ მდომოდა, დამიჯერეთ, საქართველოს პასპორტს არ დავიბრუნებდი. ნაკრებში ჩემი კანდიდატურა რომ განიხილებოდა, ეს კოლოსკოვმა თქვა, რომელიც სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის. სხვათა შორის, არაერთხელ მიმიწვიეს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ შეკრებაზე არ წავსულვარ, საბედნიეროდ, იმ დროს ტრავმა ანუ მიზეზი მქონდა.

- არადა, რუსებს სწორედ მაშინ დათანხმდი, როდესაც კახა ცხადაძე საქართველოს ახალგაზრდულში გიწვევდა.

- "როსტოვთან" კონტრაქტში მეწერა, რომ გუნდი მხოლოდ რუსეთის ნაკრების შეკრებაზე გამიშვებდა. დანარჩენი თავად განსაჯეთ. "ვოლგასთან" კონტრაქტში კი თავად ჩავწერე, რომ საქართველოს ნაკრებში მიწვევის შემთხვევაში, გუნდი ხელს არ შემიშლიდა.

- ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ, სიმართლე გითხრა, შენი ჩამოუსვლელობის მიზეზი ცოტა არადამაჯერებლად გვეჩვენა.

- რა ვქნა, ასეც ხდება ხოლმე. საქართველოს ნაკრებში თამაშის იმედი მაინც არ მქონდა გადაწურული. მერე ზვიად სიჭინავა და თემურ ქეცბაია დაინტერესდნენ და პასპორტის გაკეთება მთხოვეს. თანაც ქეცბაიამ ისეთ დროს მიმინვია, ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა.

- შენს გადაწყვეტილებაზე რუსებს რა რეაქცია ჰქონდათ?

- მეგობრები არ მირჩევდნენ, მაგრამ თავიდანვე ჩამოყალიბებული პოზიცია მქონდა და ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებდი.

- მეგობრები რატომ არ გირჩევდნენ?

- რუსეთში მათი ნაკრების ფეხბურთელი უფრო ფასობს, მეტ ხელფასსაც უხდიან და ფულდებიც მეტი ხალისით იწვევენ, ვიდრე საქართველოს ეროვნული გუნდის წევრს. მაგრამ ყველაფერი ფულით არ იზომება, ღმერთმა მე ქართველად გამაჩინა.

- იყო ლაპარაკი, თითქოს "კრასნოდარი" გიწვევდა, მანამდე კი კიევის "დინამო".

- ბევრი სხვა გუნდიც დაინტერესდა, მაგრამ "ვოლგაში" დარჩენა ვამჯობინე. თანაც, ამ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, უკრაინის ჩემპიონატს კი რუსეთისა მირჩევნია, ფეხბურთიც უკეთესია და პირობებიც. რუსეთში 2007 წლიდან ვთამაშობ და პრემიერლიგის დონე საგრძნობლად გაიზარდა. სხვათა შორის, ამაში "აიაქსში" ვარჯიშისას დავრწმუნდი, იქ საერთოდ არ გამჭირვებია, არადა, რუსეთიდან ეს გუნდი ევროპული ფეხბურთის გრანდად მეჩვენებოდა.

- "ვოლგას" პრემიერლიგაში დარჩენის პოტენციალი თუ აქვს?

- გადარჩენაზე არ უნდა გვქონდეს საქმე, წლეულს არ გავვარდებით. საწყის ტურებში დავრწმუნდით, რომ, სულ მცირე, რვა საუკეთესოში მოხვედრა შეგვიძლია.

მერაბ მამულაშვილი

● სპარტაკი

25 ფეხბურთელით ურეკში

ბაკურიანული შეკრებისა და თბილისში მზადების შემდეგ ცხინვალის "სპარტაკი" ურეკში გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა დედაქალაქში სამი ამხანაგური მატჩი გამართა - **ტეტუნაშვილის** სწრაფი გოლით თასის მფლობელი „გაგრა" 1:0 დაამარცხა, სტუ-ს 3:1 სძლია (**ხაჭვანი, ნ. მაისურაძე, თ. მეტრეველი**), საჩხერის "ჩიხურას" კი სინჯებზე მყოფი **გიორგი იჩქითის** დუბლით 2:0 მოუგო.

შიდაქართლელები ზღვისპირეთიდან თბილისში 22 ივლისს დაბრუნდებიან. შავიზღვისპირეთში ცხინვალელები ტაქტიკის დახვეწასა და გუნდის შეკვრაშეთამაშებაზე გააკეთებენ აქცენტს. "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა ურეკში 25 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები: **თორნიკე ზარქუა, ლაშა ძაგანია, ნიკა დაუშვილი.**

მცველები: **გივი კვარაცხელია, გიორგი ციმაკურიძე, ფრიდოლინ ბოიომო, ბადრი ტეტუნაშვილი, გიორგი ალავიძე, უჩა ბურძენაძე, გიორგი სეფიაშვილი.**

ნახევარმცველები: **თემურ შონია, კობა შალამბერიძე, გიორგი მამუჩიშვილი, ბესიკ დეკანოიძე, ვალერი კილასონია, კახაბერ კაკაშვილი, გიორგი ნარიმანიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, თორნიკე თუხარელი, დავით ზერეკიძე, ერეკლე ხაჭვანი.**

ბადრი კვარაცხელია

თავდამსხმელები: **ზვიად მეტრეველი, რევაზ ჯიქია, ილია ბუზალაძე, ზვიად ლობჟანიძე.**

ამ სიაში ყველა ის ფეხბურთელია, ვინც ბაკურიანის შეკრება გაიარა. მხოლოდ ერთი, ნახევარმცველი ნიკოლოზ მაისურაძეა დამატებული. ცნობისათვის, მაისურაძემ სამიდან ორ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა და გოლი და საგოლე პასი მიითვალა. დიდი შანსია, ურეკული შეკრების შემდეგ მისი საკითხი დადებითად გადაწყდეს.

ამ შეკრებისას "სპარტაკი" რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. ოთხი საკონტროლო შეხვედრა უკვე დაგეგმილია. 12 ივლისს ცხინვალელები ზუგდიდის "ბაიას" შეხვდებიან, 14-ში ბათუმის "ადელს" ეთამაშებიან, 18-ში ბათუმის "დინამოს" ესპარინგებიან, 21 ივლისს კი საჩხერის "ჩიხურას" გაეჯიბრებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

● ახალგაზრდული ნაკრები

შოთასთან, თურქეთში
გაბელია ბევრ ახალწვეულს გვპირდება, ტორპედომ კი თავისი ოთხი თქვა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 15 ივლისს **შოთა არველაძის** განწვრთნილ თურქულ "კაისერთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ქუთაისის "ტორპედოს" ვებგვერდის ინფორმაციით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** ეროვნულ ნაკრებში ოთხი ტორპედოელი მიიწვია: **გივი იოსელიანი, ცოტნე ხარაბაძე, თორნიკე თარხნიშვილი** და **ნიკა საბანაძე.**

ცხადია, სრული სიით დავინტერესდით, მაგრამ გაბელიამ გვითხრა, რომ შემადგენლობას დღეს გამოაქვეყნებს. ზოგადად კი გვაცნობა, რომ ბევრი ახალწვეული იქნება, მაგრამ მხოლოდ ბათუმის "დინამოს" მარცხენა მცველი **გიორგი ფარტენაძე** დაგვისახელა. არ გამორიცხა აზერბაიჯანიდან მოთამაშის გამოძახებაც და, მართალია, გვარი არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ეს ადვილი გამოსაცნობი უნდა იყოს - ახალგაზრდული ნაკრების ასაკისა იქ მხოლოდ თავუზის "თურანის" ნახევარმცველი **ზურაბ ხურციძე** თამაშობს.

მერაბ მამულაშვილი

● ბავშვთა ფეხბურთი

ელიტლიგის ელიტა გარკვეულია

თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ დაასრულა 10 ასაკობრივ ჯგუფში 2010-2011 წლების ელიტ ლიგის გათამაშება.

ტურნირი არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა, — იყო დაძაბული და საინტერესო მატჩები, ზოგიერთ ასაკში კი გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გამოვლინდა გამარჯვებული. შედეგები ბავშვთა ფეხბურთში არსებული მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ათი ასაკობრივი ჯგუფიდან მხოლოდ ორში გაიმარჯვეს რეგიონების გუნდებმა, დანარჩენ რვაში კი - თბილისის სკოლებმა. რაიონებში არსებული პირობების გათვალისწინებით, აღსანიშნავია რუსთაველთა და განსაკუთრებით ლაგოდეხელთა წარმატებები.

ყველაზე მეტი გამარჯვებული "ნორჩ დინამოს" ჰყავს – მათ 1997 და 1999-წლიანებში იპირველეს. "ნორჩი დინამო" არ არის ეკონომიკურად გამორჩეული სკოლა, მაგრამ წარმატებით მუშაობს. სკოლის დირექტორი და მთავარი მწვრთნელი **რევაზ ბარამიძე** კმაყოფილებას ვერ მალავს, ადგილშეცვლილმა სკოლამ სახელი და დატვირთვა აღიდგინა, რაზეც ტიტულებიც მეტყველებსო - ელიტლიგის გარდა, დინამოელებმა სხვა პრესტიჟული გათამაშებებიც მოიგეს (1994 და 1999-წლიანთა „აფხაზეთის თასი", თბილისის ბავშვთა ფესტივალი).

აღსანიშნავია, რომ "ნორჩი დინამოს" გუნდები, რომლებსაც **ავთო შენგელია** (1997-წლიანები) და **თამაზ კოსტავა** (1999-წლიანები) ხელმძღვანელობენ, ზედიზედ მეორე წელინადია იმარჯვებენ, ისევე როგორც 2000 წელს დაბადებულთა შორის გამარჯვებული **გია ჯანგავაძის** გუნდი, თუმცა ამჯერად ის "ავაზაში" მუშაობს.

გაგაცნობთ ზემოხსენებული ტურნირის პირველ სამეულებს. U-18. 1. „იმედი" (რუსთავი), 2. „ლოკომოტივი" (თბილისი), 3. 35-ე სკოლა (თბილისი); **1994 წლიანები.** 1. „დინამოს" აკადემია (თბილისი), 2. თენგიზ სულაქველიძის აკადემია (თბილისი), 3. „მერანი" (თბილისი); **1995 წლიანები.** 1. „რანი" (ლაგოდეხი), 2. 35-ე სკოლა, 3. სულაქველიძის აკადემია; **1996 წლიანები. I ჯგუფი.** 1. საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი), 2. გორი, 3. „ოლიმპი" (რუსთავი). **1996 წლიანები. II ჯგუფი.** 1. 35-ე სკოლა, 2. „ოლიმპიკი" (თბილისი), 3. თ. სულაქველიძის აკადემია; **1997 წლიანები.** 1. „ნორჩი დინამო", 2. „ოლიმპი" (ჯიქია-ᲨᲐ, თბილისი), 3. „ლოკომოტივი" (თბილისი); **1998 წლიანები.** 1. „ოლიმპი" (თბილისი), 2. „ავაზა-1" (თბილისი), 3. „მერანი-2" (თბილისი); **1999 წლიანები.** 1. „ნორჩი დინამო" (თბილისი), 2. „ოლიმპი"-1 (თბილისი), 3. „შევარდენი" (თბილისი); **2000 წლიანები.** 1. „ავაზა"-2 (თბილისი), 2. „იმედი" (თბილისი), 3. „ოლიმპი" (თბილისი); **2001 წლიანები.** 1. „ბაქსუდი" (თბილისი), 2. თ. სულაქველიძის აკადემია (თბილისი), 3. გორი.

მერაბ მამულაშვილი

● დიდი დაპირისპირება

დიდი ფრანგული დერბის დროს გულშემატკივართა თვალებში სხვანაირი ცეცხლი ინთება

ბრძოლა სიკვდილამდე

ნაწილი პირველი

ამ ორი ქალაქის წარმომადგენელთა დაპირისპირებას თავიდანვე ბედად ეწერა, რომ ყველაზე დაძაბული და ყველაზე პრინციპული ყოფილიყო. მარსელი და პარიზი საფრანგეთის ორი ყველაზე დიდი ქალაქია, რომელთა შორის კონფრონტაციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მარსელელებს არასოდეს უყვარდათ პარიზელები, სამხრეთელებიც ანალოგიურ პასუხს იღებდნენ დედაქალაქელებისგან. პროვანსელები ჩრდილოელებს ყოველთვის ზედმეტ სიამაყეში სდებდნენ ბრალს, ეს უკანასკნელები კი პირველებს სულ პროვინციალებსა და ჩვენებურად რომ ვთქვათ, "გლეხუჭებს" უწოდებდნენ. ერთმანეთის მიმართ დაუფარავ ქიშპობას გასული საუკუნის 70-იან წლებში ახალი საფუძველი მიეცა, რადგან მანამდე პარიზს პროფესიული საფეხბურთო კლუბი არ ჰყოლია. მათი პირველი დაპირისპირებიდან მოყოლებული ასეა, როცა ისინი ერთმანეთს ეთამაშებიან, ტურის ყველა სხვა დაპირისპირება მეორეხარისხოვანი ხდება.

ერთი ბანაკიდან მეორეში ფეხბურთელების გადასვლას დიდი სკანდალები მოსდევს ხოლმე (ასე იყო **ფაბრის ფიორეზის**, **ჟოზე ანიგოსა** და **ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის** შემთხვევებში). ამ გუნდების გზები ხშირად იკვეთებოდა, როცა ლაპარაკი საჩემპიონო რბოლაზე იყო. ამის ყველაზე ნათელი მაგალითები იყო 1986/87 და 1998/99 წლების სეზონები. ამ ორი კლუბის ფანებს შორის მტრობას იმხელა ტრადიცია აქვს, რომ შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მათი ურთიერთობა არასოდეს გახდება ნეიტრალურიც კი. ფეხბურთის ნებისმიერ მოყვარულ მარსელელში (არადა, ამ ქალაქში ფეხბურთი ლამის ყველას უყვარს) პსჟ-ს მიმართ ზიზღი უკვე ინსტინქტად იქცა. და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფანისთვის ის, რაც მინდორზე ხდება, არის არა უბრალოდ ფეხბურთი, არამედ ბრძოლა. დედაქალაქელთა ფანებიც ყოველ ჯერზე ამას ამტკიცებენ. იმისთვის, რომ ნებისმიერი დაპირისპირების დროს მატჩმა მშვიდად ჩაიაროს, პოლიციას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ისტორიის განმავლობაში მათ ერთმანეთში 70-ზე მეტი შეხვედრა გამართეს და გამონაკლისი ამ წესიდან პრაქტიკულად არ ყოფილა. შეგვიძლია მას ყველაზე ახალგაზრდა დერბი ვუწოდოთ, მაგრამ გადაჭარბების გარეშე იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს ყველაზე პრინციპული დაპირისპირებაა ფრანგულ ფეხბურთში.

ყველაფერი 1971 წელს დაიწყო. ამ დროს "მარსელი" "ნანტთან" და "სენტ ეტიენთან" ერთად ფრანგული ფეხბურთის ლიდერი იყო, "პარი სენ-ჟერმენი" კი დაარსებიდან სულ რაღაც წელინადს ითვლიდა. ამ კლუბს ჯერ კიდევ მოყვარულის სტატუსი ჰქონდა, სულ კი მის რიგებში 6 პროფესიონალი ფეხბურთელი ირიცხებოდა. პირველად დერბიში "მტრები" ერთმანეთს 1971 წლის 12 დეკემბერს შეხვდნენ "ველოდრომზე". მატჩი მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით 4:2 დამთავრდა. "პარკ დე პრენსზე" მეორე წრის შეხვედრაც "ოლიმპიკმა" მოიგო, ამჯერად 2:1. პარიზელებმა ის სეზონი ძალზე წარუმატებლად ჩაატარეს, მე-16 ადგილზე გავიდნენ და ელიტურ ლიგას დაეშვნენ. მომდევნო დაპირისპირება მხოლოდ 2 წლის შემდეგ შედგა. ამავე პერიოდში მოხდა დაპირისპირება პსჟ-ს დამფუძნებელთა შორის, ორგანიზაცია ორ ნაწილად გაიყო – "საფეხბურთო კლუბი პარიზი" და პსჟ.

1974/75 წლების სეზონში უკვე პროფესიული სტატუსის მქონე დედაქალაქელები ელიტას დაუბრუნდნენ, თუმცა პრინციპულ მეტოქესთან პირველივე დაპირისპირებაში ხელახლა დამარცხდნენ, ისევ 4:2. მეორე წრეში კი "მარსელმა" პირველი ქულა დაკარგა ჩრდილოელებთან. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ქულა გადაარჩინა – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ეს ლეგენდარულმა **ჟაირზინიომ** მოახერხა. სწორედ ამ დაკარგულმა ქულამ წაართვა შანსი პროვანსელებს, რათა საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ებრძოლათ. ეს გუნდები იმავე სეზონში თასის 1/4-ფინალურ სტადიაზეც შეხვდნენ და პარიზელებმა 2:2 და 2:0-ის წყალობით შემდგომი ეტაპის საგზური მოიპოვეს. გაითვალისწინეთ, რომ "ოლიმპიკი" პირველ მატჩს შინ 2:0-ს იგებდა და თანაც სტუმრები კაცნაკლულნი თამაშობდნენ. მომდევნო 1975/76-ის სეზონში, პროვანსელებმა ღირსეული პასუხი გასცეს მეტოქეს - 2:1, 3:2. მიუხედავად ამისა, "ოლიმპიკმა" ეს სეზონი პირწმინდად ჩააგდო, დაიკავა რა მე-9 ადგილი. 1976/77-ში კი პროვანსელებს მთლად ამაზე უარესი დრო დაუდგათ, მე-12 ადგილი. სწორედ ამ სეზონში მოახერხა პსჟ-მ პირველად ისტორიაში ჩემპიონატის მეტოქეზე მაღალ საფეხურზე დასრულება, თანაც პირად შეხვედრებშიც იმძლავრა – 2:1, 1:1.

1976/77-ის სეზონი "მარსელმა" სერბი **ივან მარკოვიჩის** ხელმძღვანელობით დაიწყო და სეზონი მშვენივრად ჩაატარა – მე-4 ადგილზე გავიდა. თუმცა სამხრეთში ხინჯად გულში ის ჩარჩათ, რომ გადავსებულ "პარკ დე პრენსზე" 5:1 წააგეს. ამ შეხვედრის შემდეგ პარიზს სიხარულისგან რამდენიმე დღე არ ეძინა. *"პირველ რიგში ეს გამარჯვება დანიელ ეშტერს ეძღვნება* (ცნობილი პარიზელი მოდელიერი, პსჟ-ს თავგადაკლული გულშემატკივარი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სპორტული სტილის ტანისამოსის დიზაინზე მუშაობა. რედ.), *შემდგომ კი ეს სრულფასოვანი რევანშია წინა წლების წარუმატებლობებისთვის"*, – განაცხადა პარიზელთა შეტევების მაშინდელმა ლიდერმა **კარლოს ბიანკიმ**. აღნიშნული შეხვედრა დღემდე რჩება ყველაზე დიდ ანგარიშად, რომელიც ამ გუნდებს შორის დაფიქსირებულა (თუმცა ოთხბურთიანი სხვაობით, 4:0 "მარსელმაც" შეძლო ერთხელ მოგება, ეს 1986 წელს მოხდა).

გაგრძელება შემდგომ ნომრებში

● აიაქსი

ერთიანი ბიბლიოთეკა

ფერტონგენი 20 მილიონად

იან ფერტონგენს აიაქსიდან წასვლა არ ეჩქარება

ამსტერდამის "აიაქსის" სპორტული დირექტორი **დანი ბლინდი** აცხადებს, რომ კლუბი ერთადერთ შემთხვევაში შეელევა **იან ფერტონგენს**, თუ მსურველი მასში 20 მილიონ ევროს გადაიხდის. წინაალმდეგ შემთხვევაში 24 წლის ბელგიელი კარიერას მინიმუმ ერთი წლით გააგრძელებს ამსტერდამულ გრანდში. ფეხბურთელის გადაბირების დიდი სურვილი აქვთ "არსენალსა" და "მანჩესტერ სიტის". *"დღეისთვის ჩვენ ფერტონგენის ტრანსფერთან დაკავშირებით ერთი ოფიციალური ნინადადებაც არ მიგვიღია,* - განუცხადა მან „ერედივიზიე ლაივს". – *მაგრამ თუკი ვინმე ფეხბურთელის კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას გაიღებს, ჩვენ სხვა გზა, გარდა ფეხბურთელთან გამოთხოვებისა, არ დაგვრჩება. გვესმის, რომ ვიღაცებს ინგლისში შეიძლება ძალიან უნდოდეთ ჩვენი მოთამაშის გადაბირება, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ფეხბურთელს ნებისმიერ კლუბში ვერ გავყიდით და ამას არც თავად მოინდომებს. იანის ახალი კლუბი რამდენიმე სერიოზულ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს".*

ბლინდმა **მაარტენ სტეკელენბურგის** შესაძლო ტრანსფერზეც ილაპარაკა: *"ჩვენი მეკარით "რომაა" დაინტერესებული; თუმცა მათი ინტერესი ჯერჯერობით, ეტყობა, ზოგადია. ამსტერდამში ისინი ჯერაც არ ჩამოსულან, შესაბამისად, მოლაპარაკება არ დაუწყიათ. ამაზე მეტს მე ვერაფერს მოგახსენებთ".* შეგახსენებთ, რომ სტეკე 10 მილიონად არის შეფასებული.

● პარი სენ-ჟერმენი

ეღირსათ...

ლაპარაკი იმაზე, რომ **ლეონარდო** "პარი სენ-ჟერმენის" სპორტულ დირექტორად უნდა დანიშნულიყო, თვეზე მეტია, რაც დაიწყო და მას მერე დღე არ გავიდოდა, რომ მასმედიას რამე ახალი ჭორი არ გაეგრცელებინა. და აი, "ეკიპი" წერს, რომ მხარეთა შორის მოლაპარაკებების ფინალური რაუნდი უკვე დასრულდა, ხელშეკრულება უახლოეს 24 საათში გაფორმდება და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს პრეზენტაციაზე აუცილებლად უხმობენ.

ახლა მოკლედ პარიზელთა სატრანსფერო გეგმებზე ვილაპარაკოთ. ჯერ ის ვთქვათ, რაც პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია: "პარიზიენის" ცნობით, თელ-ავივის "ჰაპოელის" მენეჯერები მთავარი მწვრთნელის **დრორ კაშტანის** თხოვნის შემდეგ დაფაცურდნენ, რათა გუნდს კვალიფიციური მეკარე შეეძინა. მათ პსჟ-ს 25 წლის კამერუნელ მეკარე **ედიმ ედელემს** დაადგეს თვალი. როგორც წყარო ამბობს, საქმე 99%-ით უკვე გადაწყვეტილია.

ახლა კი პარიზელთა ამბიციურ გეგმებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა: ის ფაქტი, რომ კლუბის მენეჯმენტი ძირითადად შემტევი ფეხბურთელების გადაბირებაზე ზრუნავს, უკვე დიდი ხანია აღვნიშნეთ. მომავალი სეზონისთვის კლუბმა უკვე გადაბირა საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, წინა საფეხბურთო წლის ვიცე-ბომბარდირი **კევინ გამეირო**. თუმცა გამეიროს გარდა, მათ კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელს შესთავაზეს კონტრაქტი. ამ საქმეებიდან როგორც ჩანს, არაფერი გამოვიდა. მაგალითად, არგენტინელი **ხავიერ პასტორეს** გაყიდვაზე "პალერმომ" თქვა უარი, პარიზში კარიერის გაგრძელება თავად უარა "არსენალის" წევრმა **მარუან შამახმა**. ინგლისური "დეილი მეილის" ინფორმაციით, 32 წლის **ნიკოლა ანელკას** სანაცვლოდ პარიზელებმა "ჩელსის" 9 მილიონი ევრო შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ ნიკოლა პსჟ-ში ორჯერ უკვე თამაშობდა. 1994/97 (ასაკობრივ გუნდში) და 2000/02 წლებში. იგივე "დეილი მეილი" ამტკიცებს, რომ სწორედ ანელკაა ის პირველი ფეხბურთელი, ვისთან თანამშრომლობაც **ანდრეს ვილაშ-ბოაშმა** არ მოისურვა.

"ჰერენვენის" მაროკოელი ცენტრალური ნახევარმცველი 22 წლის **უსამა აისადი** ასევე მოხვდა "პარკ დე პრენსის" მკვიდრთა ყურადღების ცენტრში. ორიოდე კვირის წინ მასზე წერდნენ, რომ აფრიკელი კარიერას პსვ-ში განაგრძობდა. უსამას **ბალაშ ჯუჯაკის** შემცვლელად განიხილავდნენ, მაგრამ მას მერე "ეინდჰოვენმა" სამი მაღალი კლასის ნახევარმცველი გადაიბირა (**კევინ სტროოტმანი, დრის მარტენი** და **ჟორჟინიო ვაინალდუმი**), რამაც აისადის ტრანსფერი დღის წესრიგიდან მოხსნა. ამის მუხედავად ნიჭიერ ფეხბურთელს სხვა კლუბების მხრიდან ყურადღება არ მოჰკლებია; მეტიც - როგორც ვხედავთ, აისადიმ პსვ-ზე ბევრად უფრო მდიდარი და ალბათ არანაკლები პოტენციალის კლუბის ყურადღება მიიპყრო. ჯერჯერობით თავად მაროკოელი უარს აცხადებს რამე კომენტარზე, რადგან მისი თქმით, სათქმელი არც არაფერი აქვს. მისადმი კომპლიმენტებს არ იშურებს "ჰერენვენის" თავკაცი **რონ იანსიც**, ვისი თქმითაც, ფეხბურთელს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● შალკე

პროფესორი იმედგაცრუებულია

რალფს უკვირს: სად წავიდა ნოიერში აღებული ფული? ყენიაზე არაფერი ისმის



შალკეს შეფები რალფ რანგნიკს ტრანსფერებისთვის საკმარის თანხას ვერ აძლევენ

შაბათს, მორიგი ტესტ-მატჩის შემდეგ, რომელშიც „შალკემ" ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდი 8:0 დაამარცხა, გელზენკირხენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესი** და მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი**, ფინანსურ დირექტორ **პეტერ პეტერსთან** ერთად, ამ უკანასკნელის კაბინეტში შევიდნენ, სადაც მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკთან** სალაპარაკოდ განმარტოვდნენ. მსჯელობის მთავარი თემა „შალკეს" სატრანსფერო გეგმები იყო – საუბარმა მხოლოდ 20 წუთს გასტანა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, მოლაპარაკებების დროს ფეთქებადი სიტუაცია შეიქმნა.

ეს ყველაფერი მას მერე გაირკვა, რაც შეხვედრის შემდეგ, რანგნიკმა ჟურნალისტებთან საუბრისას აი, ასეთი კომენტარი გააკეთა: *„კლემენს ტიონიესთან შესაძლო ტრანსფერებზე ვისაუბრე. რამდენიმე კვირის წინ ვფიქრობდი, რომ ხელმძღვანელები მანუელ ნოიერის სანაცვლოდ (გერმანიის ნაკრების მეკარე „ბაიერნში" გაიყიდა) აღებული 25 მილიონიდან, დიდ ნაწილს ახალი ფეხბურთელების ტრანსფერებში დააბანდებდნენ. ახლა კი მეუბნებიან, რომ კლუბი რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია და ახალი ფეხბურთელების შესაძენად საკმარისი ფული არ გვაქვსო."*

მიუხედავად იმისა, რომ „შალკემ" გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ უეფასგან დაახლოებით 60 მილიონი ევრო მიიღო, გელზენკირხენულ კლუბს დღეისათვის 216-მილიონიანი ვალი აქვს. თუმცა რანგნიკს კლუბის ბოსების ძველი ცოდვები ნაკლებად აინტერესებს და გუნდის გაძლიერებისთვის ფულის გამოყოფას ითხოვს. შეფებს უთქვამთ, ტრანსფერებში 13 მილიონზე მეტის დახარჯვა არ შეგვიძლიაო, რალფს კი მინიმუმ 23 მილიონი სჭირდება, რადგან „ფრაიბურგის" გოლეადორი **პაპის დემბა სისე** 15 მილიონი ღირს, „ბრესტის" თავდამსხმელი **რუ** კი 8 მილიონად ფასობს.

„ჩემი აზრით, დისკუსია ნაყოფიერი იყო. ჩვენ რანგნიკისთვის არასდროს გვითქვამს, რომ ტრანსფერებში ძალიან ბევრ ფულს დავხარჯავდით," - ამბობს ტიონიესი.

„სამწუხაროდ, ფინანსური მდგომარეობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ძვირად ღირებული მოთამაშეები ვიყიდოთ. ძველი ტრანსფერებიდან, რამდენიმეს ფული ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გადახდილი",- ეს კი ფინანსური დირექტორის, პეტერსის სიტყვებია.

„ბილდის" მიერ ამას წინათ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ კი, რომლის მიხედვითაც, „შალკე" **ლევან ყენიას** ტრანსფერზე დაყენებას აპირებდა, ახალი არაფერი ისმის. შესაბამისად, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს სპეკულაცია იყო, თუმცა ხომ იცით, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და უმჯობესია, ოფიციალურ ცნობებს დაველოდოთ.

● ლევერკუზენი

კიოპკეს რჩევა ადლერს: დარჩი!

ფარმაცევტები რენეს წელიწადში 3 მილიონს სთავაზობენ

რენე ადლერს ლევერკუზენთან კონტრაქტი გაისად უმთავრდება

ლევერკუზენის „ბაიერის" 26 წლის მეკარე **რენე ადლერს** „ფარმაცევტებთან" კონტრაქტი მხოლოდ 2012 წლამდე აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გერმანიის ნაკრების მეორე მეკარე ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, გაისად „ლევერკუზენიდან" წასვლა უფასოდ შეეძლება. შესაბამისად, კლუბის ბოსები ძალიან ნერვიულობენ და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ადლერი ახალ კონტრაქტზე დაითანხმონ, რადგან რენეს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს.

„ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერის" ხელმძღვანელებმა ადლერს მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და მზად არიან, წელინადში სამი მილიონი ევრო გადაუხადონ, მაგრამ ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს გადაწყვეტილების მიღება უჭირს. „ფარმაცევტების" ხელმძღვანელებს ნამდვილად გაახარებდა გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკეს** განცხადება, რომელმაც ადლერს ბუნდესლიგაში დარჩენა ურჩია.

„რენეს ვურჩევ, გერმანიიდან არ წავიდეს. ბუნდესლიგის პროგრესი სახეზეა, გაისად გერმანიიდან ჩემპიონთა ლიგაში უკვე ოთხი გუნდი გავა და გერმანული კლუბები ევროტურნირებზე სულ უფრო და უფრო კარგად ასპარეზობენ. აქედან გამომდინარე, რენესთვის გერმანიაში დარჩენა იდეალური გადაწყვეტილება იქნება. აქ მას შეუძლია, იმაშიც დარწმუნებული იყოს, რომ დაპირებულ ხელფასს აუცილებლად მიიღებს. სხვა ქვეყნებში კი შედარებით არასტაბილური მდგომარეობაა," - აცხადებს 49 წლის კიოპკე.

რჩევა ბუნდესლიგაში დარჩენასთან დაკავშირებით, ადლერის შემთხვევაში ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ანდი კიოპკე მას „ლევერკუზენში" დარჩენას ურჩევს, რადგან რენე ყველასათვის საოცნებო გერმანულ კლუბში, მიუნხენის „ბაიერნში" უკვე ვეღარ გადავა - რეკორდმაისტერმა **მანუელ ნოიერის** სახით გერმანიის ნომერ პირველი კიპერი შეიძინა. შესაბამისად, „ბაიერნს" ახალი მეკარე კიდევ დიდხანს აღარ დასჭირდება.

● ამბები

ჰუმელსი: ულოვი უფრო მაფასებს, ვიდრე ლიოვი

დიორტმუნდის „ბორუსიას" და გერმანიის ნაკრების მცველმა **მატს ჰუმელსმა** დაადასტურა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას „დორტმუნდის" თავკაცი **იურგენ კლოპი** უფრო აფასებს, ვიდრე გერმანიის ნაკრების დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი** და ამის მიზეზებზეც გულახდილად ისაუბრა.

„ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან კლოპი ყოველდღე მხედავს, ლიოვმა კი საქმეში ცოცხლად მხოლოდ 9-ჯერ მნახა. შესაბამისად, კლოპმა უკეთ იცის ჩემი შესაძლებლობები და გაცილებით უკეთ მიცნობს, ვიდრე ბუნდესმწვრთნელი. დარწმუნებული ვარ, იოგი უკეთ რომ გამიცნობს, უფრო მეტად დამაფასებს", - უთხრა 22 წლის მცველმა „კიკერს".

თურქეთში დაჯერები გრძელდება

თურქული სკანდალის შესახებ სიახლეებია: გუშინ პოლიციამ კიდევ 26 პირი დააკავა, რომელთაგან ერთი ვიცე-ჩემპიონ „ტრაბზონსპორის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია, ერთი კი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი. საერთო ჯამში, 3 ივლისის შემდეგ, თურქეთში 60 პირი დააკავეს – მათ შორის, ჩემპიონ „ფენერბაჰჩეს" ორი მოთამაშე, პრეზიდენტი და ფინანსური განყოფილების ორი თანამშრომელი. უახლესი ინფორმაციით, გასული სეზონის 19 მატჩი მანიპულირებული იყო.

შეგახსენებთ, რომ „ფენერი" თურქეთის ჩემპიონი ბოლო ტურში, ბურთების „ტრაბზონზე" უკეთესი სხვაობის გამო გახდა. დიდი შანსია, რომ „ფენერბაჰჩეს" ტიტული ჩამოართვან და მეორე ლიგაში გადაისროლონ. თურქული პრესის ცნობით, გადაწყვეტილება პარასკევს უნდა გახდეს ცნობილი, რადგან სწორედ პარასკევსაა ევროტურნირებზე კლუბების დარეგისტრირების ბოლო ვადა.

ასამოა მოყვარულებთან ვარჯიშობს

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ჯერალდ ასამოა** „შალკესთან" გამოთხოვების შემდეგ, ნორდრაინ ვესტფალენის მხარის კლუბ „ჰიულსთან" ერთად ვარჯიშობს. 32 წლის ასამოა ამ კლუბში „შალკეს" ყოფილმა ფეხბურთელმა და ჯერალდის საუკეთესო მეგობარმა **ოლაფ ტონმა** შეიფარა, რომელიც „ჰიულსის" მწვრთნელია.

შეგახსენებთ, რომ ასამოამ „შალკესთან" კონტრაქტი ივნისის ბოლოს განყვიტა, რადგან გელზენკირხენული კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამამის გარანტია ვერ მიიღო და ჯერჯერობით უკლუბოდაა. ჯერალდ ასამოას ბუნდესლიგაში 306 მატჩი აქვს ჩატარებული (50 გოლი).

ვან ბუიტენი ბრძოლას აპირებს

„ბაიერნის" 33 წლის ბელგიელმა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა** „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რეკორდმაისტერმა დაცვის ხაზის გასაძლიერებლად ვინც უნდა იყიდოს, დანებებას არ ვაპირებ და სასტარტო შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ბოლომდე ვიბრძოლებო. ვან ბუიტენისთვის მნიშვნელობა არ აქვს, „ბაიერნი" **ჟერომ ბოატენგს** იყიდის, თუ **ალექსს** – აყლაყუდა ბელგიელი უკანახაზელი არავის არაფერს დაუთმობს.

„ყოველი სეზონის წინ ამბობენ ხოლმე, „ბაიერნს" ახალი მცველი სჭირდებაო და რეკორდმაისტერიც ხშირად ყიდულობს ახალ უკანახაზელებს, მაგრამ მე ჯერ კიდევ აქ ვარ და ყოველთვის ვთამაშობ ხოლმე. სკამზე ჯდომას არ შევეგუები და ბოლომდე ვიბრძოლებ," - ამბობს ვან ბუიტენი ხსენებულ ინტერვიუში.

● ვერდერი

კლაუდიო პისარო ბუნდესლიგის სტარტამდე გამოჯანმრთელებას ალბათ მოასწრებს

პისარო ფეხზე დგება!

არსენალი მერტეზაკერში 8 მილიონს იხდის

ტრანსფერი გამოწვეული სამკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, „ვერდერის" 32 წლის გოლეადორი **კლაუდიო პისარო** არეგენტინიდან ბრემენში დაბრუნდა. „მუსიკოსების" ფანებს უდავოდ გაახარებთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, პისარო გერმანიის ჩემპიონატის სტარტს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს და 6 აგვისტოს, „კაიზერსლაუტერნთან" მატჩში მონაწილეობა მიიღოს.

„გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან კარგად მიდის და ვფიქრობ, ორ კვირაში სრული დატვირთვით ვარჯიშს განვაახლებ, რაც იმას ნიშნავს, რომ წესით, 6 აგვისტოს მოედანზე გასვლა პრობლემა არ უნდა იყოს," - უთხრა პისარომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

გამორიცხული არ არის, რომ პისარო „ვერდერის" ახალი კაპიტანი გახდეს. როგორც იცით, **ტორსტენ ფრინგსის** წასვლის შემდეგ (ვეტერანი საყრდენი ტორონტოში წავიდა), ბრემენელთა მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** ახალ კაპიტანს ეძებს და როგორც „ბილდმა" გაარკვია, თურმე კლაუდიოს კანდიდატურაზე სერიოზულად ფიქრობს. პისარო ამბობს, თუ თომასი კაპიტნის სამკლავურს შემომთავაზეს, მზად ვარ, ეს უაღრესად საპასუხისმგებლო სტატუსი მივიღოო.

„ზოგადად, მომავალი სეზონისთვის ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ „ვერდერი" ისევ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს", - აცხადებს პერუელი ფორვარდი.

დაცვის მთავარი ბურჯი ლონდონისკენ?

ბრემენული კლუბი დაცვის ბურჯ **პერ მერტეზაკერს** კონტრაქტს ნაადრევად ვერ უგრძელებს, რადგან „ვერდერს" ფინანსური პრობლემები აქვს. შესაბამისად, გერმანიის ნაკრების მცველის მსურველი გუნდები გააქტიურდნენ, ყველაზე მეტად კი, ისევ ლონდონის „არსენალი" აქტიურობს. „მეთოფეების" თავკაც **არსენ ვენგერს** 26 წლის მერტეზაკერის შეძენა დიდი ხანია უნდა და როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ახლა საუკეთესო შანსი აქვს. ასეცაა, რადგან პერს „ვერდერთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და რაკი ახალი ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა, „მუსიკოსებმა" დაცვის ბურჯი ახლავე თუ არ გაყიდეს, გაისად უფასოდ დაკარგავენ. „არსენალი" კი სწორედ ახალ ცენტრალურ მცველს ეძებს და „ბილდის" ინფორმაციით, მზადაა, მერტეზაკერში 8 მილიონი ევრო გადაიხადოს.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

არტურო ვიდალზე დიდი მოთხოვნაა

ვიდალი: იუვე კარგი ვარიანტია!

ჩილელმა საყრდენმა ხელი ტურინისკენ გაიშვირა: მაშ ბაიერნს რაღა?

„ლევერკუზენისა" და ჩილეს ნაკრების საყრდენ **არტურო ვიდალზე** დიდი ამბებია ატეხილი. ჯერ ერთი, „ლევერკუზენს" უნდა 24 წლის ნახევარმცველის შენარჩუნება და „ფარმაცევტების" შეფები ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ გუნდის ლიდერი „ბაიერში" დარჩენაზე დაითანხმონ. თუმცა ვიდალის დაყოლიება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მიუნხენის „ბაიერნის" გარდა (რეკორდმაისტერს არტუროს ყიდვა ძალიან უნდა), ჩილელის გადაბირება იტალიურ გრანდებს, „მილანს", „ინტერს", „იუვენტუსს" და „ნაპოლისაც" სურთ. თვითონ ფეხბურთელმა კი თქვა, ყველაზე კარგ ვარიანტად „იუვე" მეჩვენებაო!

გერმანელი ექსპერტები უკვე დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ვიდალი არც „ლევერკუზენში" დარჩება და არც „ბაიერნში" გადავა. საქმე ის არის, რომ „ფარმაცევტების" ხელმძღვანელები სთხოვენ, თუ ჩვენგან წახვალ, „ბაიერნში" მაინც ნუ გადახვალ და ჩვენს კონკურენტს ნუ გააძლიერებო.

„დასამალი არაფერია: ყველაზე მეტად „იუვენტუსის" ვარიანტი მომწონს, თუმცა ტურინული კლუბის შეფებთან არ მისაუბრია. იმედია, „ლევერკუზენის" ხელმძღვანელები ყველაფერს გაგებით მოეკიდებიან. ფაქტია, რომ მომავალზე უნდა ვიფიქრო და „იუვე" მართლაც კარგი ვარიანტია", - უთხრა ვიდალმა „სქაი სპორტს".

დასრულდება თუ არა კოჰა ამერიკა, არტურო ვიდალის მომავალი მაშინვე გაირკვევა. ჩილელი მიმომხილველები წერენ, „იუვენტუსს" ფეხბურთელის დიდი ფასი არ აშინებს – ტურინული გრანდი მზადაა, არტუროში 21 მილიონი ევრო გადაიხადოსო.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ჩელსი

ისევ მოუჭინიო ვიყიდოთო

ჟოაო მოუტინიო

28 წლის **მიკაელ ესიენმა** „ჩელსის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე მარჯვენა მუხლი ისე იტკინა, რომ მის კარიერას საფრთხე დაემუქრა. როდის დაუბრუნდება განის ნაკრების ვარსკვლავი მოედანს, ან საერთოდ დაუბრუნდება თუ არა, ჯერ არავინ იცის, დანაკარგით შეშინებული **ანდრე ვილაშ-ბოაში** კი იძულებულია მის შემცვლელზე იფიქროს. ამბობენ, რომ „ლურჯების“ ახალ მწვრთნელს ესიენის შემცვლელად „პორტოში“ თავისი ყოფილი ფეხბურთელი, 24 წლის პორტუგალიელი **ჟოაო მოუტინიო** ესახება.

მოუტინიოს საბაზრო ფასი 35 მილიონი ფუნტი ანუ 39,2 მილიონი ევროა, თუმცა იყიდიან დასავლეთ ლონდონელები მას თუ არა, **ლუკა მოდრიჩის** „ტოტენჰემიდან“ ყიდვა-არყიდვის ამბავზეა დამოკიდებული. ისე კი, შეგახსენებთ, რომ სანამ მოდრიჩის თემა წამოიწეოდა, ვილაშ-ბოაში მოუტინიოს ყიდვას ითხოვდა.

არის თუ არა შანსი, რომ „პორტოს“ პრეზიდენტმა, **პინტო და სილვამ** მოუტინიოს ფასი დააკლოს? ძალიან საეჭვოა, რადგან ფულის 25 პროცენტი ნახევარმცველის წინა კლუბმა, ლისაბონის „სპორტინგმა“ უნდა წაიღოს. ინტერვიუში და სილვამ კატეგორიულად თქვა:

„უცხოეთის დიდ კლუბებს ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს იაფად არ მივყიდით. მოუტინიოს ცენტიც არ დააკლდება“.

„ჩელსის“ სატრანსფერო ამბებიდან კიდევ იმის მოყოლა შეიძლება, რომ 29 წლის ბრაზილიელი **ალექსი,** 12,3 მილიონ ევროდ, შესაძლოა, მალე, , „ბაიერნის“ მოთამაშე გახდეს. ალექსი ცენტრალური მცველია, რომელსაც „ჩელსისთან“ 2013 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ დასავლეთლონდონელებმა იანვარში მისი თანამემამულე, 24 წლის **დავიდ ლუიზი** იყიდეს და ალექსი აღარ სჭირდებათ. ალექსის ყიდვა გერმანელი „რეკორდმაისტერის“ გარდა მადრიდის „ატლეტიკოს“, „პარმასა“ და „პარი სენ ჟერმენს“ სურთ.

● ასტონ ვილა

ოცი მილიონის ამბავია

სტიუარტ დაუნინგი

„არსენალს“ და „ლივერპულს“ გამოუცხადეს, რომ **სტიუარტ დაუნინგი** 20 მილიონი ფუნტი ღირს. საერთოდ, „ასტონ ვილას“ თავისი საუკეთესო გარემარბენეთმობა, მაგრამ გაყიდვაზე ასე პირდაპირ, კატეგორიულ უარსაც ვერ ამბობს და გამოსავალს მის ძვირად დაფასებაში ხედავს. ერთი სიტყვით, ბირმინგემის კლუბმა 26 წლის ვარსკვლავს უთხრა, რომ 20 მილიონს პენიც არ დააკლდება — თუ სადმე გადასვლა სურს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველები დათქმულ თანხას გადაიხდიან.

დაუნინგის შეძენა მერსისაიდელებს რომ უნდოდათ და ფეხბურთელსაც მათკენ მიუწევდა გული, ადრეც ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ გასულ უქმეებზე საქმეში „არსენალი“ ჩაერია. „მეთოფეთა“ თავკაცი, **არსენ ვენგერი,** სატრანსფერო ბაზარზე აქამდე სერიოზულად არ გამოჩენილა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ფრანგი დაუნინგში 18 მილიონის გადახდას გეგმავს.

„ლივერპულმა“ კი „ასტონ ვილას“ გარემარბში ჯერ 15 მილიონი შესთავაზა, ხოლო უარი რომ მიიღო, ერთი მილიონიც წაამატა. „წითლებს“ სხვა ვარიანტებიც ჰქონდათ: ბირმინგემელებს ფულს პლუს სხვადასხვა ფეხბურთელს სთავაზობდნენ, მაგრამ „ვილას“ თავკაც **ალექს მაკლიშს** ფული სჭირდება. აღსანიშნავია, რომ დაუნინგი მაკლიშს შეხვდა და პირადად ელაპარაკა. ფეხბურთელმა მწვრთნელს უთხრა, რომ წასვლა უნდა, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ვილას“ შეფები მის გასხვისებას არ აპირებენ და ყველა ღონეს იხმარენ, რათა ინგლისის ნაკრების წევრმა მომავალ სეზონშიც „ვილა პარკზე“ ითამაშოს. „ასტონ ვილას“ პრობლემა ის გახლავთ, რომ ამ ზაფხულში ერთი წამყვანი ფეხბურთელი, **ეშლი იანგი** უკვე გაყიდა — ვარსკვლავი, რომელიც შაბათს 26 წლისა გახდა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 20 მილიონ ფუნტად დაუთმო.

ბირმინგემული კლუბის პრესოფისი აცხადებს, რომ „არსენალს“ სტიუარტ დაუნინგთან დაკავშირებით „ვილასთვის“ ოფიციალურად ჯერ არ მიუმართავს.

ამასობაში კი მაკლიში თავად აპირებს ბაზარზე გასვლას - ამ კვირაში „ვესტ ჰემს“ **სკოტ პარკერის** თაობაზე დაელაპარაკება. „დიდი ეკი“ გუნდის გაძლიერებას 30 წლის პარკერითა და „მანჩესტერ სიტის“ 35 წლის მეკარე **შეი გივენით** აპირებს. პირველში შოტლანდიელი მწვრთნელი 6 მილიონ ფუნტს იხდის, ხოლო მეორეში 4 მილიონს.

კიდევ ერთი საქმე, რომელსაც მაკლიში ამ დღეებში შეეჭიდა და, როგორც ჩანს მოაგვარა, 24 წლის **სტივენ აირლენდის** დატოვება გახლავთ. ირლანდიელ ნახევარმცველს **ჟერარ ულიეს** ხელში, „ვილაში“ გასაქანი არ ჰქონდა და „ნიუკასლშიც“ კი იყო გაქირავებული. დღეს აირლენდი ამბობს:

„თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება, თამაშია“.

● ვესტ ბრომვიჩი

ჰარგრივზის შანსი



ოუენ ჰარგრივზი

როი ჰოჯსონი 30 წლის **ოუენ ჰარგრივზს** პრემიერლიგაში დარჩენის შანსს აძლევს. უმრავლესობისთვის ეს სრული მოულოდნელობა იყო, რადგან ტრავმებით დატანჯული ვეტერანი უკვე ჩამონერილად მიაჩნდათ. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ თავკაცი მომავალი სეზონის გუნდს აყალიბებს და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ გათავისუფლებულ „თავისუფალ აგენტს“ ასეთ ფორმულას სთავაზობს: „როგორც ითამაშებ, ისე გადაგიხდი“.

შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედმა“ ორივე მუხლის მრავალჯერადი ტრავმით განამებული ჰარგრივზი ამ ზაფხულის პირას, სეზონის დასრულების შემდეგ გაუშვა. თავად განსაჯეთ, ნახევარმცველმა „იუნაიტედში“ გატარებული ოთხი წლის განმავლობაში, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 27 შეხვედრა ჩაატარა. თუმცა, „კაჭკაჭები“ რისკავენ და „ბაიერნის“ ყოფილი ფეხბურთელისთვის კიდევ ერთი შანსის მიცემას აპირებენ. ჰოჯსონი და ჰარგრივზი ამ კვირაში, ამერიკაში შეხვდებიან ერთმანეთს — „ალბიონი“ კვირას, სეზონისწინა შეკრებაზე, კალიფორნიაში გაფრინდა.

შეგახსენებთ, რომ ოუენ ჰარგრივზს თავისთან გადასვლა, ცოტა ხნის წინ, „ლესტერ სიტის“ თავკაცმა, ცნობილმა **სვენ გორან ერიქსონმაც** შესთავაზა. ერიქსონი ნახევარმცველს იმ პერიოდიდან იცნობს, თავად ინგლისის ნაკრებს რომ ედგა სათავეში და მას გუნდში იწვევდა. ჰარგრივზს ინგლისის ეროვნულ გუნდში 42 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „ლესტერ სიტი“, გასულ სეზონში, ჩემპიონშიპში მეათე ადგილზე გავიდა.

● პირადი ცხოვრება

ჰარპერ სევენ ბექჰემი

მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეული ვარსკვლავისა და სელებრითის, **დევიდ ბექჰემის** პოპ-ვარსკვლავმა მეუღლემ, **ვიქტორია ადამს-ბექჰემმა** მეოთხე შვილი გააჩინა. სამი ვაჟის შემდეგ ბექჰემების ოჯახში გოგონა დაიბადა, რომელსაც **ჰარპერ სევენი** დაარქვეს. ჰარპერი ამერიკაში გავრცელებული სახელია, მას ძირითადად გოგონებს არქმევენ, თუმცა ბიჭი ჰარპერებიც არსებობენ. აი, სევენი კი, მოგეხსენებათ შვიდს ნიშნავს. შვიდი რა შუაშია? ახსნა ყველაფერს აქვს — ინგლისური გაზეთები, მაგალითად, ვარაუდობენ, რომ ახალშობილს შუასახელად სევენი დევიდის სპორტული წარსულის გამო დაარქვეს: ის ხომ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებში წლების განმავლობაში მეშვიდე ნომრით თამაშობდა. „ლოს ანჯელეს გელექსის“ 36 წლის ნახევარმცველმა ფეისბუქზე დაწერა:

„ძალიან ბედნიერი ვარ და ვღელავ, რადგან გაუწყებთ, რომ ქალიშვილი, ჰარპერ სევენ ბექჰემი შემეძინა. მისი წონა 3 კილოგრამი და 450 გრამია. ვიქტორიამ უპრობლემოდ იმშობიარა, ბიჭები კი გახარებულები არიან, და რომ შეეძინათ“.

გაზეთმა „სანმა“ ამბები ლოს-ანჯელესში, ბექჰემების ოჯახის ახლობელსაც გამოჰკითხა. მან თქვა:

„დევიდსა და ვიქტორიას ყოველთვის ძალიან მოსწონდათ სახელი ჰარპერი. ამ სახელს ლამაზი ყღერადობა აქვს, თუმცა სხვა დატვირთვა არ გააჩნია. რაც შეეხება სევენს, ის ნყვილმა ახალშობილს შუასახელად მიანიჭა. შვიდი ხომ იღბლიანი, ზეციური რიცხვია. თან, ბავშვი საღამოს შვიდ საათზე, ივლისში, მეშვიდე თვეში დაიბადა“.

ცნობა ჰარპერ სევენ ბექჰემის დაბადებასთან დაკავშირებით, გაზეთებმა სახალისო ამბებითაც გაალამაზეს. მაგალითად, ითქვა, რომ ვიქტორია გლამურულ ამერიკულ ჟურნალ „ჰარპერ'ზ ბაზარში“ რამდენჯერმე მოხვედრილა და გამოთქვეს ეჭვი, რომ მოდის სამყაროში მოტრიალე დედას სახელი ჰარპერი შეიძლება ჟურნალის ეშხითაც მოეწონა. ჰარპერთა შორის ყველაზე ცნობილი მწერალი **ჰარპერ ლი** გახლავთ, ავტორი წიგნისა „მოჰკალით ჯაფარა“.

შეგახსენებთ ბექჰემების ოჯახის უფროსი შვილების სახელებსა და ასაკს: უფროსი, **ბრუკლინი** 12 წლის არის, **რომეო** რვის, ხოლო **კრუზი** ექვსის. ტაბლოიდებმა ისიც დაწერეს, რომ პატარა ჰარპერ სევენი თურმე დედას ჰგავს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც დევიდსა და ვიქტორიას შვილის დაბადება ტექსტ-მესიჯით მოულოცა, სამეფო წყვილი, პრინცი **უილიამი** და **კეტრინ მიდლტონი** იყვნენ.

● ტოტენჰემი

25 წლის ხორვატმა გამთამაშებელმა, **ლუკა მოდრიჩმა** „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ომი გამოუცხადა. ვარსკვლავმა, რომელსაც „სფურზიდან“ „ჩელსიში“ გადასვლა სურს, თქვა, რომ ჩრდილოლონდონური კლუბის ქედმაღალმა თავმჯდომარემ, **დენიელ ლივიმ,** გასულ კვირაში, მასთან პირადი საუბრის დროს მუქარის ტონით ლაპარაკი იკადრა. მოდრიჩი სიბრაზეს ვერც ჟურნალისტებთან ამბის მოყოლის დროს მალავდა:

„თუ საჭირო გახდა, მოთხოვნას კლუბიდან გათავისუფლების შესახებ დავწერ და განცხადების სახით მივიტან. ლივის ჩემთან ასე არ უნდა ელაპარაკა — ძალიან უკმაყოფილო გახლავართ. მან თავის კაბინეტში ცივად მიმიღო და ქედმაღლური ტონი ჰქონდა. მითხრა, რომ არც კი აინტერესებს, რამ მიმიყვანა მასთან. მართალი გითხრათ, ლივის ასეთი ქცევის მიზეზი არ ვიცი, მაგრამ რაც უნდა იყოს, მისი პრობლემაა. მისმა ტონმა და დამოკიდებულებამ კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა, რომ „ტოტენჰემში“ გაჩერება არ შეიძლება“.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ხორვატის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი შესთავაზა, მაგრამ „დეზების“ მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა,** ამ შეთავაზებას სასაცილო უწოდა. შემდეგ ლივიმ განაცხადა, რომ მოდრიჩი არანაირ ფასად არ გაიყიდება.

გამთამაშებელმა, რომელმაც გასულ ზაფხულს, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“, ახალ, ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თავმჯდომარისგან განსხვავებით, ჰარი რედნაპისადმი დიდი პატივისცემა დაადასტურა. მან თქვა, რომ რედნაპი კარგად შეხვდა და აგრძნობინა, რომ აფასებს მას. აი, ლივიმ კი, მოდრიჩის თქმით, სიტყვა გატეხა:

„მე მას შევახსენე, რომ ერთი წლის წინ, დუბროვნიკში ყოფნისას, ჩვენ შორის ჯენტლმენური პირობა დაიდო. მართალია, იმ დღეს კლუბთან ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი, მაგრამ ისიც ვთქვით, რომ თუ ჩემი ყიდვით რომელიმე დიდი კლუბი დაინტერესდებოდა, დავსხდებოდით და ყველა მხარისთვის საუკეთესო გამოსავალს მოვიფიქრებდით. მე კაცურ სიტყვას ვენდობი და ლივის ნათქვამი ვიკმარე. არადა, შემეძლო ამის კონტრაქტში ერთ-ერთ მუხლად შეტანა მომეთხოვა. დღეს, ეს კაცი მიცხადებს, რომ არც კი მომისმენს. თურმე, არ აინტერესებს, რამ მიმიყვანა მის კაბინეტში. მან უხეშად გამომიცხადა, რომ „ტოტენჰემიდან“ არსად გამიშვებს. მეტიც, ლივი დამემუქრა, რომ თუ მის და კლუბის პირობას არ დავემორჩილები, სათადარიგოთა სკამზე ან სულაც ტრიბუნაზე დამსვამს და დამალპობს. ისიც კი მომახალა, მეორე გუნდში გადაგისვრიო. ვიმეორებ, მისმა ქცევამ დამარწმუნა, რომ ცამდე მართალი ვარ — „ტოტენჰემი“ რაც შეიძლება მალე უნდა დავტოვო“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ამბები

ალბერტო აკვილანი

აპვილანი ფიორენტინაში?

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ **ალბერტო აკვილანიმ** მომდევნო სეზონი „ფიორენტინაში“ გაატაროს. შეგახსენებთ, რომ 27 წლის ნახევარმცველი „ლივერპულის“ საკუთრებაა და გასული სეზონი იჯარის წესით „იუვენტუსში“ გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად ძირითად შემადგენლობაში იყო, პიემონტელებს მისი გამოსყიდვის სურვილი არ აქვთ და ფეხბურთელი უკან ინგლისში გააბრუნეს. აკვილანის იმედი დიდად არც მერსისაიდელებს აქვთ და მის ტრანსფერზე დაყენებას აპირებენ. ეს ამბავი „ფიორენტინას“ მესვეურებმა შეიტყვეს და ინგლისელებთან მოლაპარაკებაც წამოიწყეს - ამ ამბავს „ვიოლას“ სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** ადასტურებს:

„დასამალი არ არის, რომ რიკარდო მონტოლივომ შეიძლება „ფიორენტინა“ დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. გამომდინარე აქედან, მაღალი კლასის ცენტრალური ნახევარმცველის ძიებას შევუდექით და ალბერტო აკვილანის მიმართულებით გავაქტიურდით. ინგლისელები მასში 16 მილიონ ევროს ითხოვენ, ჩვენ კი ერთწლიანი საარენდო ხელშეკრულება გვაწყობს გამოსყიდვის უპირატესი უფლებით. ვნახოთ, მალე ყველაფერი გაირკვევა“.

ლაშა ნიკლაური

სამთავროდან მწვანეებში

როგორც ჩანს, ლიგა 2-ში დაქვეითებული „მონაკო“ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დარჩება. “ეკიპის” მტკიცებით, ულამაზესი ზღვისპირა სამთავროდან პროვინციულ სენტ ეტიენში გადავა კარიერის გასაგრძელებლად 24 წლის მეკარე **სტეფან რუფიე**. ფეხბურთელის ტრანსფერში “მწვანეები” (“სენტ ეტიენის” მეტსახელია) 3 მილიონ ევროს გადაიხდიან და სტეფანთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებენ. შეგახსენებთ, რომ რუფიე “მონაკოს” სკოლის აღზრდილია. ბოლო 3 წელია ის მონეგასკეების ძირითადის უცვლელი წევრი იყო.

ლიონი და ტრემულინასი

“გორდოს”25 წლის მცველი **ბენუა ტრემულინასი** შესაძლოა “ლიონში” გადავიდეს, - წერს “პარიზიენი”. საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონები მას **ალი სისოკოს** შემცვლელად განიხილავენ, ვისი ტრანსფერიც, საფეხბურთო ექსპერტების ვარაუდით, მხოლოდ დროის საკითხია. ჟირონდელები მარცხენა მცველში სავარაუდოდ 10 მილიონ ევროს მიიღებენ.

წინა სეზონში “ბორდოს” კაპიტანმა ლიგა 1-ში 31 მატჩი ჩაატარა და 3 საგოლე გადაცემა მიითვალა.

ლევან ბიბილაშვილი

ევროპული ლიგები. სტატისტიკა

ევროპის საუკეთესონი

ნაწილი I: მეგოლეები

ახლა სეზონებს შორის პერიოდია, როდესაც ევროპულ ფეხბურთში მთავარი სალაპარაკო თემა ტრანსფერებია. ამიტომაც, ჩვენი სტატიების დიდი ნაწილი სწორედ განხორციელებულ ტრანსფერებს, თუ სატრანსფერო სპეკულაციებს ეძღვნება. თუმცა მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლებით და დროდადრო სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს გთავაზობთ, რომლებიც სეზონის ბოლოს უხვად დაგროვდა. ახლა კი ცოტა ორიგინალურ მეთოდს მივმართავთ: გთავაზობთ ხუთი მოწინავე ევროპული საფეხბურთო ქვეყნის (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი) შედარებით სტატისტიკურ ანალიტიკას, თუმცა ერთი წუთითაც არ გვავიწყდება ის, რომ გერმანელები ცოტა დაჩაგრულ პოზიციაში არიან, მათი ბუნდესლიგის გარდა ყველა ჩემპიონატი 20-გუნდიანია. დღეს პირველ ნაწილს შემოგთავაზებთ, რომლის თემა გოლებია...

თქვენ წინაშე ყველა ის თავდამსხმელია (თუ შემტევი ნახევარმცველი), რომელთაც ევროპულ საკლუბო სეზონში თავი გამოიჩინეს. მათი პირდაპირი მოვალეობა ხომ გოლების გატანაა. ამიტომაც კარგად ჩანს, ვინ გაამართლა და ვინ ვერა. სიაში ყველა ფეხბურთელია, რომელთაც ტოპ-5-ში 12 და მეტი გოლი გაიტანეს სეზონის განმავლობაში. სია საკმაოდ დიდია, პორტუგალიელი **კრიშტიანო რონალდოდან** კორეელ **ჩუ-იუნ პარკამდე** (მონაკო). „რეალის“ ვარსკვლავს საოცარი სეზონი ჰქონდა - 40 გოლი გაიტანა და „ოქროს ბუციც“ გაინაღდა. მეორე ადგილზეც ლა ლიგის წარმომადგენელია - **ლეო მესიმ** 31 გოლი შეაგდო, სეზონის ბოლოს რომ არ მოეკლო, ვინ იცის, იქნებ რონალდოსთვის „ოქროს ბუცისთვის“ დუელიც მოეგო. მესამე ადგილზე „ბაიერნის“ 26 წლის ფორვარდი **მარიო გომესია**, ვინც 28 გოლი გაიტანა (ამდენივე აქვს გატანილი **ანტონიო დი ნატალესაც**, მაგრამ, ბუნდესლიგის ჩემპიონატი 4 ტურით მოკლეა იტალიურზე).

როგორც ვთქვით, ჩვენს სიაში მხოლოდ 5 მონინავე ქვეყანა შევიტანეთ. განზე დაგვრჩა ისეთი ძლიერი ჩემპიონატები, როგორიც, მაგალითად, ჰოლანდიური ერედივიზიეა. ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირი „ნეიმეგენის“ ბელგიელი ფორვარდი **ბიორნ ფლემინქსი** იყო 23 გოლით. პორტუგალიური ლიგა საგრეშის ბომბარდირი „პორტუს“ ბრაზილიელი ფორვარდი **ჰალკი** გახდა - 22 გოლი. რუსულ ლიგაში (2010 წ.) იყო-ჩაღა „სპარტაკის“ ბრაზილიელმა შემტევმა **ველიტონმა** - 19 გოლი. უკრაინულ პრემიერლიჰას 17 გოლით სათავეში დნიპროელი **ევგენი სელეზნიოვი** მოექცა. ბელგიაში ბომბარდირი **ჟილ ვოსენი** (გენკი) გახდა - 17 გოლი, შოტლანდიურ პრემიერლიგაში ბადალი არ ჰყავდა **კენი მილერს** (რეინჯერსი) - 21 გოლი. არადა, კენი იანვარში „ბურსასპორში“ გადაბარგდა, თორემ კიდევ რამდენი გოლის გატანას მოასწრებდა. თუმცა დავანებოთ თავი სხვა ქვეყნის ჩემპიონატებს და ისევ ტოპ-5-ს დავუბრუნდეთ.

ყველა ეს გოლი ევროპის ტოპგოლეადორებს ღია თამაშიდან არ გაუტანიათ. ზოგიერთი მათგანი გოლთა მარაგს ხშირად პენალტების მეშვეობით ზრდიდა. ამ მხრივ ყველაზე მეტად კრიშტიანო რონალდომ და **ფრანჩესკო ტოტიმ** ისარგებლეს, მათ 8-8 თერთმეტმეტრიანი გაიტანეს. 7-ჯერ გაიტანა ნიშნულიდან ბლექპულელმა **ჩარლი ადამმა**.

დიდი სარგებელი მოაქვს შემტევთათვის საჯარიმო დარტყმის კარგად შესრულების უნარს. ბოლო წლებია, სულ უფრო და უფრო ჭირს ამ მეთოდით გოლის გატანა, მეკარეები და მცველები უხეშ შეცდომებს იშვიათად უშვებენ და ახლა საჯარიმოდან გოლის გატანას დიდი მოხერხება უნდა, თუმცა კრიშტიანო რონალდოსთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს - ლა ლიგაში მან 5-ჯერ გაიტანა საჯარიმო დარტყმით და ევროპაშიც მასთან ახლოს ვერავინ მივიდა - მხოლოდ სამჯერ შეაგდო საჯარიმოდან ანტონიო დი ნატალემ და ეს ტოპ-5 ჩემპიონატებში ბომბარდირთა შორის მეორე შედეგია. ამ საქმეში სახელგანთქმულ **ფრანჩესკო ტოტის** სულ 2 გოლი აქვს ბოლო სეზონში საჯარიმო დარტყმით გატანილი.

ფეხის გარდა გოლის თავით გატანის უნარი თავდამსხმელებში ძვირად ფასობს. ვნახოთ, რომელი ფეხბურთელი გამოირჩა ამ მხრივ: ყველას ბასკმა **ფერნანდო ლორენტემ** აჯობა, რომელმაც თავისი გოლების ზუსტად ნახევარი - 9 - თავურით შეაგდო. შემდეგ მოდის „სოშოს“ ფორვარდი **მოდიბო მაიგა**, ვინც 15 გოლიდან 8 თავით გაიტანა. არადა, მაიგა სულ რაღაც 185 სმ-ია სიმაღლეში. მარსელელი **ლოიკ რემის** ანგარიშზე 7 შედეგიანი თავურია. ჩვენი შემდეგი სტატია უკვე ევროპის საუკეთესო მეპასეებს მიეძღვნება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კრიშტიანო რონალდო და მისი განთქმული საჯარიმო დარტყმა

გოლები

გოლი	ფეხბურთელი	კლუბი	ლიგა
40	კრიშტიანო რონალდო	რეალი	ლა ლიგა
31	ლიონელ მესი	ბარსელონა	ლა ლიგა
28	მარიო გომესი	ბაიერნი	ბუნდესლიგა
28	ანტონიო დი ნატალე	უდინეზე	სერია ა
26	ედინსონ კავანი	ნაპოლი	სერია ა
25	მუსა სოვი	ლილი	ლიგა 1
22	პ. დეგბა სისე	ფრაიბურგი	ბუნდესლიგა
22	კევინ გამეირო	ლორიანი	ლიგა 1
21	სამუელ ეტოო	ინტერი	სერია ა
21	დიმიტარ ბერბატოვი	მანჩესტერი	პრემიერლიგა
21	კარლოს ტევესი	სიტი	პრემიერლიგა
20	სერხიო აგუერო	ატლეტიკო	ლა ლიგა
20	ალვარო ნეგრედო	სევილია	ლა ლიგა
20	ალესანდრო მატრი	კალ. იუვ.	სერია ა
19	მარკო დი ვაიო	გოლონია	სერია ა
18	რობინ ვან პერსი	არსენალი	პრემიერლიგა
18	დავიდ ვილია	ბარსელონა	ლა ლიგა
18	ჯუზეპე როსი	ვილიარეალი	ლა ლიგა
18	ფერნანდო ლორენტე	ბილბაო	ლა ლიგა
18	რობერტო სოლდადო	ვალენსია	ლა ლიგა
17	მილოვიე ნოვაკოვიჩი	კიოლნი	ბუნდესლიგა
17	დარენ ბენტი	ასტონ ვილა	პრემიერლიგა
17	ჯანპაოლო პაცინი	სამპ. ინტ	სერია ა
17	ლისანდრო ლოპესი	ლიონი	ლიგა 1
17	იუსეფ ელ-არაბი	კადინი	ლიგა 1
17	გრეგორი პუშოლი	ვალანსიენი	ლიგა 1
16	სრდან ლაკიჩი	კაიზერსლ.	ბუნდესლიგა
16	ლუკას დენიოლი	დორტმუნდი	ბუნდესლიგა
16	ტეოფანის გეკასი	აინტრახტი	ბუნდესლიგა
16	ლოიკ რემი	მარსელი	ლიგა 1
15	ანდრე შიურლე	მაინცი	ბუნდესლიგა
15	პიტერ ოდემვინგიე	ვესტ ბრომვიჩი	პრემიერლიგა
15	ძარიმ ბენზემა	რეალი	ლა ლიგა
15	ფრანჩესკო ტოტი	რომა	სერია ა
15	ჟერვინიო	ლილი	ლიგა 1
15	მოდიბო მაიგა	სოშო	ლიგა 1
15	იდეი ბრაუნი	სოშო	ლიგა 1
14	დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	ბუნდესლიგა
14	სალომონ რონდონი	მალაგა	ლა ლიგა
14	ალეშანდრე პატო	მილანი	სერია ა
14	რობინიო	მილანი	სერია ა
14	ზლატან იბრაჰიმოვიჩი	მილანი	სერია ა
14	ნენე	პსჟ	ლიგა 1
13	ლუკაშ პოდოლსკი	კიოლნი	ბუნდესლიგა
13	რაულ გონსალესი	შალკე	ბუნდესლიგა
13	ფლორან მალუდა	ჩელსი	პრემიერლიგა
13	რაფაელ ვან დერ ვაარტი	ტოტენჰემი	პრემიერლიგა
13	დირკ კუიტი	ლივერპული	პრემიერლიგა
13	ენდი ჟეროლი	ნიუკ. ლივ.	პრემიერლიგა
13	დ.ჯ. კემპბელი	გლეძკული	პრემიერლიგა
13	ხავიერ ერნანდესი	მანჩესტერი	პრემიერლიგა
13	პედრო როდრიგესი	ბარსელონა	ლა ლიგა
13	პაბლო ოსვალდო	ესპანიოლი	ლა ლიგა
13	ფელიპე კაისედო	ლევანტე	ლა ლიგა
13	ანტონიო ფ. ფლორესი	უდინეზე	სერია ა
13	დიმიტრი პაიე	სენტ ეტიენი	ლიგა 1
12	არიენ რობენი	ბაიერნი	ბუნდესლიგა
12	თომას მიულერი	ბაიერნი	ბუნდესლიგა
12	ჩარლი ადამი	გლეძკული	პრემიერლიგა
12	კლინტ დემპსი	ფულჰემი	პრემიერლიგა
12	დიდიე დროგბა	ჩელსი	პრემიერლიგა
12	კევინ ნოლანი	ნიუკასლი	პრემიერლიგა
12	ფრედერიკ კანუტე	სევილია	ლა ლიგა
12	დავიდ ტრეზეგე	არკულესი	ლა ლიგა
12	ალბერტო ჯილარდინო	ფიორენტინა	სერია ა
12	ანდრეა კარაჩოლო	ბრეშია	სერია ა
12	ალეძსის სანჩესი	უდინეზე	სერია ა
12	ოლივიე ჟირუ	მონპელიე	ლიგა 1
12	ჩუ-იუნ პარკი	მონაკო	ლიგა 1

იუმორი

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

მერის არჩევნები

იტალიის დედაქალაქი არჩევნებისთვის ემზადება. მერის თანამდებობის დასაკავებლად ფინი, რუტელი და ტოტი ერთმანეთს ებრძვიან. მათ დაევალათ ამომრჩევლის წინაშე შესაბამისი სიტყვით წარდგარიყვნენ.

ხალხის წინაშე პირველი ფინი გამოვიდა: ჩვენ გპირდებით, რომ რომის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, წავახალისებთ ტურიზმს, ყურადღებას მივაქცევთ ხელოვნებას, თეატრს.

ხალხი: უკეთესი იქნება თუ მუშაობას ისწავლით.

ამომრჩეველთა წინაშე მეორე რუტელი წარდგა: ჩვენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გპირდებით, შევამცირებთ გადასახადებს, წავახალისებთ დასაქმებულებს.

ხალხი: კარგი იქნება, ჩვენთვის ცხოვრების გაუმჯობესებას თუ ისწავლით.

ამომრჩეველთა წინაშე მესამე ტოტი გამოვიდა: ჩვენ გპირდებით, რომ ავაყვავებთ ეკონომიკას, გავიყვანთ მეტროს „სტადიო ოლიმპიკომდე“ და გადასახადებისგან ყველანი გათავისუფლდებით.

ხალხის პასუხი: უკეთესი იქნება იტალიურს თუ ისწავლი.

ტოტი ბარში

ფრანჩესკო ტოტი შედის ბარში და ბარმენს ერთ შეკვრა კამფეტს სთხოვს.

ბარმენი: “ალემანის” კამფეტები მოგართვათ? (“ალემანის” ტკბილეულობა მილანში მზადდება)

ტოტი: რატომ, რომ გადავყარო?

შექსპირი

ტოტის შეყვარებული გაბრაზებულია, რადგან ჟურნალისტები ფრანჩესკოს როგორც უწიგნურს ისე მოიხსენიებენ.

ერთ დღესაც შეყვარებული ეუბნება: ძვირფასო, ყოველთვის დაგცინიან და შენზე ანეკდოტებს ჰყვებიან, კარგი იქნება თუ წიგნების კითხვას დაიწყებ, ამ გზით მათ დაუმტკიცებ, რომ განათლებული ხარ. ოდესმე თუ წაგიკითხავს შექსპირი?

ტოტი: რა თქმა უნდა!!! მაგრამ ზუსტად არ მახსოვს რა დაწერა.

ზომები

შეყვარებული: იცი, ძვირფასო, 90-60-90 სულაც არაა იდიალური პარამეტრები.

ტოტი: დიახ, ვიცი, “სტადიო ოლიმპიკოს” ზომები ხომ 47X95 არის.

ტორტი

რამდენ დროს მოანდომებდა ფრანჩესკო ტოტი შეყვარებულის ტორტზე “გილოცავ დაბადების დღეს” დაწერას?

სამი საათი და 30 წუთი დასჭირდა ამ სიტყვების ტორტზე დაწერას. აქედან 30 წუთი ორი ასოს დაწერას, ხოლო 3 საათი პრინტერის გასუფთავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ფაბიო კანავაროსთან

ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია

გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ ფაბიო კანავარომ კარიერის დასრულების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და იქვე დავძინეთ, რომ დღევანდელ ნომერში მის ვრცელ ინტერვიუს შემოგთავაზებდით. კანავარო ეპოქალური მასშტაბის ფეხბურთელი გახლდათ და ბუნებრივია, რომ ბოლო დღეებში მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. „გაძეტა დელო სპორტმა“ ყველას დაასწრო, ფაბიოს ესტუმრა და საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, რომლის ქართულ ვერსიასაც ქვემოთ გთავაზობთ...

- ფაბიო, კარიერის უკანასკნელი შეხვედრა 2006 წლის მუნდიალის ფინალური მატჩიდან ზუსტად ხუთი წლისთავზე ითამაშე. რას გრძნობდი?

- გამოვტყდები და კარიერის უკანასკნელი შეხვედრისას სწორედ ის წუთები მედგა თვალწინ, როდესაც მსოფლიო თასი აღვმართე. მთელ სხეულში ჟრუანტელი მივლიდა და მგონი ბოლო თამაში არცთუ კარგად ჩავატარე. ეს დღე სევდიანიც იყო ჩემთვის, რადგან ბოლოჯერ გავედი მინდორზე და პროფესიულ დონეზე ვითამაშე. ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია და ჯერ კიდევ არ ვიცი, რა განცდებთან იქნება დაკავშირებული მის გარეშე ცხოვრება. ამ შემთხვევაში ფეხბურთელის კარიერა მაქვს მხედველობაში, თორემ სპორტის ამ მართლაც საოცარ სახეობაში ყველა შემთხვევაში დავრჩები.

- ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს თქვენი გადაწყვეტილება?

- ოჯახს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ბუნებრივია, კონსულტაციები გავიარე. ჩემმა უმცროსმა შვილმა, კრისტიანმა მკითხა, ვიყავი თუ არა დარწმუნებული ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში და მე დადებითი პასუხი გავეცი. უკვე 37 წლის ვარ და დროა, ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდო. ამით ჩემი ოჯახიც მოიგებს, ბავშვებთან ურთიერთობისთვის მეტი დრო მექნება. სხვათა შორის, კრისტიანს ფეხბურთელობა სურს და მას გვერდში დგომა სჭირდება. ასე რომ, ჩემი გადაწყვეტილება პირველ რიგში მას წაადგება.

- რა ხდებოდა 2011 წლის 9 ივლისს? კიდევ რას გაიხსენებთ?

- მეტწილად საკუთარ თავში ვიყავი ჩაკეტილი, ემოციები მეძალებოდა და ვერც ვამჩნევდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ. როდესაც სახლში მივედი და ტელეფონს დავხედე, უამრავი შეტყობინება დამხვდა, რამაც ძალიან გამახარა. უბრალო გულშემატკივრები და მეგობრები მილოცავდნენ და ამან ძალიან გამახალისა - ყოფილმა თანაგუნდელებმა კი გამამხნევეს. მათ რა თქმა უნდა უკეთესად იციან, რომ ასეთ დროს გამხნევება უფრო გჭირდება, ვიდრე მოლოცვა. ბევრმა დამირეკა კიდეც, პირლოს ერთ საათს მაინც ველაპარაკე, მართლაც საოცარი ადამიანია. ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთმა ასეთ კაცებთან დამაახლოვა.

- ლიპი თუ შეგეხმიანათ?

- დიახ, მარჩელოს ველაპარაკე და როგორც ყოველთვის, ძალიან თბილი და საჭირო სიტყვები მოვისმინე. ლიპი ბრწყინვალე მწვრთნელი და საოცარი ადამიანია, რომელსაც ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი. ერთი მაგალითი შემიძლია გავიხსენო, რაც ალბათ ბევრმა იცის კიდეც. 2005 წლამდე ერთი მავნე ჩვევა მქონდა, რომელსაც დიდი მცდელობის მიუხედავად ვერაფრით გადავეჩვიე: სიგარეტის აქტიური მწეველი ვიყავი. მარჩელო ამ საკითხზე დაახლოებით ხუთ წუთს მესაუბრა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მავნე ჩვევისგან გავთავისუფლებულიყავი.

- ზამთარში განაცხადე, რომ კარიერის დასრულებას იტალიაში აპირებდი. რატომ შეცვალე გადაწყვეტილება?

- დიახ, მართლაც დიდი სურვილი მქონდა, რომ ერთი წელი სამშობლოში მეასპარეზა და ისე წავსულიყავი ფეხბურთიდან, თუმცა ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. „ალ აჰლიში“ ასპარეზობისას მარცხენა ფეხზე კუნთის ტრავმა მივიღე, რომელიც ქრონიკულ ტკივილებში გადამეზარდა. დუბაიში არაერთ ექიმს გავესინჯე და ყველამ მირჩია, რომ ჯობდა კარიერის დასრულებაზე მეფიქრა. არ დავნებდი და პროფესორ კასტელაჩისაც გავესინჯე, რომელმაც მითხრა, რომ სწორი და დროული მკურნალობის შემთხვევაში კიდევ ერთ სეზონს გავატანდი. ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ, კარიერის დასრულება გადავწყვიტე.

- რას აპირებთ?

- „ალ აჰლის“ პრეზიდენტთან საქმიანი საუბარი მქონდა, რის შემდეგაც საინტერესო შემოთავაზება მივიღე. კლუბის მესვეურებს დიდი სურვილი აქვთ, რომ დირექტორთა საბჭოში გავწევრდე და მართვის პროცესში მივიღო მონაწილეობა. წინადადებას სიამოვნებით განვიხილავ, რადგან დუბაიში ოჯახთან ერთად თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. თუმცა, მაქვს მეორე შემოთავაზება და ვნახოთ, საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ თვის ბოლოს მივიღებ.

- მეორე შეთავაზება „იუვენტუსიდან“ გექნებათ...

- ჟურნალისტებს ვერაფერს გამოგაპარებთ და პრინციპში, დასამალიც არაფერია. უახლოეს დღეებში ანდრეა ანიელისთან ვაპირებ შეხვედრას, რომელსაც კონკრეტული წინადადება აქვს მომზადებული. ზუსტად არ ვიცი რა ფუნქცია უნდათ, რომ დამაკისრონ, მაგრამ „იუვენტუსის“ სამსახურში ყოფნა ნებისმიერ შემთხვევაში საპატიო იქნება. ვნახოთ, ყველაფერი მალე გამოჩნდება.

- „ინტერისთვის“ სკუდეტოს ჩამორთმევაზე რას იტყვით?

- მე უფრო ის გამახარებდა, რომ სკუდეტო „იუვენტუსისთვის“ დაებრუნებინათ. წარმოდგენა არ მაქვს, რა პროცესები მიდიოდა მოედანს მიღმა და სიმართლე გითხრათ, კალჩოპოლის დეტალებსაც არ ვიცნობ. მხოლოდ ის ვიცი, რომ მოედანზე გავდიოდი და ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებდი. გამომდინარე აქედან, 2005/06 წლების სეზონის ჩემპიონად დღემდე „იუვენტუსს“ ვთვლი და მედალიც სახლში მიკიდია კედელზე.

- ბანალური, მაგრამ აუცილებელი კითხვა: როგორ შეაფასებდით განვლილ კარიერას?

- ფეხბურთის თამაში რვა წლის ასაკში დავიწყე და მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ასეთ სიმაღლეებს მივაღწევდი. არაერთხელ გავხდი იტალიის ჩემპიონი, მოვიგე უამრავი საკლუბო ტურნირი და რაც მთავარია, ვარ მსოფლიოს ჩემპიონი, თანაც კაპიტნის რანგში. ინდივიდუალური ჯილდოებიც არ მაკლია, მე ხომ ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მაღიარეს. ისეთი მოთამაშეების პერიოდში მომიწია ასპარეზობამ, როგორებიც ჯანლუიჯი ბუფონი, ანდრეა პირლო, ალესანდრო დელ პიერო, რობერტო ბაჯო, პაოლო მალდინი არიან. ყველაზე ცუდად 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი მახსენდება, თუმცა ექვსი წლის შემდეგ ფრანგებთან ღირსეული რევანში ავიღეთ. ბედნიერი ვარ ყველაფერ იმით, რაც ჩემს თავს ხდებოდა.

- რევანში ახსენეთ და თუ დაგრჩათ ვინმესთან ანგარიში გასასწორებელი?

- „ნაპოლის“ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, როდესაც იტალიაში 1990 წლის მუნდიალი გაიმართა. მწარედ მახსოვს ნახევარფინალური შეხვედრა, რომელშიც არგენტინის ეროვნულმა გუნდმა ჩვენი ნაკრები დაამარცხა. თამაში ნეაპოლში შედგა და ბუნებრივია, სტადიონზე ვიყავი. ეს იყო დიდი ტრაგედია, რომელიც არასდროს დამავიწყდება და მაშინ პირობა დავდე, რომ არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატიდან აუცილებლად გამოვთიშავდი. ეს უფრო ბავშვური ახირება იყო, თუმცა კარგად დამამახსოვრდა. არგენტინა და არგენტინელები ძალიან მიყვარს და არ მინდა ვინმემ არასწორად გამიგოს, თუმცა ის კი ნამდვილად მითია, რომ ნახევარი „სან პაოლო“ მარადონას გამო „ალბისელესტეს“ გულშემატკივრობდა. ასეთი რამ ნეაპოლში არასდროს მოხდება, სხვა ქვეყნის გუნდში „ნაპოლის“ 11 ფეხბურთელიც რომ ასპარეზობდეს.

- რას ეტყოდით მომავალ თაობას - მათ, ვისაც დიდი ფეხბურთის თამაში სურს?

- უყვარდეთ ფეხბურთი, არ დაზოგონ თავი და ყველაფერი კარგად იქნება.

ლაშა ნიკლაური



ქართული სპორტი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ესპანეთის დიდი პრიზი

ლაშხის ესპანური ბრინჯაო

გუშინ გაცნობეთ, რომ მადრიდში მიმდინარე ტურნირზე ჩვენი ბერძენ-რომაელები წარუმატებლად გამოვიდნენ და მედალი ვერ მოიპოვეს. ინფორმაცია ბაქოში მყოფმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მალხაზ ჯორბენაძემ** მოგვაწოდა, რომელსაც იქაურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით შევეხმიანეთ (მოგეხსენებათ, ამავე უქმეებზე ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური შეჯიბრება ჩატარდა). ეტყობა, მადრიდიდან ზუსტი ინფორმაცია არც ფედერაციის ხელმძღვანელობას ჰქონდა, რადგან ესპანეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტის მიხედვით ირკვევა, რომ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) მესამე ადგილზე გასულა. სამწუხაროა, თავდაპირველად ზუსტი ინფორმაცია რომ ვერ მოვიძიეთ, მაგრამ მთავარი მაინც ლაშხის წარმატებაა. სიმართლე გითხრათ, გულმა რეჩხი გვიყო, როცა მისი მარცხის ამბავი გავიგეთ - ის ხომ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი უნდა იყოს სექტემბერში სტამბოლში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა - წონაში 6-6. მსოფლიომდე ასე მცირე დროით ადრე წამყვანი მოჭიდავის მარცხი სასიამოვნოდ ნამდვილად არ დაგვრჩენია, თუმცა კიდევ კარგი - რეალობა სანინააღმდეგო აღმოჩნდა, ანუ ლაშხი ასრულებს დასახულ გეგმას. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მან ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და გარკვეული პერიოდი გაუცდა, რის გამოც თბილისში გამართული კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდი პრიზიც“ გამოტოვა, მაგრამ უკვე შეუდგა მსოფლიოსთვის მზადებას.

მწვრთნელებმა სწორედ ამიტომ არ აჭიდავეს ლაშხი ბაქოში - კონკურენტებს მოარიდეს. მსოფლიოზე მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე აზერბაიჯანელი ჰასან ალიევი იქნება, რომელიც ძალიან ძლიერი მოჭიდავეა - წლევანდლამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში არც ერთი პირველხარისხოვანი შეჯიბრება არ წაეგო, ვიდრე ლაშხმა არ მოუგო ევროპაზე. 2008 წელს ის ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი არ უჭიდავია. 2009-ში ისევ ახალგაზრდებში უკვე დუბლი შეასრულა - მსოფლიოც მოიგო და ევროპაც, შარშან კი ეროვნულ ნაკრებში გადმოინაცვლა და ახლა აქ შეასრულა დუბლი! მას სავსებით სამართლიანად ასახელებდნენ იმ ტურნირების საუკეთესო მოჭიდავედ. წლეულს დორტმუნდში ლაშხმა მას ევროპის პირველობის ნახევარფინალში მოუგო და მერე ჩემპიონიც გახდა, ალიევი კი ბრინჯაოს დასჯერდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რატომაც არ სურდათ მწვრთნელებს ლაშხის ბაქოში გაშვება. ჯერ ერთი, მას იქ დააკვირდებოდა უკლებლივ ყველა ნაკრების მწვრთნელი, მეორეც - ბედი კვლავ თუ შეახვედრებდა ალიევს, განწირული იყო, მეტოქეს მსაჯები ყველანაირად მიემხრობოდნენ და მოაგებინებდნენ, რაც ჩვენებურზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედებდა. ამიტომ ადგნენ და ბაქოს ნაცვლად მადრიდში გაგზავნეს, სადაც ამავე უქმეებზე „ესპანეთის XI დიდი პრიზი“ თამაშდებოდა. ლაშხთან ერთად იქ საქართველოს ჩემპიონი **ვლადიმერ გეგეშიძეც** გაუშვეს, რომელსაც ტრავმების გამო ქვეყნის პირველობის შემდეგ დღემდე არსად უჭიდავია.

მადრიდულ ტურნირში სამივე დისციპლინაში - ქალებში, ბერძენ-რომაულ და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვაჟებში სულ 40-მდე ნაკრები გამოდიოდა, თუმცა შეჯიბრება ვარსკვლავთა სიმრავლით ვერ დაიკვეხნიდა - მათი უმეტესობა ხომ ბაქოში ჭიდაობდა. ამის მიუხედავად, მაინც იყვნენ წონების ლიდერები - იგივე ლაშხი, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ორგზის ჩემპიონი, მოლდოვადან მონაკოში გადაბარგებული **გენადი ტულბეა** (55), ასევე „თავისუფალში“ რუსთა ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის გამარჯვებული აფხაზი **დენის ცარგუში** (74), ამავე წონაში უნგრელი ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **გაბორ ჰატოში** და კიდევ რამდენიმე ცნობილი ფალავანი.

უშუალოდ ბერძენ-რომაელთა შორის 25 ნაკრები გამოდიოდა, 116 ფალავანი. ლაშხი პირველივე წრეში ორ პერიოდში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, სომხური წარმოშობის პოლონელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ედუარდ ბარსეგიანთან** - 0:4; 0:3. ბარსეგიანის წარმატებამ ჩვენებურს სანუგეშო წრეში გადასვლის საშუალება მისცა და მანაც ეს შანსი მაქსიმალურად გამოიყენა - ჯერ კიდევ ერთი სომხური წარმოშობის მეტოქე, ოღონდ ამჯერად ესპანელი **ალბერტ ბაგუმიანი** დაჯაბნა ძირითად დროში ერთნაირი ანგარიშით 3:0, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი **აურელიან ლეციუ** დასცა ასევე ორ პერიოდში - 5:2; 3:0.

გეგეშიძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ვენესუელელი **იორგენ კოვა** ორ პერიოდში იდენტური ანგარიშით - 5:0 დაჯაბნა. სამწუხაროდ, მეტი ვეღარ შეძლო - შვედ **ფისნილე ზაჰიტთან** 1:3;1:3 წააგო და გავარდა.

ახლა მსოფლიომდე ძალების შესაბამოწმებლად და სასტარტოდ ერთი ტურნირი დარჩა - აგვისტოში პოლონეთში გასამართი პეტლიასინსკის მემორიალი. იქ წამსვლელთაგან გადაჭრით მხოლოდ ერთი კანდიდატია ცნობილი - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), რომელიც ბაქოში ასევე ტაქტიკური მოსაზრებებით არ აჭიდავეს, სხვათა ვინაობას კი მწვრთნელები მოგვიანებით დაასახელებენ. პოლონეთში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც იასპარეზებენ, თუმცა ჯერ არც მათი საბოლოო შემადგენლობაა ცნობილი.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ბრაგიკომედია აღიარებენ იტალიელები

ტურინში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატი უჩვეულოდ წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს ქალთა ნაკრებისთვის - **ქრისტინე ესებუა** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამით ესებუამ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა. ფინალური შეხვედრა ჩვენებურმა ჩილელ **დენისე ასტრიდ ვან ლამოენთან** ოთხ სეტში წააგო, მანამდე კი - ნახევარფინალში ჩინელი **იუტინგ ფანი** დაამარცხა ასევე ოთხ პერიოდში.

გუშინ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საიტზე მედალოსანთა მოკლე კომენტარები გამოქვეყნდა. მათ შორის, ესებუასიც, სადაც ჩვენებური ამბობს: *„ნახევარფინალი უფრო გამიჭირდა ჩინელთან, ვიდრე - ოქროს მედლისთვის ფინალი. ეტყობა, მედალი რომ გავინაღდე, ფსიქოლოგიურად მოვეშვი. კი ვცადე ჩემი თავის გაკონტროლება და მობილიზება, მაგრამ ვერ შევძელი. ფინალში მარცხის მიზეზადაც ეს მიმაჩნია, თუმცა ვერცხლის მედალი ჩემთვის დიდი წარმატებაა, რაზიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის მწვრთნელს. დიდ მადლობას ვუხდი მას ამისთვის, რომელიც ფინალამდეც ბევრს ეცადა ჩემი საბრძოლო განწყობის ამაღლებას. მოხარული ვარ ამ წარმატებით, თუმცა ახლა ჩვენ ოლიმპიადის გუნდური ლიცენზიის მოსაპოვებლად უნდა ვიბრძოლოთ“.*

ჩვენი არ იყოს, ეს წარმატება პირველია ჩილელებისთვისაც. 1989 წლიდან მოყოლებული მხოლოდ მესამედ მოხდა, როცა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული სამხრეთ კორეელებს არ დარჩათ - 1995 და 2007 წლებში ის იტალიელმა **ნატალია ვალეევამ** მოიპოვა, ახლა კი ვან ლამეონმაც მოირგო საჩემპიონო გვირგვინი. *„მთელი 18 წელიწადი ამ წუთს ველოდი და უზომოდ ბედნიერი ვარ“* - განაცხადა ჩილელმა.

ქრისტინე ესებუა

თუმცა ეს წარმატება მაინც ვერ ფარავს უსამართლობით გამოწვეულ იმ გულისტკივილს, რაც გუნდური პირველობის პირველსავე წრეში მოგვაყენეს, როცა სააპელაციო კომიტეტმა იტალიელებთან მოგება გაგვიუქმა და გადათამაშება დანიშნა, რაც დამატებითი მაჩვენებლებით წავაგეთ. რომ არა ეს, ახლა მსოფლიოს სხვა ჩემპიონი ეყოლებოდა - იტალიამ მრიგო გუნდური შეჯიბრება, და ჩვენც ოლიმპიადის ლიცენზიებს მივიღებდით. მოგება რომ ჩვენ გვეკუთვნოდა და იტალიელებმა აპელაცია თითიდან გამოწოვილ მიზეზზე ააგეს, ადრეც ვწერდით - ამას აღიარებს ყველა, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთაგან დაწყებული, მსაჯებით დამთავრებული. უსამართლობა იმდენად აშკარაა, რომ მომხდარს თვით იტალიურმა მედიამაც კი ტრაგიკომედია უწოდა. ჩვენი დელეგაცია მომხდარის სოკ-ში გასამართლებას აპირებს, დახმარებას კი საერთაშორისო ფედერაცია აღუთქვამს. გუნდი იტალიიდან ამ დილით დაბრუნდებოდა.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

83-ე - ახალი სიმაღლე

გუშინ ATP-ს და WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ქალთა კლასიფიკაციაში კარიერის ახალი რეკორდი დაამყარა **ანა ტატიშვილმა**, მან მხოლოდ ერთი ადგილით წაინია, თუმცა რეიტინგში 83-ე ადგილი 21 წლის ქართველის საუკეთესო მიღწევაა. ანას 785 ქულა აქვს. სხვები: 193 (-4) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 292; 224 (-5) **მაკა ჩახნაშვილი** - 257; 256 (-7) **სოფიო შაფათავა** - 212; 345 (-13) **თათია მიქაძე** - 133; 448 (-24) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 470 (+45) **ეკა გორგოძე** - 78; 1215 (-41) **მანანა შაფაქიძე** - 3.

ვაჟთა რეიტინგში ერთადერთი ჩოგბურთელი გვყავს: მას შემდეგ, რაც **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, სიაში მხოლოდ **ლადო ჩიხლაძეა**, რომელიც 13 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 836-ე ჩოგანია (+4). აგვისტოში ლადო 13-დან 10 ქულას დაკარგავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

ორმა მოიგო, ტოჩინოშინი კვლავ აგებს

ნაგოიას ბაშოს მეორე დღეს სამი ქართველიდან ორმა იმარჯვა. დამარცხდა მხოლოდ 23 წლის **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**, რომლის მეტოქეც მონღოლი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** გახლდათ. სასტარტო დაჯახების შემდეგ, მონღოლი თითქოს ტანზე მიეკრაო ქართველს, მან ჩვენებურს „მუშა“ ცაცია ჩაუკეტა და არ მისცა მავაშის ხელში მოგდების საშუალება. ამის შემდეგ „მზის ცხენმა“ (ასე ეძახიან ჰარუმაფუჯის სუმოს სამყაროში) შეუტია და ოშიდაშით გააძევა ლევანი რკალიდან. ტოჩინოშინს 0-2 ბალანსი აქვს და დღეს სეკივაკე **კოტოშოგიკუს** ხვდება. ქართველ კომუსუბის აუცილებლად მოუნევს ყველა ფავორიტთან დაჭიდება.

სამაგიეროდ, პირველად იმარჯვა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯულელი)**, ელიტის ყველაზე მძიმე რიკიშიმ 27 წლის ოს გოლიათ **არანს** აჯობა. ქართველმა ბრწყინვალედ გამოიყენა წონაში დიდი უპირატესობა (45-კილოიანი) და ერთი ამოსუნთქვით დაიფრინა ოსი დოჰიოდან. გაგამარუს 1-1 ბალანსი აქვს და დღემდე დაუმარცხებელ **ჰომაშოს** ხვდება.

ძალზე სასიხარულო ამბები მოგვდის რანგით მეორე, ძურიოს დივიზიონიდან - **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** მეორე ორთაბრძოლაც მოიგო და ნაგოიაში დაუმარცხებელია. დღეს მისი მეტოქე ძურიოს მე-3 ნომერი ტამანოშიმაა.

II დღე: ჰაკუჰო-ტოსაიუტაკა (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), გოეიდო-კაიო (იორიკირი), კაკურიუ-კოტოოშუ (უვატენაგე), ბარუტო-იოშიკაძე (უვატედაშინაგე), კიოკუტენჰო-კისენოსატო (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-ვაკაკოიუ (იორიკირი), ტოიონოშიმა-ამინიშიკი (ოშიდაში), ტაკეკაძე-ვაკანოსატო (ჰატაკიკომი), ოკინოუმი-კაისეი (შიტატენაგე), **გაგამარუ**-არანი (იორიკირი), ტოკიტენკუ-ტამავაში (კეტაგური), მიაბიამა-ასასეკირიუ (ოკურიდაში), ჰომაშო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ტოჩინოვაკა-ტაკარაფუჯი (იორიკირი), ტაკაიასუ-კიტატაიკი (უვატედაშინაგე), ტოიოჰიბიკი-შოტენრო (იორიკირი), დაიდო-საგაცუკასა (ოშიდაში), ფუჯიაზუმა-ტოჩინონადა (იორიკირი), კიმურაიამა-ტაკამისაკარი (ოშიდაში). ძურიო: **კოკაი**-მაცუტანი (ცუკიოტოში).

III დღე: ჰაკუჰო-იოშიკაძე, კაიო-კაკურიუ, კოტოოშუ-ტოსაიუტაკა, ბარუტო-კიოკუტენჰო, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-გოეიდო, ამინიშიკი-ვაკაკოიუ, ოკინოუმი-ვაკანოსატო, კაისეი-ტაკეკაძე, ტამავაში-ტოჩიოძანი, არანი-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-ჰომაშო, კიტატაიკი-მიაბიამა, ტოჩინოვაკა-ასასეკირიუ, ტოიოჰიბიკი-ტაკარაფუჯი, ტაკაიასუ-შოტენრო, დაიდო-ტოჩინონადა, საგაცუკასა, კიმურაიამა, ტაკამისაკარი-ფუჯიაზუმა. ძურიო: **კოკაი**-ტამანოშიმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მძლეოსნობა

ღულელაური მეოთხე იყო



ფრანგულ ლილში დამთავრდა ახალგაზრდა მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს რამდენიმე წარმომადგენელიც მონაწილეობდა. ტრავმის მიუხედავად, **ლაშა ღულელაურმა** სამხტომში საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას 15,08 მეტრით ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. იქ კი მისი მხოლოდ ერთი ცდა აღმოჩნდა შედეგიანი (15,04 მ), რითაც საბოლოოდ მე-8 ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ლატარიო კოლი-მინსი (ბაჰრეინი, 16,06), 2. ალბერტ იანკი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 15,95), 3. ლადონე კოლი-მინსი (ბაჰრეინი, 15,51).

100 მეტრი **სალომე სირაძემ** 12,66 წამში დაფარა. ამ შედეგით იგი ნახევარფინალში ვერ მოხვდა.

გიგა ცირეკიძემ 200 მეტრზე მხოლოდ 23,69 წამი აჩვენა, რაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

14-17 ივლისს ჩეხეთი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საერთაშორისო ნორმატივის შესრულების შემდეგ იქ გამოსვლის უფლება ჩვენებურთაგან მხოლოდ **სალომე რიგიშვილმა** (ბირთვი) და **ენდრიუკ ზილბერშტეინმა** (400 მ) მოიპოვეს. ტალინში ოცწლამდელთა ევროპის პირველობაზე (21-24 ივლისი) მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვეყოლება - ოზურგეთელი **ნიკა კარტავცევი.** რაც შეეხება ტრაბზონში (თურქეთი) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს (24-29 ივლისი), იქ საქართველოს სპორტულ ღირსებას სალომე სირაძე (100, 200 მ რბენა), თინათინ პაპუაშვილი (2000 მ წინაღობებით და 1500 მ), ლაშა ღულელაური (სიგრძეზე ხტომა და სამხტომი), გიგა ჭიკაძე და გიორგი აზარაშვილი (ორივე-100 და 200 მ რბენა) დაიცავენ.

ვაჟა დანელია

● ფარიკაობა

მასპინძლობა გადაწყვეტილია, დასადგენია თარიღი

შეფილდი (ინგლისი) 14-დან 20 ივლისამდე მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს იქნება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი, სადაც სალიცენზიო ქულების მოპოვება შეუძლიათ მუშკეტერებს.

ამ შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ ოთხი მოხმალავე იასპარეზებს. ესენი არიან: **ბექა** და **სანდრო ბაზაძეები,** კადეტთა შორის ნლევანდელი მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი **მიხეილ მარდალეიშვილი** და **თათია აფციაური**. სამნუხაროდ, ტრავმის გამო ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრება **კახაბერ მაღრაძე,** ამიტომ ჩვენებს გუნდურში სათადარიგოს გარეშე მოუნევთ ბრძოლა. ჩემპიონატზე მსაჯად არის მინწეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე.** დელეგაციას ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** უხელმძღვანელებს.

ამ ასპარეზობისთვის საქართველოს მოხმალავეთა ნაკრები, რომელიც ხვალ დილაადრიან მიუნხენის გავლით შეფილდში გაემგზავრება, თბილისში ემზადებოდა. 14 ივლისს საფარიკაო ბილიკზე გავა თათია აფციაური, 16-ში ბიჭები პირად პირველობაში გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო 19 ივლისი გუნდური პაექრობების დღეა.

საგულისხმოა, რომ 15 ივლისს შეფილდში ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის კონგრესი გაიმართება, სადაც საბოლოოდ დადგინდება თბილისში 23-წლამდელ ხმლით მოფარიკავე ვაჟთა ევროპის თასის გათამაშების თარიღი.

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

ლიდერებს მდევართა სუნთქვა ესმით

თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძე** ბარბერა დელ ვალესის საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირის მე-7 ტურში არგენტინელ ფერნანდო პერალტას შავი ფიგურებით დაუზავდა, რამაც შეჯიბრების სამ მონაწილეს საშუალება მისცა, ქულებით ლიდერებს გათანაბრებოდნენ. ბულგარელმა კირილ გეორგიევმა კუბელი ალონსო ბაკალაო დაამარცხა, რუმინელმა ალინა ლამიმ ასევე თავისუფლების კუნძულის წარმომადგენელ ჰოდენ ჰერნანდესს სძლია, ხოლო მექსიკელმა მანუელ ლეონმა შვედ პონტუს კარლსონს მოუგო. ამდენად, აროშიძემ, პერალტამ, გეორგიევმა, ლამიმ და ლეონმა 7 ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულას მოუყარეს თავი. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვს შვიდ მოჭადრაკეს. ასე რომ, ლიდერთა ჯგუფში მართლაც დიდი სიმჭიდროვეა და ბოლო ორ ტურში მთავარი პრიზის მოსაპოვებლად უაღრესად დაძაბული პაექრობები გაიმართება. რაც შეეხება **ანა მათნაძეს,** იგი მე-7 ტურში მასპინძელ მარია ფერფინია როფესს დაუზავდა და 4,5 ქულა აქვს. მე-8 ტურში ესპანელ ოლივეირას დაუპირისპირდება. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ლამი (5,5)-გეორგიევი (5,5), აროშიძე (5,5)-ლეონი (5,5), პერალტა (5,5)-იტურისაგა (5), ხოზე გონსალესი (5)-ნარკისო (5), არიან გონსალესი (5)-ვასალო (5), ჰექტორ რამოს დელგადო (5)-ჰერმან ვანი (5).

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

● ტრაგიკული ბედის სპორტსმენები

არჩილ მდივანი - 1934 წ.

შესრულდა 100 წელი შესანიშნავი ქართველი სპორტსმენის, 30-იანი წლების ჩოგბურთის ბრწყინვალე წარმომადგენლის, არჩილ მდივანის (30.06.1911 - 13.09.1937) დაბადებიდან.

ელვარე ჩოგანი

დღევანდელი ტელემაყურებელი განებივრებულია მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენების თამაშის ხილვით, მათი ცხოვრების წვრილმანებიც კი იცის, ეს საერთო ტენდენციაა და, ცხადია, ჩემს დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი ვერავის მოვახვევ თავს. მაგრამ ის კი მსურს, რომ ჩოგბურთის ნამდვილმა მოყვარულმა იცოდეს, ამ პრესტიჟული, წმინდა ევრო-ამერიკულ-ავსტრალიურ სახეობაში ჩვენც გვყოლია ღირსეული სპორტსმენები, ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე. უბრალოდ, მათ სულ სხვა დროში მოუწიათ ცხოვრებამ, თორემ სპორტული ბიოგრაფიაც ბევრად მდიდარი და ცნობილი ექნებოდათ.

ეს წერილი კი ერთმა გარემოებამ დამაწერინა:

როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოში ბოლშევიკურ რეპრესიებზე, ცხადია, გვაგონდება გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების დიდი მოღვაწეები, რომლებიც გაქრნენ ბოლშევიკური გულაგის სივრცეში. არჩილ მდივანის სახელი კი, სპორტული ჟურნალისტების თვალსაწიერის მიღმა დარჩა.

არადა, არჩილ მდივანი იყო პირველი ქართველი სპორტსმენი, რომელმაც მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება ჩოგბურთში, გახდა ყოფილი სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლე მოკლე და ტრაგიკული იყო.

....1969 წლის შემოდგომაა. სანაპიროს კორტებზე ეს-ესაა დამთავრდა შეხვედრა საბჭოთა კავშირის და ჩიხოსლოვაკიის „დინამოს“ ნაკრებ გუნდებს შორის. გამარჯვების შემდეგ კარგ გუნებაზე ვიყავი; გასახდელიდან გამოვედი და ცენტრალური კორტის დასავლეთ ტრიბუნაზე დავინახე მარტოდ მჯდომი ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ედუარდ ნეგრებეცკი. შევატყვე, არ ჩქარობდა სასტუმროში დაბრუნებას; მეც ჩამოვჯექი. მატჩის პერიპეტიები მოვიგონეთ (მაშინ ასეთი პოლიტიზირებული საერთაშორისო შეხვედრებით თუ გვეღირსებოდა უცხოელებთან ძალის მოსინჯვა). მერე მე მოვაგონე ზუსტად 20 წლის წინათ ამ კორტზე გამართული მატჩი სსრკ-ის ჩემპიონატის ფინალში, როდესაც 5-სეტიან დრამატულ ორთაბრძოლაში თბილისში გაზრდილმა გამოჩენილმა ჩოგბურთელმა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ედუარდ ნეგრებეცკიმ დაამარცხა არანაკლებ სახელოვანი ნიკოლაი ოზეროვი. დრო კი ულმობლად გარბის, მაგრამ არათუ ეს თამაში, ისიც კი გუშინდელივით მახსოვს, როგორ დავიწყე ტენისის თამაში პლეხანოვის კორტების ასფალტის მოედნებზე.

წამოვდექით, ვიფიქრე, საუბარი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ნეგრებეცკიმ მთხოვა, ფეხით გავყვეთ პლეხანოვის პროსპექტს და შეუძლოდ მყოფი ჩემი მასწავლებელი ვნახოთო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იან ჰომერთან უნდა მივსულიყავით.

1918-1927 წლებში იან ჰომერი იყო საქართველოს უცვლელი ჩემპიონი, სანამ იგი მისმა მონაფეებმა არ შეცვალეს. იმ საღამოს მაესტრო იანმა (როგორც მას უწოდებდნენ) და ედუარდ ნეგრებეცკიმ ბევრი რამ გაიხსენეს. კერძოდ, 1928 წელიც, როცა ამიერკავკასიის ნაკრებმა, რომელიც მხოლოდ საქართველოს ჩოგბურთელებით იყო შედგენილი, როგორ დაიკავა II ადგილი სსრკ-ის I სპარტაკიადაზე. საუბარში მეც ჩავერთე და არჩილ მდივანზე ჩამოვაგდე სიტყვა. ეს კი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა, როგორც მისი მწვრთნელისთვის, ისე წყვილთა თამაშში არჩილის პარტნიორისთვის-ედუარდ ნეგრებეცკისთვის.

იან ჰომერი: ნეგრებეცკიმ ჩოგბურთის თამაში 1920 წელს დაიწყო, არჩილი უფრო ადრე მოვიდა - 1918-ში, მაგრამ ჯერ ზერელედ ეკიდებოდა წვრთნას, მხოლოდ 1923-დან შევუდექით ნამდვილ ვარჯიშს. კარგად აღზრდილი ყმაწვილი იყო. უკვე კარგად იცოდა გერმანული და ფრანგული ენები (თვითონ პარიზში დაბადებული ბატონი იანი მშვენივრად ლაპარაკობდა ფრანგულ და იტალიურ ენებზე, რის გამოც მას შემდგომში საფრანგეთის ჯაშუშობაც დასწამეს). ვერც იფიქრებდი, რომ ჩოგბურთი მის ხანმოკლე ცხოვრებაში ყველაზე დიდ გატაცებად იქცეოდა. არადა, აშკარად დიდი ტალანტი იყო. სწრაფი, ათლეტური, დღითი დღე ხვეწდა ტექნიკას, სათამამო ტაქტიკას. 20-იანი წლების ბოლოს ჩვენში მხოლოდ ნეგრებეცკი თუ უგებდა. 1931 წელს არჩილი და ედუარდი პეტერბურგში გადავიდნენ. ეს ქალაქი მაშინ საბჭოთა კავშირში ჩოგბურთის ცენტრი იყო. ამ წლებიდან დაიწყო არჩილ მდივანის ნიჭის გაფურჩქვნის ხანა. წყვილი მდივანი-ნეგრებეცკი ამ ქვეყნის ჩოგბურთის სიმბოლოდ იქცა.

ედუარდ ნეგრებეცკი: ეს იყო ჩემი ცხოვრების უმშვენიერესი წლები. თამაშის დროს ჩვენ ერთ მთლიანობას წარმოვადგენდით. ჩვენს პარტნიორობასაც და მეგობრობასაც ბევრი შურის თვალით უყურებდა. თბილისიდან წასული მეგობრები ჩრდილოეთის ქალაქში განუყრელ თანამებრძოლებად ვიქეცით. ახლაც თბილისში, პლეხანოვის კორტებზე როცა ვარ ხოლმე, ასე მგონია , აი, ახლა გამოვა არჩილი, მთხოვს გიტარის გამოტანას და ჩემი რეპერტუარიდან რაიმე სიმღერის შესრულებას (ე.ნეგრებეცკის კარგი ბარიტონი ჰქონდა და მხოლოდ ომმა არ დააცალა კონსერვატორიის დამთავრება).

როგორი იყო ჩოგბურთელი არჩილ მდივანი

არჩილი ნამდვილი შოუმენი იყო - განაგრძობდა ნეგრებეცკი. წყვილთა თამაშში - შეუდარებელი, თვითონ ქმნიდა სწრაფი, შთაგონებული ორთაბრძოლის პერიპეტიებს. განსაკუთრებით მაღალი ნახტომის დროს თავზევით დარტყმები გამოსდიოდა და ჩვენი მატჩები, გარდა სპორტული შედეგისა, სანახაობრივადაც გამოირჩეოდა. მაყურებელი სწორედ ამით იყო აღტაცებული - შემიძლია ვთქვა, რომ მეც ყველანაირად ვცდილობდი, ერთგული ასისტენტობა გამეწია არჩილისათვის, ყველაფერი მელონა, რათა მას ბრწყინვალე ნიჭის გამჟღავნება შესძლებოდა ყოველ თამაშში. არჩილის დაკარგვის შემდეგ სხვა პარტნიორები მყავდა (ევგენი კუდრიავცევი, ნიკოლაი ოზეროვი, ევგენი კორბუტი), მაგრამ ის ძველი წყვილი და ის თამაში უკვე აღარ არსებობდა...

1931 წელს არჩილი და მე უკვე უძლიერეს ათეულში მოვხვდით. 1932-ში მე ერთეულთა თანრიგში ჩემპიონი გავხდი და იმავე ჩემპიონატზე ჩვენ პირველად და უკანასკნელად წავაგეთ ფინალი კუდრიავცევთან და მულტინოსთან დაძაბულ 5-სეტიან მატჩში. მართალია, ახალგაზრდობა და თბილისურ-პლეხანოვური დარდიმანდული განწყობილება ზოგჯერ გვაფერხებდა, რომ მთლიანად მივცემოდით სპორტს, მაგრამ არაფერს ვნანობ. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო.... ისე წარმოგვედგინა მაშინ, რომ მთელი ჩვენი გზა აღმავლობით წავიდოდა, მაგრამ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

მართლაც ამ წლებმა არჩილ მდივნისთვის უმალ გაიქროლეს, ულმობლად ახლოვდებოდა 1937 წელი.

არჩილის სპორტული ცხოვრების (1931-1937) ბოლო ეპიზოდი

1931 – 1936. სსრკ-ის პირველი ათეულის მოთამაშე;

1934 – 1936. სსრკ-ის ჩემპიონია წყვილთა თანრიგში;

1935 წელს პეტერბურგის ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში; 1932,35,36 წლებში წყვილებში;

1936 წელს სსრკ-ის ჩემპიონია „დინამოს“ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. იმავე წელს ნეგრებეცკისა და კუდრიავცევთან ერთად შეხვდა ლეგენდარულ ფრანგ ჩოგბურთელს ანრი კოშეს.

უკანასკნელი მატჩი

...შემდეგ კი, დააპატიმრეს არჩილის მამა - ცნობილი პარტიული მოღვაწე (ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონისტი) - ბუდუ მდივანი, არჩილი თბილისს დაუბრუნდა. ჰომერთან შეადგინა ნიჭიერ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა გუნდი და 1937 წლის იანვარში პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „პიშჩევიკის“ დარბაზში შეუდგნენ ვარჯიშს. არჩილი აქვე, ბორის კრუპენიკოვთან და დავით გულიაშვილთან ერთად ემზადება საკავშირო ზამთრის პირველობისათვის. მარტში ამ ჩემპიონატზე ნახევარფინალში არჩილმა დაძაბულ ორთაბრძოლაში წააგო მატჩი სსრკ-ის ჩემპიონთან ბორის ნოვიკოვთან. იმდროინდელი სპორტული გაზეთი – „კრასნი სპორტი“ წერდა: *„ჩვენ ვიცნობდით არჩილ მდივანს, როგორც ბრწყინვალე მოთამაშეს წყვილთა თანრიგში, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ჩემპიონთან ასპარეზობაში აჩვენა უმაღლესი კლასის თამაში, იგი უნდა ვაღიაროთ 1937 წლის ჩემპიონობის ერთ ძირითად პრეტენდენტად“.* მაგრამ ამ პროგნოზს ასრულება აღარ ეწერა. 21 მარტს წაგებული მატჩი არჩილისათვის უკანასკნელი გამოდგა. 20 აპრილს მოსკოვში „დინამოს“ დახურულ კორტებზე უნდა დაწყებულიყო სამატჩო შეხვედრები უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის. მაგრამ 20 აპრილს სასტუმრო ცსკა-ში არჩილ მდივანი დაუპატიმრეს. უკვე 15 მაისს კი, იმავე სპორტულმა გაზეთმა მკითხველს აუწყა: საქართველოს ფიზკულტურის მუშაკთა აქტივის კრებაზე სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ სიმონ მილშტეინმა აქტივს აცნობა, რომ გაუვნებლებულნი არიან ხალხის მტრები არჩილ მდივანი და ვოლოდია მდივანი (ცნობილი ჟურნალისტი). არჩილის მთელი ოჯახი განადგურდა 37 წელს: დედა, მამა - ბუდუ, შვილები. მხოლოდ ერთი ძმა გადაურჩა ტერორს - შალვა მფრინავი იყო და 1933 წელს დაილუპა თვითმფრინავის გამოცდის დროს.

არჩილ მდივანი დახვრიტეს 1937 წლის 13 სექტემბერს. ასე დასრულდა ლეგენდარული ჩოგბურთელის სიცოცხლე. იგი 26 წლის იყო.

....ის სევდიანი, მამაკაცური სუფრა იან ჰომერთან გვიანობამდე გაგრძელდა. თვითონ არჩილის პირველი მწვრთნელიც 37 წლის მიწურულს დაუპატიმრეს და თბილისს მხოლოდ 1955 წელს დაუბრუნდა. განშორებისას ერთხელაც მოვიგონეთ არჩილი. ედუარდ ნეგრებეცკი მაესტრსთან დარჩა.

2001 წელს ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე გაიხსნა ლეგენდარული ჩოგბურთელის არჩილ მდივანის მემორიალური დაფა და ჩატარდა ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ტურნირი. წლეულს, კი არჩილ მდივანის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციამ ჩაატარა მემორიალური ტურნირი.

ვლადიმერ გოგლიძე
საქართველოს დამსახურებული
მწვრთნელი



1935 წ. ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი (მარჯვნივ)

კალათბურთი

● ფიბა-ევროპის გადაწყვეტილება

ორით მეტი, თოთხმეტი

ფიბა-ევროპისა და ფიბას იურიდიული ორგანოების შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ ევრობასკეტზე ნებისმიერ გუნდს 14 კალათბურთელის წაყვანის უფლება ექნება. არადა, იყო საშიშროება, რომ ფიბა-ევროპას, ფიბას კანონის თანახმად, გუნდებისთვის 12 კალათბურთელზე მეტის წაყვანის უფლება არ მიეცა. ამ საკითხზე ამას წინათ კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** ილაპარაკა:

- გაზაფხულზე ფიბა-ევროპის დადგენილებით თითოეულ გუნდს უფლება ჰქონდა ლიტვაში გასამართ ევრობასკეტზე 14 კალათბურთელი წაეყვანა... ივნისში, ქალთა ევრობასკეტზეც გუნდებმა 14-14 კალათბურთელი იახლეს, მაგრამ ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს ფიბამ ამოქექა დოკუმენტი, რომლის თანახმად, გუნდებს ამა თუ იმ შეჯიბრებაზე 12-ზე მეტი სპორტსმენის წაყვანა არ შეეძლოთ. ამიტომ, ვიდრე ამ საკითხს ფიბასა და ფიბა-ევროპის იურიდიული კომიტეტები ერთმანეთში გაარკვევდნენ, ქალთა ევრობასკეტზე 12-12 კალათბურთელი იყო.

კარგია, რომ ევროპისა და მსოფლიოს საკალათბურთო ორგანიზაციებმა საერთო ენა გამონახეს და სამართლიან გადაწყვეტილებამდე მივიდნენ - ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 31 აგვისტოს დაიწყება, თითოეული ნაკრები 14 კალათბურთელით წარდგება, თუმცა კონკრეტული მატჩის განაცხადში 12 მოთამაშეს შეიყვანენ. შესაბამისად, გაიზარდა გუნდში ნატურალიზებული მოთამაშეების ოდენობაც. თუ აქამდე, საევრობასკეტო 12-კაციან შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ნატურალიზებულის შეყვანა შეიძლებოდა, 14-კაციანში 2 უცხოელის აყვანაა ნებადართული (ოღონდ, კონკრეტული მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი მათგანი უნდა მოხვდეს).

ასე რომ, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** შეუძლია ევროპის ჩემპიონატზე **ტორინ გრინიც** წაიყვანოს, ახალდამატებული **მარკიზ ჰეინსიც** და რომელიც როდის დასჭირდება, მაშინ ათამაშოს.

● ჰერსპექტივა

იტალიური ოლ სტარის ქართველი MVP

ITALIURI კემპიდან საქართველოში დაბრუნდნენ "სოხუმის" ახალგაზრდა კალათბურთელები, **შოთა გოლეთიანი, გიორგი სალაყაია** და მათი მწვრთნელი **ვაჟა კვარაცხელია.**

როგორც ყოველთვის, კემპიდან ქართველები ხელცარიელნი არც ამჯერად ჩამოსულან. ორი ჯილდო დაიმსახურა 1991 წელს დაბადებულმა შოთა გოლეთიანმა:

- კემპის მსვლელობისას მოეწყო სხვადასხვა შეჯიბრება. ჩატენვების კონკურსი მე მოვიგე. ასევე დამასახელეს ვარსკვლავთა მატჩის საუკეთესო კალათბურთელად, - მოგვითხრობს შოთა. იგი კემპის სპეციფიკაშიც გვარკვევს:

- ღონისძიება "სისარის დინამოს" მწვრთნელის რომეო საკეტი ორგანიზებით რამდენიმე წელია ეწყობა. კემპზე მოწვეულნი იყვნენ ცნობილი სპეციალისტები, მათ შორის ამერიკელი ჩარლზ იელვერტონი, რომელიც კობი ბრაიანტს (16 წლამდე) წვრთნიდა, 70-იან წლებში ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამოდიოდა, ხოლო შემდეგ იტალიაში გადავიდა და ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ბევრი რამ ვისწავლე. მწვრთნელების გარდა შევხვდით იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებს. მათ ყველა კითხვაზე ამომწურავად გვიპასუხეს.

კემპი ორ ეტაპად გაიყო: საწყის 6 დღეს 11-დან 14 წლამდე ასაკის კალათბურთელები ვარჯიშობდნენ, მომდევნო კვირეულში – 14-დან 18 წლამდე ჭაბუკები.

- მე და გიორგი სალაყაია 18-წლამდელებში ვვარჯიშობდით. დილისა და შუადღის წვრთნის შემდეგ, საღამოს თამაშები გვქონდა. კალათბურთელები თავიდანვე გაგვყვეს გუნდებად და კემპის ჩემპიონატი მოვაწყეთ. ჩემი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა. მეტად საინტერესო შეჯიბრება გამოვიდა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ შოთა გოლეთიანი შარშან კადეტთა ნაკრების ღირსებას იცავდა, ხოლო 2010-11 წლების სეზონში "სოხუმთან" ერთად საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგო. შოთას კარიერის იტალიაში გაგრძელებაც შესთავაზეს, თუმცა სავარაუდოდ მომავალ სეზონსაც "სოხუმში" გაატარებს.

● სუპერლიგა

ხუთი ლეგიონერით

სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა საინტერესო ინფორმაცია, რომელიც ლეგიონერთა ლიმიტს ეხება...

"მომავალ სეზონში ევროტურნირებში ორი ქართული გუნდი იასპარეზებს. ევროჩელენჯის გათამაშებაში საქართველოს ჩემპიონი "არმია" და "სოხუმი" გამოვლენ. ფიბა-ევროპის რეკომენდაციით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კლუბებს და ზოგადად, გულშემატკივრებს შეახსენებს იმ ლიმიტის შესახებ, რომელიც უცხოელი კალათბურთელების რაოდენობას არეგულირებს.

ფიბა-ევროპას საკუთარ ტურნირებში უცხოელებზე კონკრეტული შეზღუდვა არ აქვს დაწესებული. ყველა გუნდი ევროტურნირზე საკუთარი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ლიმიტის შესაბამისად გამოდის. ანუ, "არმია" და "სოხუმი" ევროჩელენჯზე ლეგიონერთა იმ ლიმიტს უნდა დაემორჩილონ, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშია დაწესებული და შემდეგში მდგომარეობს:

1. გუნდს უფლება აქვს 16-კაციან განაცხადში მაქსიმუმ 5 უცხოელი (ნებისმიერი ეროვნების) შეიყვანოს.

2. კონკრეტული მატჩის 12-კაციან განაცხადში შესაძლებელია ხუთივე ლეგიონერის შეყვანა.

3. მატჩის მსვლელობისას შესაძლებელია მოედანზე ერთდროულად მაქსიმუმ ოთხი ლეგიონერის ყოფნა. შესაბამისად, მოედანზე ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს მინიმუმ ერთი არალეგიონერი (საქართველოს მოქალაქე).

ეს წესები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოქმედებს და შესაბამისად, იგივე წესები გავრცელდება ქართული კლუბებისთვის ევროტურნირებშიც."

● სუპერლიგა. თსუ

გულშემატკივარი დარბაზში ლამაზი თამაშისთვის მოდის

IVNISSI შეგახვედრეთ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე კლუბის მწვრთნელს, რომლებიც სამომავლო გეგმებზეც ლაპარაკობდნენ და გასულ სეზონსაც აფასებდნენ. ახლა გთავაზობთ ვერცხლის მედლის მფლობელი თსუ-ს მთავარი მწვრთნელის **ნუგზარ ჭეიშვილის** ინტერვიუს, რომელიც დღეს იუბილარია.

- თსუ-ში სეზონის დასრულების შემდეგ ყველა კალათბურთელი გაათავისუფლდა, რადგან მათ ერთწლიანი კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული. ზოგი თსუ-ელი უკვე გადავიდა სხვადასხვა გუნდში, ზოგიც ამას აპირებს. 12 წელიწადია უმაღლეს ლიგაში ვმუშაობ, ვწვრთნი და ყოველი სეზონის შემდეგ ახალი გუნდის შეკრება მინევს.

- მომავალი ჩემპიონატისთვის გარკვეული მონახაზი ხომ არ გაქვთ?

- თსუ-ში დარჩნენ ილია ლონდარიძე, შალვა კოხრეიძე, მიხეილ ფანჩულიძე. მათ გარდა პირველ გუნდში ითამაშებენ ახალგაზრდები ვახტანგ ჩქარეული და ზურაბ მაისურაძე.

- კლუბის უფროსობასთან შეთანხმებით თუ გაირკვა, შარშანდელ სეზონთან შედარებით უკეთესი კლუბი გეყოლებათ თუ არა?

- თსუ-სთვის ბიუჯეტი უკვე განსაზღვრულია. ძალიან გვეხმარება სასწავლებლის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი არჯევანიძე. რა დონის გუნდი გვეყოლება, აგვისტოში გავარკვევთ.

- რიჩარდ მათიაშვილიც გადავიდა თსუ-დან?

- „ქუთაისი" საინტერესო წინადადებას სთავაზობს, თუმცა რიჩარდი საზღვარგარეთაც აპირებდა წასვლას. როგორც ვიცი, მას მომავალი ადგილსამყოფელი ჯერ არ გაურკვევია.

- ვარჯიშს როდის იწყებთ?

- პირველი აგვისტოდან შევიკრიბებით.

- ორიოდე სიტყვით გასულ სეზონზეც ვთქვათ. გაკმაყოფილებთ გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი?

- ვფიქრობ, მე-20 ჩემპიონატში თსუ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გუნდი იყო. საერთო მაჩვენებლით სხვებზე მეტი ქულა გვაქვს ჩაგდებული. ვცდილობთ, ლამაზი კალათბურთი ვითამაშოთ, რადგან გულშემატკივარი დარბაზში სწორედ სანახაობის გამო მოდის.

- ფინალში „არმიასთან" დამარცხდით...

- ვფიქრობ, მაქსიმუმს მივაღწიეთ, თუმცა არც არმიელებისთვის ვიყავით საჩუქარი, ბოლომდე ვებრძოლეთ და შეიძლებოდა კიდევ უფრო საინტერესო ფინალი გამოსულიყო.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

მოთამაშე	თ	წთ	2ქ/ჩაგ	2ქ/ნას	2ქ%	3ქ/ჩაგ	3ქ/ნას	3ქ%	1ქ/ჩაგ	1ქ/ნას	1ქ/%	მ/მეგ	მ/საკ	მ/სულ	პ	ფ	შ	ჩ	დ	ქ
4. დავით ხიზანიშვილი	21	9.8	1.8	3.9	45.1	0.1	0.7	20	0.7	1.1	60.9	0.9	1.5	2.4	0.3	1.4	0.9	0.1	0	4.6
5. მიხეილ ფანჩულიძე	26	27.8	3.7	6.8	53.7	2.4	7.5	32.1	2.1	3.2	64.3	0.9	2.2	3.1	2	1.8	1.4	2	0.2	16.7
6. გიორგი გაფრინდაშვილი	29	31.9	1.6	3.7	41.7	0.7	2.7	24.4	1.8	3.3	54.6	1.1	2.8	4	5.9	2	3.2	2	0.1	6.9
7. გიორგი მარხვაშვილი	20	20.4	1.5	3.3	45.5	1.5	4.3	33.7	1.1	1.8	61.1	0.3	1.3	1.6	2.8	0.7	1.1	1.4	0	8.5
8. შალვა კოხრეიძე	19	14.3	0.6	2	28.9	0.1	0.3	16.7	0.6	1.3	44	2	1.9	3.9	2.2	2.4	1.7	1.6	0.1	1.9
9. ილია ლონდარიძე	30	24.1	5.2	9.9	52.7	0	0.3	10	2.9	4.8	60.1	4.3	4.5	8.8	1.1	2.9	2	1.1	0.8	13.4
10. ზურაბ კორკოტაძე	28	15.6	1	2.1	50	1.3	3.7	34.6	0.9	1.3	68.6	1.1	2.4	3.6	0.8	1.1	1.3	0.9	0	6.8
11. მიხეილ ჩიტაშვილი	25	20.4	2.6	5.5	47.4	0.6	2.1	28.8	1.2	2	60	0.9	2.4	3.3	3.2	2.5	1.7	1.7	0	8.2
13. რიჩარდ მათიაშვილი	25	29.9	6.2	11.8	52	0.4	2	20	4	6.5	61.7	3.3	6.1	9.4	2.7	3.3	3.1	1.1	1.4	17.5
14. ზვიად დეკანოიძე	10	4.6	0.7	1.3	53.8	0.4	1.6	25	0.3	0.6	50	0.8	0.7	1.5	0.6	0.9	0.1	0.2	0	2.9
15. მიხეილ ბერიშვილი	20	33.2	3.5	6.7	51.9	1.9	6	30.8	5.1	5.8	87.1	3.7	5.7	9.4	2.8	2.9	2.8	1.9	1.2	17.5
20. ზურაბ მაისურაძე	12	7.1	0.8	2.1	36	0.1	0.9	9.1	0.5	0.7	75	0.7	0.7	1.3	0.2	0.7	0.1	0.3	0.2	2.3
23. ვახტანგ ჩქარეული	7	4.4	0.6	0.7	80	0.1	0.1	100	0.3	0.9	33.3	0.4	0.3	0.7	0.4	0.4	0.7	0.1	0.1	1.9

I წრე

სტუ-თსუ	76:99
თსუ-სოხუმი	94:93
სამედიცინო-თსუ	76:81
თსუ-დინამო	106:72
თსუ-ენერჯი	74:90
არმია-თსუ	69:65
გათუმი-თსუ	86:100
თსუ-შსს	94:85
აგრარული-თსუ	73:101
თსუ-ქუთაისი	63:86

II წრე

თსუ-სტუ	93:86
სოხუმი-თსუ	59:71
თსუ-სამედიცინო	87:71
დინამო-თსუ	95:149
ენერჯი-თსუ	91:109
თსუ-არმია	92:74
თსუ-გათუმი	104:84
შსს-თსუ	96:98
თსუ-აგრარული	107:65
ქუთაისი-თსუ	100:82

1/4 ფინალი

თსუ-სტუ	97:81
სტუ-თსუ	97:89

1/2 ფინალი

თსუ-ქუთაისი	97:64
თსუ-ქუთაისი	75:87
ქუთაისი-თსუ	66:77
ქუთაისი-თსუ	74:80

ფინალი

არმია-თსუ	75:71
არმია-თსუ	60:64
თსუ-არმია	60:74
თსუ-არმია	61:65

ინტერვიუ თედო ზიბზიბაძესთან

კლუბის გამო ნაკრებზე უარს ვერასოდეს ვიტყვი

საქართველოს ნაკრების გამოცდილმა შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** ფრანგულ „პერიგოსთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და გაისად, ამ გუნდთან ერთად ელიტურ, მეორე დივიზიონში იასპარეზებს. ზიბზიბაძესთან ერთად „პერიგოში“ კიდევ სამი ქართველი მორაგბე - დავით დადუნაშვილი, ალექსანდრე მარველაშვილი და ირაკლი ნინიძე ირიცხება. „პერიგო“ ელიტაში წლეულს დანინაურდა და ამ საქმეში ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს. თედო ზიბზიბაძე მსოფლიო თასის მოსამზადებელი ეტაპისთვის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. ნაკრები უკვე რამდენიმე დღეა ვარჯიშობს, მაგრამ, რადგანაც, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშება ყველაზე გვიან დასრულდა, ზიბზიბაძეს მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს. გამოცდილი მოთამაშე ნაკრებს ფრანგულ შეკრებაზე გაჰყვება. იქამდე კი თედო ზიბზიბაძე მშობლიურ ქუთაისშია, ჩვენც იქ შევხვდით და როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო კარიერაზე ვესაუბრეთ.

-გილოცავთ ელიტარულ დივიზიონში დაწინაურებას. დიდი ხანია საფრანგეთში თამაშობთ, მაგრამ ელიტარულ ლიგაში პირველად მოგიწევთ ასპარეზობა.

- „პერიგოში“ ხუთი წელიწადია ვთამაშობ. თითქმის ყოველ წელს გვქონდა ელიტურ დივიზიონში გადასვლის შანსი, მაგრამ გადასასვლელ შეხვედრებში ვერ ვყოჩაღობდით. წლეულს გაგვიმართლა და ღვთის წყალობით, საწადელს მივაღწიეთ. მართალია, ფედერალ 1-ის ფინალში „ბეზიესთან“ დავმარცხდით, მაგრამ საგზური უკვე ფინალში გასვლითაც დაბეჭდული გვქონდა. მომავალ წელს გაცილებით მაღალ დონეზე მოგვიწევს ასპარეზობა და გუნდის გაძლიერებასაც აპირებენ. „პერიგო“ პატარა ქალაქის გუნდია, მაგრამ საკმაოდ კარგი ბიუჯეტი აქვს - 3 200 000 ევრო და სხვა მხრივაც არ ვუჩივით პირობებს.

- წლეულს გუნდის შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობდი. რთულია „პერიგოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება?

- ჯერჯეროობით ძირითადის მოთამაშედ ვითვლები და ვნახოთ, მომავალ ჩემპიონატში რა იქნება. გუნდში დიდი კონკურენციაა. ჩემს პოზიციაზე სამი ძლიერი მორაგბე ისედაც იყო და, როგორც ვიცი, კიდევ აპირებენ მორაგბეების დამატებას. ნაკრებიდან კლუბში დაბრუნებულს დიდი ბრძოლა მიწევდა ძირითადში ადგილის დასაბრუნებლად, მაგრამ საბოლოოდ ამას ყოველთვის ვახერხებდი.

- რა მიზნები ექნება თქვენს გუნდს ელიტურ დივიზიონში?

- ალბათ, ელიტაში ადგილის შენარჩუნება.

- დიდი შანსია სექტემბერში საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიო თასზე იასპარეზო, კლუბისგან ხომ არ შეგექმნება პრობლემები?

-გარკვეული პრობლემები ახლაც შემექმნა. მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. სამი თვე არ ვიქნები გუნდთან ერთად და ეს არ მოსწონთ, მაგრამ რადგანაც მსოფლიოს თასზე არის ლაპარაკი, ნაკრებში გაშვებაზე უარი ვერ მითხრეს. სანაცვლოდ, მეუბნებიან, რომ ერთა თასის მატჩებზე ვერ გაგიშვებთო, თუმცა ჯერ იქამდე მივიდეთ... კლუბის გამო ნაკრებზე უარს არასდროს ვიტყვი.

რა თქმა უნდა, გუნდში არყოფნისას შესაძლოა ძირითადში დავკარგო ადგილი და თავიდან მომიწიოს ბრძოლამ ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ ამის გამო მსოფლიოს თასზე თამაშზე უარს ვინ იტყვის? კლუბისთვისაც პრესტიჟული არ არის, როცა მისი წევრი მსოფლიოს თასზე ასპარეზობს?

- ახალ ზელანდიაში საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვი?

- ჩემპიონატი გვიან დამიმთავრდა და მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მომცეს. ნაკრებს 18 ივლისს შევუერთდები. ორი დღით ვიყავი თბილისში და ნაკრების ვარჯიშებს დავესწარი. ეროვნულ გუნდში ბევრი ახალი სახეა. კონკურენციაც გაზრდილია და ვიმედოვნებ ახალ ზელანდიაში საკმაოდ კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება. ალბათ, ჩვენი უპირველესი მიზანი რუმინეთის დამარცხება და შოტლანდიისთვის დიდი წინააღმდეგობის გაწევა იქნება, დანარჩენი კი ადგილზე გამოჩნდება. ჩვენ ყველა შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯებით და ნაკრებისთვის თავს არ დავზოგავთ.

- როგორც ვიცით, თქვენი შვილიც რაგბის თამაშობს...

- დიახ, ოჯახის ტრადიციებს მიჰყვება და რაგბის თამაშობს. ალეკო 10 წლისაა. რაგბიზე 5 წლისა მივიყვანე და ახლა „პერიგოს“ ბავშთა გუნდში ოსტატდება.

- კარიერის დასრულების შემდეგ საფრანგეთში ხომ არ აპირებთ დარჩენას?

- არა... იმედია, ხუთი წელი კიდევ შევძლებ მაღალ დონეზე თამაშს, მერე კი აუცილებლად სამშობლოში დავბრუნდები. „პერიგოში“ ქართველები მრავლად ვართ. ოჯახური სიტუაცია გვაქვს შექმნილი, სხვა ქართველებსაც ხშირად ვხვდებით, მაგრამ მშობლიური კუთხე ძალიან მაკლია და კარიერის დასრულების შემდეგ აუცილებლად საქართველოში დავბრუნდები.

დავით კოხრეიძე

ქუთაისიდან



ბურთით თედო ზიბზიბაძე

შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან-პრი

ირაკლი გეგენავას ღელო

ბარსელონაში მხოლოდ მეათე

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ბარსელონაში გამართულ ევროპის გრან-პრის მესამე ეტაპზე წარუმატებლად იასპარეზა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ შვიდი მატჩიდან ერთი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ხუთში დამარცხდნენ. შედეგად, ჩვენი მორაგბეები საბოლოდ მე-10 ადგილს დასჯერდნენ.

ჯგუფურ ტურნირში საქართველოს შვიდკაცა რაგბის გუნდმა იტალიის, ინგლისის, რუმინეთისა და საფრანგეთის ნაკრებებთან წააგო. ჰოლანდიელებთან კი ჩვენი გუნდი ფრეს დასჯერდა -14:14.

მე-9 ადგილისთვის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა მოლდოვას მოუგო 24:5, თუმცა მერე უელსის ნაკრებთან წააგო -19:33 და, როგორც უკვე ვთქვით, მე-10 ადგილზე გავიდა. ბარსელონას ტურნირი კი რუსეთის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში იტალიის შვიდკაცა რაგბის გუნდი 7:5 დაამარცხა.

ამ ეტაპის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მე-5 ადგილიდან ორი საფეხურით უკან დაიხია. ბოლო მეოთხე ეტაპი რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში გაიმართება, სადაც ჩვენი გუნდი B ჯგუფში მოხვდა იტალიის, პორტუგალიის, უკრაინის, საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრებებთან ერთად.

III ეტაპი

A ჯგუფი

საქართველო-იტალია 5:12, საქართველო-ინგლისი 7:33, საქართველო-ჰოლანდია 14:14, საქართველო-რუმნეთი 7:12, საქართველო-საფრანგეთი 0:12

IX ადგილისთვის. ნახევარფინალი

საქართველო-მოლდოვა 24:5, რუმინეთი-უელსი 0:35

IX ადგილისთვის

საქართველო-უელსი 19:33

ფინალი

რუსეთი-იტალია 7:5

საბოლოო მდგომარეობა

1. რუსეთი, 2. იტალია, 3. პორტუგალია, 4. ინგლისი, 5. ესპანეთი, 6. უკრაინა, 7. საფრანგეთი, 8. ჰოლანდია, 9. უელსი, 10. საქართველო, 11. რუმინეთი, 12. მოლდოვა.

საერთო ჩათვლა

1. ინგლისი - 50 ქულა, 2. პორტუგალია - 45, 3. ესპანეთი - 43, 4. რუსეთი - 38, 5. საფრანგეთი - 35, 6. იტალია - 26, 7. საქართველო - 25, 8. უელსი - 24, 9. უკრაინა - 16, 10. ჰოლანდია - 13, 11. რუმინეთი - 8, 12. მოლდოვა - 4.

საქართველოს ნაკრები

გიორგი კალმახელიძე, ბექა ბინწაძე (ორივე-არმია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი (სამივე-ყორნები), დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია (სამივე-ლოკომოტივი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი).

IV ეტაპი

A ჯგუფი: რუსეთი, ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, უელსი, მოლდოვა.

B ჯგუფი: იტალია, პორტუგალია, უკრაინა, საქართველო, საფრანგეთი, რუმინეთი.

ბესიკ ჭანგავაძე

ზე რაგბი

აქ კრუსეიდერზმა მოიგო

ზე რაგბის გათამაშება დასრულდა და Planetrugby-მ ტურნირის სიმბოლური ნაკრები გამოავლინა. პრინციპი მარტივია, საუკეთესოები სხვადასხვა პოზიციებზე იმის მიხედვით გამოვლინდნენ, თუ ვინ უფრო მეტჯერ იყო დასახელებული ცალკეული ტურის სიმბოლურ გუნდში.

ისე გამოვიდა, რომ ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, ხუთი მორაგბე ფინალში ნაგებულ ქარაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ ჰყავს. ზე რაგბის ჩემპიონ ბრისბენის „რედსიდან“ კი საუკეთესოთა შორის მხოლოდ სამი მოთამაშე მოხვდა. თითო მორაგბე მიავლინა „ვორათაზმა“, „ჰაილენდერზმა“, „ნატალ შარქსმა“, „ბლუზმა“, „ფორსმა“, „ბლუ ბულზმა“ და „ჩიტაზმა“.

სიმბოლური ნაკრები

15. ქართლი ბეილი (ვორათაზი), 14. კეიდი პოკი (ჰაილენდერზი), 13. რობი ფრანი, 12. სონი ბილ ვილიამსი (ორივე-კრუსეიდერზი), 11. დიგბი იოანი (რედსი), 10. დენ კარტერი (კრუსეიდერზი), 9. ვილი გენია (რედსი)

1. ვაით კროკეტი (კრუსეიდერზი), 2. ბისმარკ დუ პლესი (ნატალ შარქსი), 3. ჯონ აფოა (ბლუზი), 4. ნათან შარპი (ფორსი), 5. ვიქტორ მეტფილდი (ბლუ ბულზი), 6. სკოტ ჰიგინბოთამი (რედსი), 7. ეშლი ჯონსონი (ჩიტაზი), 8. კირან რიდი (კრუსეიდერზი).

ბესიკ ჭანგავაძე

რაგბი. სამი ერი

სამ ერზე A ნაკრებით

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა **ჰიტერ დე ფილიერსმა** იმ 27 მორაგბის ვინაობა გააცხადა, ვინც სამი ერის გათამაშებაში იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ „ბოკეს“ 21 მორაგბე ტრავმრებულია და ამჟამინდელი შემადგენლობა, თამამად შეიძლება ითქვას, სამხრეთ აფრიკის A ნაკრებია.

დე ფილიერსმა ნაკრებში, ამჯერად, მსოფლიო თასის მფლობელი ხუთი მორაგბე მიიწვია. ექვსი კი ისეთი მოთამაშეა, რომელიც ეროვნული გუნდის კვართს პირველად მოირგებს. ესენია: **ელტონ იანტისი, შარლ მაკლოიდი, ეშლი ჯონსი, კონი ოოსტჰუიზენი, ვერნერ კრუხერი და დინ გრელინგი.**

„ბოკემ“ ვარჯიში იოჰანესბურგში გუშინ დაიწყო და ავსტრალიაში 15 ივლისს გაემგზავრება, სადაც ერთი კვირისთავზე „ვოლაბებს“ დაუპირისპირდება.

სამხრეთ აფრიკა

შერკინება: ჰაინრიხ ბროსუ, იან დეიზელი, დინ გრელინგი, ალისტერ ჰარგრეივსი, რაიან კანკოვსკი, ვერნერ კრუხერი, ეშლი ჯონსონი, ჯონა მიულერი, კონი ოოსტჰუიზენი, ჩილიბოი რელეპელე, დენი როსუ, ჯონ სმიტი, დეონ სტიგმანი, ადრიან სტრაუსი, ფილიპ ფან დერ მერვე.

უკანა ხაზი: ხიო ეპლონი, ბიორნ ბესონი, ჟუან დე იონგი, ადრიან იაკობსი, ელტონ იანტისი, პატრიკ ლამბიე, შარლ მაკლოიდი, ლეუაზი მვოვო, ოდოვა ნდუნგანე, ვინანდ ულიფეე, რუან პინარი, შორნი სტეინი.

ბესიკ ჭანგავაძე

msy-gov-ge

უცხოური სპორტი

● მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

ბლანკა ვლასიჩი

ბლანკამ კრიზისი დაძლია?

ბოლო სამი დღის განმავლობაში „ბრილიანტის ლიგის“ მეორე ეტაპი გაიმართა - პოპულარულ კომერციულ სერიას დებიუტი ჰქონდა ბირმინგემში. ამინდი სუფთა ინგლისური იყო - მოღრუბლულობა და ხანდახან წვიმა, რომელმაც რამდენიმე დისციპლინაში სპორტსმენებს ხელი შეუშალა.

ტრადიციულად დავიწყოთ მამაკაცთა სპრინტით, სადაც გრანდებიდან მხოლოდ **ასაფა პაუელი** ვიხილეთ სარბენ ბილიკზე. ფინალი დაწყება ოდნავ შეყოვნდა, რადგან თავიდან ნორვეგიელ **ნდურეს** ჰქონდა ფალსტარტი, შემდეგ კუნთი დაეჭიმა **მაიკ როჯერსს**, რომელმაც სტარტი ვეღარ აიღო. მესამე ცდიდან სპრინტერები, როგორც იქნა, წინ გაიჭრნენ. რა თქმა უნდა, თავიდანვე დაწინაურდა პაუელი, მაგრამ ფინიშზე სულ რაღაც ორი მეასედი მოუგო **ნესტა კარტერს**. ასაფას საკმაოდ მოკრძალებული შედეგი ჰქონდა - 9,91 წამი.

სამხტომის სექტორში მაყურებელს იმედები გაუცრუა **ტედი ტამგომ**. რა თქმა უნდა, ბრიტანელები თავიანთი საყვარელი სპორტსმენის - **ფილიპს აიდოვუს** სანახავად მივიდნენ, მაგრამ დაძაბული ბრძოლის იმედიც ჰქონდათ. ფრანგმა ბოლომდე ვერ ააწყო გამოსვლა. რამდენჯერმე გრძელი ნახტომი გამოუვიდა, მაგრამ ყოველთვის წესს არღვევდა. საბოლოოდ, მისი საუკეთესო შედეგი იყო 16,74 მეტრი, რაც ძალიან მოკრძალებულად მოჩანდა აიდოვუს 17,51 მეტრის ფონზე.

შუბის ტყორცნის სექტორში **ანდრეას ტორკილდსენი** უკონკურენციოდ იყო. ბირმინგემში არ ჩასულა ფინელი **ტერო პიტკამაიკი**, ამიტომაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა უპრობლემოდ გაიმარჯვა. მან ოთხჯერ გასტყორცნა შუბი 85 მეტრზე შორს, საბოლოოდ კი 88,30 მეტრი დააფიქსირა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია.

სეზონის ორიენტირი დაფიქსირდა აგრეთვე ქალებს შორის ბარიერულ სპრინტში. **სალი პირსონმა** სტარტზე მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა, თუმცა **დანიელა კარატერსისგან** სერიოზულ კონკურენციას გრძნობდა. ავსტრალიელმა 100 მეტრი 12,48 წამში გაირბინა, რაც აგრეთვე ავსტრალიის ახალი რეკორდია.

წელს საინტერესო გახდა ტურნირები ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში, რადგან ამ დისციპლინაში ლიდერს **ბლანკა ვლასიჩს** ერთგვარი კრიზისი აქვს. ის სიმაღლეები, რომელსაც ადრე ყოველგვარი დაძაბვის გარეშე იღებდა, ახლა მისთვის პრობლემად იქცა.

ამჯერად ვლასიჩმა წინა ეტაპში დამარცხებისთვის რევანში აუღო რუს **ანა ჩიჩეროვას**. ხორვატმა მეორე ცდიდან დაძლია 1,99 მეტრი და ძალიან ემოციურად აღნიშნა ეს წარმატება. რუსმაც შეძლო იგივე, ოღონდ მესამე ცდაზე და ამის გამო მეორე ადგილით დაკმაყოფილებამ მოუწია. ვლასიჩის პრობლემების მიუხედავად, „ბრილიანტის ლიგის“ საერთო ჩათვლაში მას კონკურენტი არ ჰყავს.

შემდეგი ეტაპი 22 ივლისს მონაკოში გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და წესით, მაღალი შედეგები უნდა ვიხილოთ.

IX ეტაპი

კაცები

100 მ. 1. ასაფა პაუელი (იამ) - 9,91; 2. ნესტა კარტერი (იამ) - 9,93; 3. მიკაელ ფრატერი (იამ) - 10,01; **სამხტომი.** 1. ფილიპს აიდოვუ (ბრიტ) - 17,54; 2. ალექსის კოპელიო (კუბ) - 17,12; 3. დავიდ გირატი (კუბ) - 17,08; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 88,30; 2. მატიას დე ზორდო (გერ) - 83,42; 3. ჯეროდ ბანისტერი (ავსტრა) - 82,01.

ქალები

სიგრძეზე ხტომა. 1. ჯენეი დელოუზი (აშშ) - 6,78; 2. ბრიტნი რიზი (აშშ) - 6,67; 3. დარია კლიშინა (რუს) - 6,64; **ჭოკით ხტომა.** 1. სილკე შპიგელბურგი (გერ) - 4,66; 2. ჰოლი ბლისდეილი (ბრიტ) - 4,61; 3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუს) - 4,46; 3. ფაბიანა მურერი (ბრა) - 4,46; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 1,99; 2. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 1,99; 3. ემა გრინი (შვედ) - 1,90; **100 მ/თარჯრბენი.** 1. სალი პირსონი (ავსტრა) - 12,48; 2. დანიელა კარატერსი (აშშ) - 12,52; 3. ვირჯინია კროუფორდი (აშშ) - 12,79.

ბოლტს ხტომაც შეუძლია

სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა **მაიკ პაუელმა** განაცხადა, რომ მის ფენომენურ რეკორდს (8,95 მეტრი) საფრთხე ემუქრება. პაუელი ვარაუდობს, რომ მძლეოსნობის ამ დისციპლინაში რეკორდის დამყარების ყველაზე კარგი შანსი იამაიკელ სპრინტერს **უსაინ ბოლტს** აქვს. ამერიკელის აზრით, ბოლტს ორი მთავარი თვისება ახასიათებს, რომლის წყალობითაც ის გრძელი ნახტომების შესრულებას შეძლებს - სისწრაფე და სიმაღლე. თავად უსაინს ადრე არაერთხელ განუცხადებია, რომ კარიერის ბოლოს სურს ძალები მოსინჯოს სიგრძეზე ხტომაში.

პაუელმა ისიც დაამატა, რომ ხტომების სექტორში მაღალი შედეგების მისაღწევად ბოლტს კარგი მწვრთნელი, სურვილი და სითამამე დასჭირდება. ამერიკელის თქმით, თუ ბოლტი სიგრძეზე ხტომას გადაწყვეტს, ეს აუცილებლად ნეგატიურად აისახება მის სპრინტერულ მომზადებაზე.

47 წლის მაიკ პაუელმა სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდი 1991 წელს ტოკიოში დაამყარა. ორი წლის შემდეგ მან შეინარჩუნა ტიტული გერმანიის ქალაქ შტუტგარტში. პაუელი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულამდე ვერ მივიდა - 1988 და 1992 წლების ოლიმპიადებზე ის ორჯერ დამარცხდა ლეგენდარულ **კარლ ლუისთან** და ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

● ბოგბურთი. ტურნირები

სამი ჭიჭული სამ თვეში

გასულ კვირას გამართული სამი ტურნირიდან ერთის შესახებ გუშინდელ ნომერში მოგიყევით, კვირას კი გამარჯვებულები გაირკვა ბუდაპეშტისა და ნიუპორტის ჩემპიონატებში.

უიმბლდონის შემდეგ ქალები ყველაზე ნელ საფარზე - გრუნტზე გადავიდნენ, მამაკაცებმა კი ამ სეზონში ბალახის ბოლო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა.

უნგრეთის დედაქალაქში მთავარი პრიზი გაითამაშეს იტალიელმა **რობერტა ვინჩიმ** და 20 წლის რუმინელმა **ირინა-კამელია ბეგუმ**.

სასტარტო სეტი ძალიან დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და უფრო ძლიერი 28 წლის იტალიელი აღმოჩნდა. პარტიის შუაში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ვინჩიმ თქვა, რომელმაც ბოლოს გადამწყვეტი სეტბოლი გამოიყენა.

მეორე სეტში რუმინელის შეჩერება შეუძლებელი იყო. ბეგუმ ინიციატივა მოიპოვა და მთლიანად კარნახობდა თავის პირობებს მეტოქეს. ვინჩიმ ამ სეტში მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო და ისიც მეტოქის მოწოდებაზე, ბეგუმ კი სამი ბრეიკი გააკეთა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

რუმინელმა გადამწყვეტი პარტიაც წარმატებით დაიწყო და ორი სასტარტო გეიმი მოიგო, მაგრამ გამოცდილი იტალიელი მოთმინებით ელოდა შანსს და ის მერვე გეიმში მიიღო, რომელშიც ბრეიკი დაიბრუნა, მოგვიანებით კი კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება და ბოლო სამი თვის განმავლობაში მესამე ტიტული მოიგო.

■ ■ ■

ზედიზედ მეორედ წააგო ნიუპორტის ტურნირის ფინალი ბელგიელმა **ოლივიე როხუსმა**. შარშან ის ამერიკელ **მარდი ფიშთან** დამარცხა, ამჯერად კიდევ ერთ მასპინძელს **ჯონ ისნერს** ვერ მოუხერხა ვერაფერი.

ფინალი მაქსიმალურად კონტრასტული გამოვიდა - 168 სანტიმეტრი სიმაღლის ბელგიელი და მასზე 38 სანტიმეტრით მაღალი ისნერი. ამერიკელის პირველ მოწოდებაზე თამაში საერთოდ არ ყოფილა - 22 ეისი და უამრავი მოუგერიებელი მოწოდება. როხუსმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ოთხი ქულა აიღო. თუმცა ისნერის მეორე მოწოდებაზე ბელგიელი იბრძოდა და ხშირად დაბალი დარტყმებით პრობლემებს უქმნიდა მასპინძელს. ოლივიემ ერთი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ის ვერ გამოიყენა. ისნერს ასეთი 10 შანსი ჰქონდა და ერთხელ იხეირა, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა სეტის მოსაგებად, მეორეში კი ყველაფერი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა.

ATP

Hall of Fame Tennis

ნიუპორტი (აშშ). ბალახი

საპრიზო ფონდი: 442 700 დოლარი

ფინალი

ჯონ ისნერი (აშშ, 1)-ოლივიე როხუსი (ბელ, 6) 6:3, 7:6(6).

WTA

Budapest Grand Prix

ბუდაპეშტი (უნგრეთი). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

ფინალი

რობერტა ვინჩი (იტა, 1)-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ, 7) 6:4, 1:6, 6:4.



რობერტა ვინჩი

● ტურნირების წინ

გერმანიაში მანქანებს არიგებენ

დევისის თასის მატჩებისა და ბალახის სეზონის დასრულების შემდეგ მამაკაცთა ტური ქალების მსგავსად გრუნტს უბრუნდება. ამ კვირას ოთხივე ტურნირი ამ საფარზე გაიმართება.

ATP

Swedish Open

ბაშტადი (შვედეთი). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: რობინ სიოდერლინგი, დავიდ ფერერი, ტომაშ ბერდიხი, ნიკოლას ალმაგრო, ტომი რობრედო, ხუან მონაკო...

შვედეთის ღია პირველობა ყოველთვის გამოიჩეოდა კარგი ორგანიზებით. რვა წლის განმავლობაში (2002-09) ის საუკეთესოდ მიიჩნეოდა „250“ კატეგორიის ტურნირებს შორის. აქ შეჯიბრება 1948 წლიდან ტარდება, ასე რომ, ტრადიციების მხრივაც ყველაფერი წესრიგშია.

ბოლო წლებში ბაშტადში ესპანელები იმარჯვებდნენ - **ნიკოლას ალმაგრო, ტომი რობრედო, დავიდ ფერერი** და **რაფაელ ნადალი**. მაგრამ 2009 წელს ადგილობრივი პუბლიკა გაახარა **რობინ სიოდერლინგმა**, რომელმაც **მაგნუს ნორმანის** 2000 წლის შედეგი გაიმეორა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

შვედი ამჯერად განთესვის ლიდერი იქნება და ეცდება კრიზისიდან გამოსვლას - სეზონის სტარტზე სამი ტურნირის მოგების შემდეგ რობინმა ძალიან მოუკლო და დიდი ხანია წარმატებისთვის არ მიუღწევია.

არ ღირს **ტომაშ ბერდიხის** ჩამოწერა, ვისაც აქ ორჯერ უთამაშია ფინალში, მაგრამ ჯერ მოგება არ აქვს. თუმცა სიოდერლინგის მსგავსად, ჩეხიც არ არის ოპტიმალურ ფორმაში. სამაგიეროდ, საუკეთესო სეზონს ატარებს **ნიკოლას ალმაგრო**, რაზეც წელს მის მიერ მოგებული სამი ტიტული და რეიტინგში მე-13 პოზიცია მოწმობს.

ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია **დავიდ ფერერი**. მან წელს ოთხი ფინალი ითამაშა და ორი მოიგო, ამიტომაც სამართლიანად ითვლება ამ სეზონში გრუნტის კორტების ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ. ფერერმა თავისი კარგი ფორმა გასულ კვირას დევისის თასის მატჩებშიც დაადასტურა.

MercedesCup

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: გაელ მონფილსი, იურგენ მელცერი, მიხაილ იუჟნი, ჟილ სიმონი, ფლორიან მაიერი, ნიკოლაი დავიდენკო...

გერმანიაში ტურნირები არა მარტო კარგი ორგანიზებით, არამედ სტაბილური საპრიზო ფონდითაც გამოირჩევა. შარშანდელი ჩემპიონი **ალბერტ მონტანიესი** შინ „მერსედესის“ თეთრი კაბრიოლეტით დაბრუნდა. ასე რომ, აქ ოფლის დაღვრა ნამდვილად ღირს.

გაელ მონფილსმა შარშან აქ ფინალამდე მიაღწია, მაგრამ ტრავმა მიიღო და ტიტული მონტანიესს დაუთმო. ახლა ფრანგი განთესვის ლიდერია და შეეცდება მთელი დისტანცია ბოლომდე გაიაროს.

WTA

XXIV SNAI Open

პალერმო (იტალია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: ფლავია პენეტა, რობერტა ვინჩი, სარა ერანი, კლარა ზაკოპალოვა, ანაბელ მედინა გარიგესი, ცვეტანა პირონკოვა...

გასულ წელს აქ კაია კანეპიმ გაიმარჯვა და WTA-ის ტურნირების პირველი ესტონელი ჩემპიონი გახდა. თუმცა წელს ის პალერმოში ტიტულის დასაცავად არ ჩასულა.

განთესვის სამი ლიდერი მასპინძელ ქვეყანას წარმოადგენს და სწორედ ისინი მიიჩნევიან ფავორიტებად.

სარა ერანი, ჩვეულებრივ, ძლიერია გარკვეულ დონემდე, **რობერტა ვინჩიმ** წელს მაღალ დონეს მიაღწია - მის ანგარიშზე სეზონში სამი ტიტული მოდის, რითაც რეიტინგში საუკეთესო 25 ჩოგბურთელს შორის მოიპოვა ადგილი. **ფლავია პენეტა** კი არც ისე წარმატებულ სეზონს ატარებს, მაგრამ მთავარი ფავორიტია, მით უმეტეს, რომ უიმბლდონზე საკმაოდ კარგი თამაში აჩვენა.

ასევე აღვნიშნავთ **პოლონა ჰერცოგს**, რომელიც აქ ბაშტადის ტურნირის ჩემპიონის რანგში ითამაშებს.

Gastein Ladies

ბად გაშტეინი (ავსტრია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: იულია გორჯესი, იარმილა გაიდოშოვა, ლუსი ჰრადეცკა, ივეტა ბენეშოვა, ლურდეს დომინგეს ლინო, სიმონა ჰალეპი...

ავსტრიაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი **იულია გორჯესი** იქნება, რომელიც სხვებზე მაღლა დგას რეიტინგში. თუმცა აქ ბლომად არიან ბოლო დროს მომძლავრებული ჩეხი ჩოგბურთელები, აგრეთვე რუმინელი **სიმონა ჰალეპი**. მან წელს დაიწყო გაცემული ავანსების გამართლება და უკვე ითამაშა ერთ ფინალში, თუმცა წააგო.



მონტანიესი კუთვნილი მერსედესით

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ჰოგერლანდი მანქანის შეჯახების შემდეგ

ტური ტრაგედიას გადაურჩა

პირველი გამოსასვლელი დღის წინ ტურ დე ფრანსის მონაწილეებს ურთულესი 200-კილომეტრიანი ურთულესი ეტაპი ელოდათ მეორე კატეგორიის სამიჭითით. რა თქმა უნდა, ეს რბოლა დიდ გავლენას ვერ მოახდენდა საერთო ჩათვლაში ლიდერთა განლაგებაზე, მაგრამ სცენარი მაინც საინტერესო უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველად იყო გაქცევის რამდენიმე უშედეგო მცდელობა, რასაც მასობრივი წაქცევა მოჰყვა, რომელშიც დაზარალდნენ **დევიდ მილარი, რობერტ გესინკი** და თვით **ალბერტო კონტადორიც**, თუმცა ისინი უპრობლემოდ დაეწივნენ პელოტონს.

შემდეგ იყო **ტომას ვიოკლერის** უფრო მომზადებული და წარმატებული შეტევა. აქტიურმა ფრანგმა პირველმა დაძლია მესამე კატეგორიის მთა. მოგვიანებით გაქცეულებს კიდევ ოთხი ველომრბოლი შეუერთდა, რომლებსაც ეტაპზე წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ. მათ შორის იყვნენ **ხუან ანტონიო ფლეჩა** და **ლუის ლეონ სანჩესი**. უკვე მეორე ამაღლების წინ სხვაობამ სამი წუთი შეადგინა. მეორე მწვერვალზე სამთო სპრინტი ისევ ვიოკლერმა მოიგო.

ამ მთიდან დაშვება ნამდვილ კოშმარად იქცა. საათში 80 კილომეტრ სიჩქარეზე კოლოსალური ზედახორა წარმოიქმნა. ყველაზე მძიმედ **ალექსანდრ ვინოკუროვი** დაეცა და საერთოდ მიატოვა კარიერაში თავისი ბოლო ტური. უფრო ადრე „ასტანამ" თითქმის დაკარგა თავისი კიდევ ერთი ლიდერი **რომან კროიციგერი**. ბელგიელმა **იურგენ ვან დენ ბრუკმა** მძიმედ დაარტყა თავი ასფალტზე და ტრასის მიღმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. უფრო გაუმართლა **ანდრეას კლიოდენს**, რომელმაც დაცემის შემდეგ შეძლო რბოლის გაგრძელება. მომხდარის შემდეგ ავტორიტეტული მრბოლელები **ფილიპ ჟილბერი, ფაბიან კანჩელარა** და **ტორ ჰუშოვდი** პელოტონის თავში გადავიდნენ და კოლეგებს ტემპის დაგდება სთხოვეს. ამით მოგებული გაქცეულები დარჩნენ და მალე მათმა უპირატესობამ შვიდ წუთს მიაღწია.

მორიგ სამთო ფინიშებზე ჰოლანდიელმა **ჰოგერლანდმა** ორჯერ აუღო რევანში ვიოკლერს. თანდათან სხვაობა ლიდერებსა და პელოტონს შორის სტაბილური გახდა და მცირე ტემპით იწყო კლება. ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე სხვაობა ხუთ წუთს უდრიდა, რაც გაქცეულებს გამარჯვების კარგ შანსს უტოვებდა.

ცოტა ხანში კიდევ ერთი საშინელი ეპიზოდი მოხდა, რაზეც პასუხისმგებლობას ორგანიზატორები ვერ გაექცევიან. თუ მარშრუტის რთულ მონაკვეთებზე წაქცევები და ტრავმები შეიძლება მრბოლელთა შეცდომებს დავაბრალოთ, ამ ეტაპზე მომხდარი ყოველგვარ საღ აზრს სცილდება. სატელევიზიო მანქანა მთელი სისწრაფით შეევარდა ლიდერთა ჯგუფში და ხუთიდან ორი მრბოლელი - ფლეჩა და ჰოგერლანდი მძიმე ტრავმებით ტრასის მიღმა აღმოჩდნენ.

ამ ველომრბოლებს ეყოთ გამძლეობა და სითამამე რბოლის გასაგრძელებლად. რაც შეეხება დარჩენილ კილომეტრებს, აქტიურობა მხოლოდ ლიდერთა ჯგუფში იყო. მთელი დისტანციის განმავლობაში აქტიურმა ვიოკლერმა წააგო ფინიში **ლუის ლეონ სანჩესთან**, სამაგიეროდ, ფრანგმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა საერთო ჩათვლაში. სანჩესი კი გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გადავიდა და შეიძლება „რაბობანკის" ლიდერიც გახდეს - თუ გაირკვევა, რომ გესინკი ტრავმის გამო ვერ შეძლებს მომავალ სამთო ეტაპებზე აქტიურობას.

რბოლის შემდეგ ტურის მონაწილეები საავადმყოფოდან ცნობებს ელოდნენ. გაირკვა, რომ ვან დენ ბრუკს ხელი აქვს მოტეხილი, ვინოკუროვს - ბარძაყი და იდაყვი.

IX ეტაპი. 208 კმ

1. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპ, RAB) - 5.27,09; 2. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +0,05; 3. **სანდი კასარი** (საფ, FDJ) - +0,13; 4. **ფილიპ ჟილბერი** (ბელ, OLO) - +3,59; 5. **პეტერ ველიტსი** (სლოვაკ, THR) - იგივე დრო; 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 7. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 8. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - იგივე დრო; 9. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 10. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო... 12. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო... 14. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო... 18. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +4,07... 23. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო; 24. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - იგივე დრო...

საერთო ჩათვლა

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 38.35,11; 2. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპ, RAB) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,26; 4. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,29; 5. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,37; 6. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +2,38... 8. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +2,43... 11. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,36; 12. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +3,37... 16. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,07... 20. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +5,01... 36. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +7,16...

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

იანგ ბოიზი-ვესტ ჰემი	2:1
ბაზელი-ჰერტა	3:0
ლეხი-პანათინაიკოსი	0:1
ოლანენსე-ძროული	2:1
ტრნავა-ბოჰემიანსი	0:3
ჰაიდენჰაიმი-მიუნხენი	0:2
დენ ბოში-ჰარტლპული	2:2
დარტფორდი-საუთენდი	0:3
ფელბურნი-მილუოლი	0:3

შვეიცარია

აიკ-ჰალმსტადი	4:0
ჰელსინგბორგი-იურგორდენი	3:0

ფინეთი

იუვასკიულა-როვანიემი	3:0

II დივიზიონი

ლაჰტი-ვიიკინგიტი	2:1

ავსტრია

II დივიზიონი

ალტახი-ვენა	1:1

ინგლისი

ფრამი-გრინდავიკი	1:1
კეფლავიკი-ვიკინგური	2:1
ვალური-სტიარნანი	1:1

II დივიზიონი

ლუჩ ენერგია-სკა ენერგია	2:0
სიგირი-ენისეი	0:1
გაზოვიკი-ურალი	0:1
დინამო (ბრ)-შინიკი	0:1
გაზპრომი-ალანია	3:0
ტორპედო (მ)-ბალტიკა	4:0
ტორპედო (ვ)-ნ. ნოვგოროდი	1:3
ჩერნომორეცი-ჟემჩუჟინა	0:1
ფაკელი-ხიმკი	0:1

უკრაინა

არსენალი-დნიპრო	3:3

ჩოგბურთი

ATP. შტუტგარტი

სტახოვსკი-პოსპიშილი	4:6, 6:2, 7:6
გარსია ლოპესი-შტეპანეკი	6:1, 6:3
სიმონი-მონტანიესი	6:4, 6:7, 2:6

ATP. ბაშტადი

რობრედო-ვოლანდრი	5:7, 5:7

WTA. ბად გაშტეინი

ჰრადეცკა-ს. ზახვალოვა	5:7, 3:6
ბენეშოვა-ჰოფმანოვა	5:7, 2:3 უარი

WTA. პალერმო

გოინეა-ამანმურადოვა	6:7, 2:6
ტატიშვილი-პირონკოვა	6:2, 7:5
პენეტა-გრიმალსკა	6:4, 6:1
ბრიანტი-ალბანო	6:1, 6:0

● TV პროგრამა

12 ივლისი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა.
12:00 სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
14:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი.
15:30 ტელეფურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
16:00 ჩემპიონის გზა. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
18:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი.
19:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი.
21:30 საფეხბურთო გადაცემა - დაუბრუნდი დინამოს.
22:00 ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
00:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა.
02:10 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-პერუ. არგენტინა (LIVE).
04:35 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-მექსიკა. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო.
11:05 ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. II დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
21:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
23:00 ყოველკვირეული გადაცემა - გზა ლონდონისკენ.
23:30 ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

02:10 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-პერუ. არგენტინა (LIVE).
04:35 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-მექსიკა. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 ATP-ის ტური. II დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლოს ანჯელესი (LIVE).

EUROSPORT

15:55 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. X ეტაპი (LIVE).

● ამბები

ცურვა

ერთი რეკორდი უკვე დამყარდა

შანხაიში სანყლოსნო სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ქვეყნების რაოდენობის მიხედვით ახალი რეკორდი დამყარდება. პლანეტის პირველობაზე მონაწილეობისთვის განაცხადი შეტანილი აქვს 181 ქვეყანას. წინა რეკორდი 2009 წელს რომში დაფიქსირდა - მაშინ მედლებისთვის 172 ქვეყანა იბრძოდა.

სულ წლევანდელ ჩემპიონატზე 2220 სპორტსმენს ელიან. შეგახსენებთ, რომ საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს პირველობა 16-31 ივლისს გაიმართება. მედლების 40 კომპლექტი გათამაშდება ცურვაში (24-31 ივლისი), 10 - წყალში ხტომაში (16-24 ივლისი), 7 - სინქრონულ ცურვაში (17-23 ივლისი), 6 - ღია წყალზე ცურვასა (19-23 ივლისი) და 2 - წყალბურთში (17-30 ივლისი).

ოლიმპიზმი

როგეს ამერიკის შემორიგება სურს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე ქალაქი განაცხადს შეიტანს 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე. შეგახსენებთ, რომ 2012 და 2016 წლის ოლიმპიადის ორგანიზებისთვის ნიუ იორკი და ჩიკაგო იბრძოდნენ, მაგრამ ისინი დამარცხდნენ ლონდონთან და რიო-დე-ჟანეიროსთან.

ოლიმპიური კომიტეტი მსურველთა განაცხადებს პირველ სექტემბრამდე მიიღებს. ამასობაში, აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ არ შეიტანს ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე განაცხადს იქამდე, სანამ ამ ორგანიზაციასა და სოკ-ს შორის არ მოგვარდება ყველანაირი უთანხმოება შემოსავლების გადანაწილების თაობაზე.

„ამერიკელების მსგავსად, ჩვენც შეშფოთებულნი ვართ შექმნილი სიტუაციით. არსებობს აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება იმის თაობაზე, რომ მას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება თამაშის ორგანიზებისთვის განაცხადის შეტანის თაობაზე. მოხარული ვიქნებით, თუ ამერიკული მხარისგან კარგ განაცხადს მივიღებთ", - აღნიშნა როგემ.

ზამთრის სახეობები

იტალიაში სკანდალი

იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ქვეყნის ზამთრის სახეობების ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯოვანი მორცენტიმ** არაკანონიერად მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები და ამიტომაც ის განთავისუფლებული იქნება ამ თანამდებობიდან.

მორცენტიმ 2010 წლის აპრილში ხმების 50,6 პროცენტით მოიგო არჩევნები, მაგრამ სათხილამურო სპორტის ასოციაციამ შედეგების გაუქმება მოითხოვა, რადგან ხმის მიცემის დროს უამრავი დარღვევა დაფიქსირდა, მათ შორის მომავალი პრეზიდენტის მხრიდან ყალბი ბიულეტენების გამოყენება.

ამ კვირას იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ფედერაციის დროებით პრეზიდენტს დანიშნავს. სავარაუდოდ, ეს იქნება წინა ხელმძღვანელი **კლაუდიო რავეტო**, რომლის ხელმძღვანელობითაც იტალიამ შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი მედალი მოიპოვა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა თანამდებობა მორცენტისთან კონფლიქტის გამო.

● კალათბურთი

ფენომენური ვალანჩიუნასი

ლატვიაში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი 19-წლამდელ კალათბურთელებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლიტვისა და სერბეთის ნაკრებები. მართალია, სერბებმა მთელი ტურნირის განმავლობაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ვერაფერი მოუხერხეს NBA-ის ნლევანდელი დრაფტის ერთ-ერთ გმირს, ლიტველთა ცენტრს **იონას ვალანჩიუნასს**.

ლიტველებმა ოთხივე მეოთხედი მოუგეს მეტოქეს და საფინალო სირენასთან ერთად ჩემპიონის უპირატესობამ 18 ქულა შეადგინა. ვალანჩიუნასმა 36 ქულა ჩაუგდო სერბეთს, რასაც რვა მოხსნაც დაუმატა.

ბუნებრივია, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვალანჩიუნასი საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ტურნირის მსვლელობისას ლიტველთა ლიდერი საშუალოდ 23,0 ქულას, 13,9 მოხსნასა და 3,2 დაფარებას აგროვებდა. კალათბურთელი ასევე ლიდერი გახდა ორმაგი დუბლების რაოდენობით - ცხრა მატჩში შვიდი დაბლ-დაბლი ჰქონდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვალანჩიუნასისთვის MVP-ის ტიტული ახალი არ არის. თავის დროზე მას 16 და 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც საუკეთესო მოთამაშედ ასახელებდნენ.

ფინალი

სერბეთი-ლიტვა 67:85

13:18, 19:21, 15:23, 20:23

ს: დრენოვაჩი (14), ბოგდანოვიჩი (13), ცვეტკოვიჩი (11+5 მოხსნა), ვუიოშევიჩი (11), ბესოვიჩი (9).
ლ: ვალანჩიუნასი (36+8 მოხსნა), ულანოვასი (12+5 მოხსნა), ჩიზაუსკასი (9+7 მოხსნა+6 პასი), ბუტკევიჩუსი (9).

იონას ვალანჩიუნასი

გვერდი მოამზადა
გია თევალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ახალი ამბები



შეხვედრას არ აპირებენ

შაკი კომენტატორობას იწყებს

ოკეანის გაღმიდან კვლავაც არადამიმედებელი ამბები მოდის ლოკაუტთან დაკავშირებით. ბოლო ინფორმაცია კარგად ასახავს დღეს შექმნილ სიტუაციასა და მისი მოგვარების პერსპექტივებს. საქმე ისაა, რომ ლიგის წარმომადგენლები და პროფკავშირის წევრები ერთხელაც არ შეხვედრიან (!) ერთმანეთს იმ მომენტიდან, რაც ლიგაში გაფიცვა გამოცხადდა (პირველი ივლისი). უფრო მეტიც, მხარეებს არც კი უცდიათ შეეთანხმებიათ მომავალი შეხვედრის თარიღი, - გვატყობინებს CBS. როგორც ჩანს, სკეპტიკოსებს უნდა დავუჯეროთ - ამჯერად ლოკაუტი დიდი ხანი გაგრძელდება.

■ ■ ■

ლეგენდარულმა **შაკილ ო'ნილმა**, რომელმაც დროულად მოასწრო კარიერის დასრულება, ახალი სამუშაო იპოვა - ის ტელეარხ TNT-ის კომენტატორი გახდა. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ შაკი ერთ-ერთი ყველაზე მხიარული და არაორდინარული ანალიტიკოსი იქნება, უბრალოდ საკითხავია - რას უნდა გაუკეთოს მან კომენტარი?

■ ■ ■

თურქეთში გასამგზავრებლად გამზადებულმა **დერონ უილიამსმა** ინტერვიუ მისცა ESPN-ს, რომელშიც განაცხადა, რომ ძალიან მოსწონს „ნიუ ჯერსიში" ყოფნა, თუმცა ვერ დაპირდება კლუბის ხელმძღვანელობას 2012 წლის შემდეგ კონტრაქტის გაგრძელებას. ეს მეტად არასასიამოვნო ინფორმაციაა „ნეტსისთვის", რომელიც სუპერკლუბის აშენებას აპირებს და დერონი სხვა სუპერვარსკვლავების მოსაზიდად სჭირდება, მაგალითად ისეთის, როგორიცაა **დუაიტ ჰოვარდი**.

იმავე ინტერვიუში დერონმა ისიც განაცხადა, რომ „ბეშიქთაშში" გადასვლის შესახებ გავრცელებული ცნობის შემდეგ მას ამ თემაზე NBA-ის 10-15 კალათბურთელი დაუკავშირდა, რომლებმაც ევროპაში გადასვლის სურვილი გამოთქვეს. *„ზოგიერთი მათგანი ლიგის სუპერვარსკვლავია"*, - განაცხადა უილიამსმა.

■ ■ ■

ფრანგმა **ტონი პარკერმა** კი მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია. „სან ანტონიოს" გამთამაშებელმა განაცხადა - თუ იანვარში ცნობილი გახდა, რომ ლოკაუტი სეზონის ბოლომდე გაიწელება, ის სამშობლოში დაბრუნდება და რომელიმე ფრანგულ კლუბს დაეხმარება, თუმცა არ დაუზუსტებია, რომელ გუნდს გააბედნიერებს.

გარდა ამისა, პარკერმა ისიც გამოაცხადა, რომ „ჩიკაგოს" ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** მასთან საუბარში დაადასტურა ევროპის ჩემპიონატზე თამაში. ასე რომ, ფრანგი გულშემატკივრებისთვის ამერიკიდან კარგი ამბები ვრცელდება.

■ ■ ■

რაც შეეხება „ნიუ იორკ ნიქსის" ვარსკვლავ **ამარე სტაუდმაიერს**, მან პირიქით, კატეგორიულად გამოაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს. მას ნიუ იორკში ყველაფერი აწყობს. *„ევროპული კლუბებიდან მუდმივად მიკავშირდებიან შეთავაზებებით. მაგრამ ვფიქრობ, ამერიკაში დავრჩები. ქალაქ ნიუ იორკისა „და „ნიქსის" პატრიოტი ვარ"*, - დაწერა თავის „ტვიტერში" სტაუდმაიერმა.

● ფორმულა 1

უილიამსი არ იცვლება

სავარაუდოდ, მომავალ სეზონში ბრიტანული საჯინიბო „უილიამსის" შემადგენლობა უცვლელი დარჩება - გუნდის ღირსებას დაიცავენ ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე გამოცდილი პილოტი **რუბენს ბარიკელო** და 2010 წელს GP2-ის სერიის გამარჯვებული **პასტორ მალდონადო**. ყოველ შემთხვევაში, კონსტრუქტორთა თასის ცხრაგზის მფლობელის პრეზიდენტი **ადამ პარი** ვერ ხედავს საკადრო ცვლილებების აუცილებლობას.

რუბენს ბარიკელომ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სურს „უილიამსთან" თანამშრომლობის გაგრძელება, მაგრამ ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით გუნდთან მოლაპარაკებები არ გაუმართავს.

პასტორ მალდონადოს ამ სეზონში ქულა არ მოუპოვებია, მაგრამ ადამ პარი კმაყოფილია ვენესუელელი პილოტით. *„მე მას ყოველთვის ნიჭიერ პილოტად მივიჩნევდი, თუმცა ხალხი ირონიულად ხვდებოდა ჩემს შეფასებებს. GP2-ის სერიაში მისი წარმატებები იმაზე მეტყველებს, რომ მალდონადო ფორმულა 1-ში გამოსვლის ღირსია. ყველა ხედავს, რომ ის ძალიან სწრაფია და გარკვეულ სტაბილურობასაც მიაღწია. წელს ჩვენი პილოტები სამჯერ გავიდნენ კვალიფიკაციის ფინალურ სეგმენტში და სამივეჯერ ეს მალდონადომ გააკეთა"*, - ამბობს „უილიამსის" პრეზიდენტი.

ბარიკელო
და მალდონადო

● ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი

წინ სუპერმატჩებია

გასული კვირის მთავარი საჩოგბურთო მოვლენა დევისის თასის მეოთხედფინალური ეტაპი იყო, რომელმაც ყოველგვარი სენსაციის გარეშე ჩაიარა.

არგენტინა-ყაზახეთი	5:0
მონაკო-გოლუბევი	6:3, 6:0, 6:4
დელ პოტრო-კუკუშკინი	6:2, 6:1, 6:2
ჩელა/შვანკი-კოროლიოვი/შჩუკინი	6:3, 6:2, 7:5
ჩელა-კოროლიოვი	2:6, 6:2, 6:0
მონაკო-კუკუშკინი	6:4, 6:1

არგენტინის ნაკრებმა სხვებზე ადრე გაიფორმა ნახევარფინალის საგზური. დევისის თასის ისტორიაში ყველაზე უილბლო გუნდმა (არგენტინა სამჯერ იყო ფინალში და სამივეჯერ წააგო) შანსი არ დაუტოვა ყაზახეთის ნაკრებს. ამ უკანასკნელს წელს დებიუტი ჰქონდა მსოფლიო ჯგუფში და მეოთხედფინალში გასვლა უკვე დიდი წარმატება იყო მისთვის.

არგენტინამ სავსებით კანონზომიერი გამარჯვება მოიპოვა, თანაც თავისი ერთ-ერთი ლიდერის **დავიდ ნალბანდიანის** გარეშე. პირველი სამი მატჩი მასპინძლებმა ისე მოიგეს, რომ სეტი არ წაუგიათ და მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში, რომელიც არაფერს წყვეტდა, **ხუან იგნასიო ჩელამ** ერთი პარტია დაუთმო **ევგენი კოროლიოვს**.

გერმანია-საფრანგეთი	1:4
მაიერი-გასკე	6:4, 6:4, 5:7, 3:6, 3:6
კოლშრაიბერი-მონფილსი	6:7(3), 6:7(5), 4:6
კასი/პეტცშნერი-ლოდრა/ცონგა	6:7(4), 4:6, 4:6
პეტცშნერი-ლოდრა	6:3, 6:3
კოლშრაიბერი-ცონგა	6:7(3), 6:7(5)

ასევე პირველი ორი დღის შემდეგ გაიფორმა შემდეგ ეტაპზე გასვლა საფრანგეთის ნაკრებმა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს გამარჯვებები **გი ფორჟეს** გუნდთან იოლად მოვიდა. პირველ მატჩში **რიშარ გასკემ** თითქმის წაგებული მატჩი გადაარჩინა **ფლორიან მაიერთან** - 0:2-დან შემოაბრუნა თამაშის ბედი და მნიშვნელოვნად განსაზღვრა სამდღიანი დუელის სცენარი.

მეორე მატჩიც ასევე დაძაბული გამოვიდა - **გაელ მონფილს** ორი ტაი-ბრეიკი დასჭირდა **ფილიპ კოლშრაიბერის** დასამარცხებლად. გადამწყვეტი კი წყვილთა თამაში აღმოჩნდა, რომელშიც **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და **მიკაელ ლოდრამ** საჭირო მესამე ქულა მოუტანეს სტუმრებს.

შვეიცარია-სერბეთი	1:4
რიდერსტედტი-ტროიცკი	3:6, 1:6, 7:6(6), 5:7
ელეშკოვიჩი-ტიპსარევიჩი	2:6, 0:1 უარი
ასპელინი/ლინდსტედ.-ჯოკოვიჩი/ჟიმონჟ.	6:4, 7:6(5), 7:5
რიდერსტედტი-ტიპსარევიჩი	2:6, 5:7, 3:6
ლინდსტედტი-ტროიცკი	6:3, 4:6 უარი

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მოქმედი ჩემპიონი სერბეთი იოლად დაამარცხებდა შვედეთს, რომელსაც არ ჰყავდა თავისი ლიდერი **რობინ სიოდერლინგი**. მის გარეშე შვედეთი საშუალოზე დაბალი დონის გუნდია, რომლის რიგებში მხოლოდ **ლინდსტედტს** თუ გამოვყოფთ, რომელმაც უიმბლდონის წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშა.

სწორედ წყვილთა მატჩი მოიგეს მასპინძლებმა შაბათს, თანაც ეს იყო ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ახალმა პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. მის გარეშე სერბებმა ოთხივე წყვილთა მატჩში გაიმარჯვეს და ლოგიკური შედეგი დაფიქსირეს.

აშშ-ესპანეთი	1:3
ფიშე-ლოპესი	4:6, 6:3, 3:6, 7:6(2), 6:8
როდიკი-ფერერი	6:7(9), 5:7, 3:6
ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-ბრანოლ./ვერდას	6:7(3), 6:4, 6:4, 6:4
ფიშე-ფერერი	5:7, 6:7(3), 7:5, 6:7(5)

ბოლო ნახევარფინალისტი გახდა ესპანეთის ნაკრები, რომელიც ასევე თავისი ლიდერის **რაფაელ ნადალის** გარეშე დარჩა. პრაქტიკულად ყველა მატჩში ბრძოლა იყო. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველი შეხვედრა **მარდი ფიშსა** და **ფელისიანო ლოპესს** შორის. ფიშმა დევისის თასის წინ რეიტინგში საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის შეაღწია და სრული საფუძველი ჰქონდა წარმატებაზე ეფიქრა, მაგრამ გადამწყვეტ მეხუთე სეტში დასანანი მარცხი იწვნია - 6:8. ამის შემდეგ **დავიდ ფერერი** დამაჯერებლად გაუსწორდა **ენდი როდიკს** და ეს თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა.

მასპინძლებს დაგეგმილი ქულა მოუტანეს **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** წყვილმა და ამერიკას გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ ფიშმა მეორე ერთეულთა შეხვედრაც წააგო, ამჯერად ფერერთან და ასე უსახელოდ დაასრულა დევისის თასზე კაპიტნის როლში დებიუტი ცნობილმა **ჯიმ კურიემ**.

ბოლო მატჩი როდიკსა და ლოპესს შორის გაუქმდა, რადგან ის არაფერს წყვეტდა.

ფინალში გასასვლელად მოქმედი ჩემპიონი სერბეთი საკუთარ მოედანზე მიიღებს არგენტინას. ეს იქნება ძალიან საინტერესო დაპირისპირება - ერთ მხარეს ნოვაკ ჯოკოვიჩი, მეორე მხარეს - **ხუან მარტინ დელ პოტრო**. მეორე ნახევარფინალში ესპანეთი საფრანგეთს უმასპინძლებს. მატჩები 16-18 სექტემბერს გაიმართება.

■ ■ ■

გარდა ამისა, გაირკვა ყველა მონაწილე პლეი ოფის მატჩებში, რომლებიც ნახევარფინალებთან ერთად გაიმართება. მერვედფინალში გავარდნილებთან (ინდოეთი, რუსეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ჩილე, ბელგია, ხორვატია და ავსტრია) ერთად აქ ტრადიციულად თამაშობს რვა გუნდი, რომლებიც ზონალური ტურნირების პირველი ჯგუფებიდან მოხვდა პლეი ოფში. პირველი საგზური ჯერ კიდევ მარტში ისრაელმა მოიპოვა (პოლონეთი დაამარცხა). ახლა მას შეუერთდნენ სამხრეთ აფრიკა (მოუგო ჰოლანდიას 3:1), იტალია (გაანადგურა სლოვენია - 5:0) და შვეიცარია, რომელმაც ასევე ქულა არ დაუთმო პორტუგალიას. უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარია უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა - კორტზე გავიდნენ **როჯერ ფედერერი** და **სტანისლას ვავრინკა**.

აზიისა და ოკეანეთის ჯგუფიდან პლეი ოფში მოხვდნენ ავსტრალია და იაპონია. პირველმა **ბერნარდ ტომიჩისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** დახმარებით სტუმრად მოუგო ჩინეთს, იაპონია კი უზბეკეთს გაუსწორდა. აქ **კეი ნიშიკორიმ** სამივე მატჩი მოიგო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო.

დაბოლოს, ამერიკის კონტინენტის ნაკრებთა მატჩებში ერთი მოულოდნელობა მოხდა. კანადის ნაკრებმა **მილოშ რაონიჩის** გარეშე 0:2-დან დაამარცხა ეკვადორი. პლეი ოფის ბოლო მონაწილე გახდა ბრაზილია, რომელმაც მოლოდინისამებრ **პაბლო კუევასის** გარეშე დარჩენილი ურუგვაი გაანადგურა.

სერბეთის ნაკრები

ფედერერი ოთხ წუთში

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **როჯერ ფედერერის** უნიკალური პორტრეტი ციურიხში საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდა. ამ ხელოვნების ნიმუშის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მხატვარმა **ჟან-პიერ ბლანშარმა** ის 4 (!) წუთში შექმნა.

ამასთან, ჩოგბურთელი საკუთარი პორტრეტის შექმნისას სახელოსნოში არ იმყოფებოდა. ბლანშარს არც როჯერის ფოტო გამოუყენებია და ფედერერის სახე ტილოზე მეხსიერებით გადაიტანა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა